№008
(12 385)
12 იანვარი შაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი
ელექტრონული
ბიბლიოთეკა



# საქართველო ირლანდიის ჩრდილოეთში




ცოტა რამ მომავალ მეტოქეზე

2

## სირაძე დაბრუნდა, ფიფია დნეპრშია

ქართული ფეხბურთი 2-6

## უკრაინის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს

ალექსეი მიხაილიჩენკო





# ბაიერნმა ჰიტცფელდის მემკვიდრე დაასახელა

ზაფხულიდან იურგენ კლინსმანი

7



## ანელკა ჩელსიში ჩაირიცხა

მოურინიო: ბარსელონა?

7-10 მსოფლიო ფეხბურთი

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები

# ფედერაციამ კარგად იამხანაგა: ჩრდილოეთ ირლანდია



ჩრდილოირლანდიელთა მთავარი მწვრთნელი ნაიჯელ ვორთინგტონი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრებისთვის წლეულს მეოთხე ამხანაგური მატჩიც გაჩარხა - 26 მარტს **კლაუს ტოპმიოლერის** გუნდი ბელფასტში ჩრდილოეთ ირლანდიას ესტუმრება.

უახლოესი ამხანაგური მატჩი ჩვენს ეროვნულ გუნდს 6 თებერვალს აქვს შინ ლატვიასთან. ჩრდილოეთ ირლანდიის შემდეგ კი ისევ სტუმრად ელის ამხანაგური თამაშები - აგვისტოში უელსთან, ნოემბერში კი - რუმინეთთან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ბრიტანელებთან შარშან დაიწყო მოლაპარაკება ამხანაგურ მატჩზე, თუმცა მაშინ ვერაფერი გაირკვა. ერთი კვირის წინათ კი ჩვენმა მოხელეებმა ისევ შეახსენეს თავი ჩრდილოეთირლანდიელებს და შეთანხმებასაც მიაღწიეს. ქართველებამდე მათ ჩვენი მეტოქე ბულგარელებიც გაეჯიბრებიან: 6 თებერვალს, ბელფასტში.

დავით თავართქილაძე



ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი დევიდ ჰელი

# სამეფოს ჩრდილოეთი კუნძული

- რა არის ჩრდილოეთ ირლანდია?
- ჯორჯ ბესტი!
- კიდევ?
- პატ ჯენინგსი, რომელმაც ეროვნული გუნდის კარი 119-ჯერ დაიცვა.

ეს განმარტებანი გაერთიანებული სამეფოს ამ ქვეყანაზე სრული არ არის, მაგრამ ალბათ, შეიძლება, რომ ამით შემოვიფარგლოთ.

ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებმა ევრო 2008-ის შესარჩევის F ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა. წინ ესპანეთი და შვედეთი გაუშვა, უკან კი დანია, ლატვია, ირლანდია და ლიხტენშტეინი მოიტოვა.

ჩრდილოეთ ირლანდიის ეროვნული გუნდი უცნაურად მოძიგძიგე უნდა იყოს - ჯგუფში ორივე მატჩი წააგო ისლანდიასთან (0:3, 0:1), ესპანეთის ნაკრებს კი შინ 3:2 მოუგო - **იკერ კასილიასს** სამი გოლი **დევიდ ჰელიმ** გაუტანა.

28 წლის ჰელი ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მეგოლეა 33 ბურთით. მან პროფესიული კარიერა 20 წლისამ „მანჩესტერ იუნაიტედში" დაიწყო, თუმცა იქ ფეხი ვერ მოიკიდა და ინგლისის ქვედალიგის კლუბებში გახლდათ განათხოვრებული. პრემიერლიგას 2004 წელს დაუბრუნდა და სამ სეზონში „ლიდსისთვის" 29 გოლი გაიტანა, შარშან კი „ფულემში" გადავიდა და ახლაც იქ არის. ყველაზე გემრიელი სანაკრებო გოლი მან 2006 წლის მუნდიალის შესარჩევში შეაგდო - ჩრდილოეთირლანდიელებმა მისი გოლით 1:0 მოუგეს ინგლისს.

ჩრდილოეთირლანდიელთა პირველი მეკარე, ბირმინგემელი **მაიკ ტეილორია**, ვისაც დიდ კონკურენციას უწევს „გლაზგო რეინჯერსის" გოლკიპერი **როი კეროლი**.

დაცვაში მთავარი კაცი ნაკრების კაპიტანი, ფულემელი **აარონ ჰიუზია**. ჩრდილოეთირლანდიელებს მის გარდა კიდევ ჰყავთ ინგლისურ პრემიერლიგაში მოთამაშე მცველები - ასევე „ფულემის" **კრის ბაირდი**, „ვესტ ჰემის" **ჯორჯ მაკარტნი**, „მანჩესტერ იუნაიტედის" 20 წლის **ჯონი ევანსი**.

შუა ხაზში ყველაზე გამოცდილი **კეიტ გილესპია**, ვინც ახლა „შეფილდ იუნაიტედის" მობურთალია. თავდასხმაში კი ჰელის გარდა ძალიან ჭირს ვინმეს გამორჩევა.

ჩრდილოეთირლანდიელებს **ნაიჯელ ვორთინგტონი** წვრთნის. ის არ არის გამოჩენილი მენეჯერი, თუმცა ინგლისურ პრემიერლიგაში აქვს მიღებული სამწვრთნელო გამოცდილება - „ნორვიჩსა" და „ლესტერში".

საუკეთესო ნაკრები ჩრდილოეთ ირლანდიას ალბათ, 1982 წელს ჰყავდა ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე - ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და მომდევნო ეტაპზე გავიდა - მსოფლიოს 12 საუკეთესო გუნდში მოხვდა.

ჩრდილოეთ ირლანდიას არასდროს უთამაშია ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მსოფლიოზე კი 1982 წლის გარდა 1958 და 1986 წლის მუნდიალზეც გამოსულა.

დავით თავართქილაძე



ჩრდილოეთ ირლანდიას ასეთი ქომაგიც მრავლად ჰყავს

ლეგიონერები

# მარცვალაძის დებიუტი ხარკოვში

## ალადაშვილი ჯერ მხოლოდ ვარჯიშობს



ოთარ მარცვალაძე

„ხარკოვმა" უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადება დაიწყო. გუნდის ოფიციალური ვებ გვერდი იუწყება, რომ **ვლადიმერ ბესონოვის** გუნდს ქართველებიც შეუერთდნენ - **ოთარ მარცვალაძე** და **კახა ალადაშვილი**.

ხარკოველები თურქეთის ქალაქ ანთალიაში დაიწყეს ვარჯიში და პირველი საკონტროლო თამაშიც ჩაატარეს. უკრაინელთა მეტოქე რუსეთის მეორელიგელი, ულიანოვსკის „ვოლგა" გახლდათ და მოულოდნელად, რუსებმა მოიგეს - 1:0.

„ხარკოვის" ოფიციალური ვებ გვერდის ინფორმაციით, **მარცვალაძემ** მეორე ტაიმში ითამაშა, **ალადაშვილი** კი ჯერ მხოლოდ ინდივიდუალური ვარჯიშით შემოიფარგლა.

მერაბ მამულაშვილი

# დიასამიძე ბენფიკაში გამოცდებს აბარებს

პირველად მოხდა, რომ ქართველი ფეხბურთელი პორტუგალიურ გრანდში მივიდა გასინჯვაზე - 16 წლის **გიორგი დიასამიძე** ლისაბონის „ბენფიკაში" ცდილობს მოწყობას.

დიასამიძეს საქართველოში არც ერთ პროფესიულ გუნდში არ უთამაშია. მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა პორტუგალიაში და გიორგიც, რა თქმა უნდა, ოჯახთან ცხოვრობს.

„საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდი" - მისი დამფუძნებლები ძმები არველაძეები არიან და რამდენჯერმე ამ ფონდის თაოსნობით ახალგაზრდა ქართველებმა ევროპულ გუნდებში სცადეს ფეხის მოკიდება. ერთ-ერთი ასეთი მცდელობა წარმატებული გამოდგა - 18 წლის **დავით თარგამაძე** „ფრაიბურგის" მეორე გუნდში მოხვდა.

დიასამიძე „ბენფიკაში" რომ ისინჯება, ესეც ამ ფონდის მეშვეობით მოხდა. „ბენფიკას" **ხოსე ანტონიო კამაჩო** კი წვრთნის, მაგრამ ჩვენებურს ალბათ მეორე გუნდის მწვრთნელები დააკვირდებიან.

დავით თავართქილაძე



დავით თარგამაძე ფრაიბურგში საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელშეწყობით მოხვდა

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# სპარტაკი გოგუას გამოსყიდვას აპირებს

## ნახევარი მილიონი ქართველისთვის: ჭორი თუ რეალობა?

რუსულ წყაროებში გაჩნდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ **გოგიტა გოგუას** ნალჩიკში დაბრუნება არათუ გამორიცხული არაა, არამედ, სავსებით რეალურია.

„სპორტრეპორტი" იუწყება, რომ ქართველი ნახევარმცველი ამჟამად ამ ვარიანტს საკმაოდ საინტერესოდ მიიჩნევს.

*„სავსებით შესაძლებელია, რომ გოგუა ნალჩიკის „სპარტაკს" მოსამზადებელ ეტაპზე შეუერთდეს. გაზეთის ინფორმაციით, ტრანსფერის სავარაუდო თანხა 500 ათასი დოლარია."*- წერს „სპორტრეპორტის" ჟურნალისტი.

ამ ამბავში ჩვენთვის ახალი არაფერია, რადგან გოგიტამ თავად გაგვიმხილა, რომ „სპარტაკში" დაბრუნება კარიერაში წინსვლისთვის სჭირდება. ერთადერთი სატრანსფერო თანხა გვაეჭვებს, რადგან **ანდრეი ჩერვიჩენკომ** „თბილისისგან" ფეხბურთელი 250 ათას დოლარად იყიდა და შემდეგ 700 ათასად შეაფასა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენს მიერ არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, გოგიტა გოგუასთან ნალჩიკელები კონტრაქტის გაფორმებას და მის გამოსყიდვას აპირებენ, როგორც ეს **ალეკო ამისულაშვილის** შემთხვევაში გააკეთეს. ერთი სიტყვით, იჯარა გამოირიცხა, რაც ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია.

გამომდინარე აქედან, ქართველი ნახევარმცველისა და ანდრეი ჩერვიჩენკოს სამწლიან ურთიერთობას წერტილი მართლა უნდა დაესვას.

გამუდმებული იჯარა და ახალ-ახალი გუნდის ყოველ ნახევარ წელიწადში ძებნა გოგუასაც მობეზრდა და ეტყობა, თავად რუს ბიზნესმენსაც. ერთი სიტყვით, ორივე მხარის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა.

**მერაბ მამულაშვილი**



გოგიტა გოგუა



ბურთით გიორგი ფეიქრიშვილი



სანდრო კობახიძე

მზადება

# დინამო თურქეთს გაემგზავრა

თბილისის "დინამომ" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება ჯერ კიდევ დეკემბრის მინურულს დაიწყო. საახალწლო პაუზის შემდეგ **დუშან უჰრინის** გუნდი 3 იანვარს შეიკრიბა. დინამოელები აქამდე დიღმის ბაზაზე ვარჯიშობდნენ, გუშინ ნაშუადღევს კი ანთალიისკენ აიღეს გეზი. დუშან უჰრინმა თურქულ შეკრებაზე 24 ფეხბურთელი წაიყვანა:

**დავით დილმელაშვილი, მიხეილ ხუციშვილი, გიორგი ნერგაძე, შოთა კაშია, გურამ კაშია, ლევან ხმალაძე, გიორგი ლორია, გულვერდ თომაშვილი, გიორგი მერებაშვილი, გიორგი ლოსაბერიძე, ოლეგ გველესიანი, მათე ვაწაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი ქავთარაძე, ნედ ზელიჩი, ილია სპასოევიჩი, რომან დობეში, მილოშDკრშკო, ჯორჯ აკირემი, დიდიე ოვონო, ლევან კაკუბავა, შოთა გრიგალაშვილი, ზვიად ქანთარია, ნიკოლოზ ფირცხალავა.**

გიორგი ლოსაბერიძე, ლევან კაკუბავა, გიორგი ქავთარაძე და ზვიად ქანთარია მთავარ გუნდთან ერთად პირველად მოემზადებიან.

ჩამონათვალში რამდენიმე ფეხბურთელი არაა. საქმე ის გახლავთ, რომ ნახევარმცველი **სანდრო კობახიძე** კარიერას, ალბათ, უკრაინულ "დნეპრში" გააგრძელებს. ის უკვე უკრაინაშია და მომავალი კონტრაქტის პირობებზე აწარმოებს მოლაპარაკებებს.

"დინამოს" გამოეთხოვა ფორვარდი **ბორის გონჩაროვი**, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი უკვე დაუსრულდა. ტრანსაფერზე დააყენეს **სოსო გრიშიკაშვილი** და **გიორგი ფეიქრიშვილი**. კლუბის ვებგვერდის ცნობით, გრიშიკაშვილი გუნდის ერთ-ერთი გამოცდილი ფეხბურთელია, რომელმაც ბევრი გააკეთა "დინამოსთვის", რისთვისაც მადლობას იმსახურებს. ბოლო პერიოდში სოსოს სათამაშო პრაქტიკა აკლკდა და ამიტომაც გადაწყვიტა გუნდის შეცვლა. გიორგი ფეიქრიშვილი განვლილ სეზონში ერთ-ერთი გამორჩეული იყო, მაგრამ ბოლო ხანებში იშვიათად ჩნდებოდა ძირითად შემადგენლობაში და ამიტომაც არჩია გუნდიდან წასვლა.

დაბოლოს, შეგახსენებთ იმასაც, რომ თურქულ შეკრებაზე "დინამო" სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს. 15 იანვარს დუშან უჰრინის გუნდი კიევის "არსენალს" ეთამაშება, 19-ში ზაპოროჟიეს" მეტალურგს". 22 იანვარს დინამოელებს დონეცკის "მეტალურგთან" უნდა მოესინჯათ ძალები, მაგრამ დონეცკელებმა მზადების გეგმაში ცვლილებები შეიტანეს და "დინამოს" მესამე საკონტროლო შეხვედრაში სხვა სპარინგ-პარტნიორი ეყოლება.

**დავით ცაბაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# ფიფიაც დნეპრშია

დნეპროპეტროვსკის "დნეპრში", სადაც უკვე ასპარეზობს საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ჯაბა კანკავა**, შესაძლოა ქართველების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს. თბილისელთა ცნობით დნეპროპეტროვსკშია "დინამოს" ნახევარმცველი **სანდრო კობახიძე**, თუმცა უკრაინული ვებგვერდები კობახიძეს ჯერჯერობით არ ახსენებენ. "დნეპრის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გუნდში სამი ფეხბურთელია, რომელთაც თავიანთ კლებებთან კონტრაქტები აკავშირებთ და კლუბში სინჯებს გადიან. ამ ტრიოში ერთი ქართველია, "ზესტაფონის" ფორვარდი **გოგი ფიფია**. დანარჩენი ორი კი ნახევარმცველი **მაქსიმ რომაშჩენკო** და ლიტველი მცველი **ლიმას კლიმავიჩიუსი** გახლავთ. როგორც ირკვევა ფიფიამ უკვე ივარჯიშა ოლეგ პროტასოვის გუნდსში და მისი საკითხი რამდენიმე დღეში გადაწყდება.

**დავით ცაბაძე**



გოგა ფიფია (მარჯვნივ)

GEO FM • 95.1
ავტორადიო თბილისი

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# ოლიმპმა სეზონი მოგებით გახსნა

## პისკოვეცი თოთხმეტ ახალწვეულს აკვირდება



დესნას მეორე გოლი ლევან სილაგაძემ გაუტანა

სიმფეროპოლის „ტავრიამ" საკონტროლო მატჩების განრიგი გამოაქვეყნა, სადაც მითითებულია, რომ ყირიმელების ერთ-ერთი საკონტროლო შეხვედრა 13 იანვარს საქართველოს ექს-ჩემპიონ ბოლნისის „სიონთან" დაიგეგმა.

როგორც „სიონის" მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, რომ ეს მცდარი ინფორმაციაა. სინამდვილეში, „ტავრია" რუსთავის „ოლიმპს" უნდა დაუპირისპირდეს.

რუსთაველებმა ალუშტაში მომზადება უკვე დაიწყეს და პირველ საკონტროლო შეხვედრაში ჩერნიგოვის „დესნას" 2:0 მოუგეს. „გაგრიდან" გადმოსულ თავდამსხმელ **ზვიად მეტრეველს** წარმატებული დებიუტი ჰქონდა - მან უკრაინელთა კარში პირველი ბურთი გაიტანა. მეორე კი ვეტერანი **ლევან სილაგაძის** ანგარიშზეა.

გუშინ ვესაუბრეთ თავდამსხმელ **გიორგი კახელიშვილს**, რომლის თქმითაც, „დესნას" საკამოდ იოლად მოუგეს. არაა ცუდი ამბავი, თუკი გავიხსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინათ უკრაინის პირველი ლიგის ერთ-ერთ გუნდთან საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა 0:7 წააგო და ეტყობა, ეს წაგება იმდენად სამარცხვინო აღმოჩნდა, რომ მისი დამალვაც კი სცადეს.

რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი პისკოვეცმა** აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელი გასინჯა. მათ შორის იყვნენ ქართველი ახალწვეულები და გასასინჯები (**ლადო ჯოჯუა, გელა ხუბუა, თემურ ფარულავა, ბექა შეყრილაძე, ნიკა სტეფნაშვილი, ვახტანგ კვარაცხელია, ზვიად მეტრეველი, ნიკა ჯელაძე**), აგრეთვე, უკრაინაში დამატებული ფეხბურთელები (**ბატულა, კოტოვი, სიდორჩუკი, ალეინიკი, კოვალეცი, ვადიაში**).

კახელიშვილის თქმით, უკრაინელთა ძირითადი ნაწილი ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელია და მათი ასაკი 19-20 წელს არ აღემატება.

საქართველოს ჩემპიონი კიდევ ოთხ შეხვედრას ჩაატარებს და პისკოვეცი ამის შემდეგ დაასახელებს, თუ ვის დატოვებს გუნდში და ვის წაიყვანს პეტერბურგში „თანამეგობრობის თასზე".

რუსთავის „ოლიმპი" დანარჩენ მატჩებს შემდეგ განრიგით გამართავს:

12 იანვარი: **უზბეკეთის „კურუვჩი"**
13 იანვარი: **სიმფეროპოლის „ტავრია"**
14 იანვარი: **ტერნოპოლის „ნივა"**
15 იანვარი: **სიმფეროპოლის „ტავრია"**

**მერაბ მამულაშვილი**



დავით სირაძე

ლეგიონერი

# სირაძე დაბრუნდა

როგორც მოსალოდნელი იყო, **დავით სირაძე** მოედანს დღეს დაუბრუნდა. მას გასული წლის ნოემბერში ლიტვის ნაკრებთან მიღებული ტვინის შერყევის შემდეგ აღარ უთამაშია, ერთი ეგ იყო, რამდენიმე დღის წინათ ქართველმა ფორვარდმა მინიფეხბურთის ტურნირში მიიღო მონაწილეობა.

გუშინ თურქულ შეკრებაზე მყოფი "პადერბორნი" ამხანაგურ მატჩში ბილეფელდის "არმინიას" გაეჯიბრა და 1:2 დამარცხდა. სირაძემ მოედანზე მთელი მეორე ტაიმი გაატარა, იგი თამაშში საკმაოდ აქტიურად ჩაერთო. შეხვედრის პირველ ნახევარში "პადერბორნმა" ორი ბურთი მიიღო, პრესტიჟის გოლი სირაძის თანაგუნდელმა ბოშკოვიჩმა მე-80 წუთზე გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით.



დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 8 იანვრიდან 25 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა.

ფეხბურთელები არგენტინის ვიზას მიიღებენ 28 იანვრიდან და მათ ვარჯიშები არგენტინაში დაეწყებათ 1თებერვლიდან.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20**



ზაზა ჭელიძე

სავარაუდო ტრანსფერი

# ჭელიძე ოდესაში გაფრინდა

ბოლნისის "სიონში" მოვარჯიშე **ზაზა ჭელიძემ** უკრაინას მიაშურა. "ლელოსთან" საუბარში მან აღნიშნა, რომ ოდესის "ჩერნომორეცში" გადასვლის ვარიანტი აქვს და ამ საკითხზე მოლაპარაკებებს მისი აგენტი წარმართავს. გუშინ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ზაზა ჭელიძე ოდესაში მიემგზავრება. ბუნებრივია, ვითარებაში გარკვევას შევეცადეთ და ფეხბურთელს დავუკავშირდით.

*"დიახ, მართალია. ჩემმა აგენტმა დამირეკა და ოდესაში ხვალ მივფრინავ. "ჩერნომორეცში" ტესტირებას გავივლი და თუ მოწონება დავიმსახურე კონტრაქტსაც გავაფორმებ. სხვას ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ზაზა ჭელიძემ.

**დავით ცაბაძე**

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბესიკ შეროზიასთან

# გიორგი ქედია ლიტვის ჩემპიონთან ვარჯიშობს

## მგლებში დავალიანება გასტუმრებულია

ზუგდიდის „მგლებმა" მეორე წრისთვის მომზადება დაიწყო. როგორც ირკვევა, ზუგდიდელებმა პირველი წრის შემადგენლობიდან საკმაოდ მნიშვნელოვანი ფეხბურთელები დაკარგეს და გულშემატკივრის წინაშე განახლებული შემადგენლობით წარსდგებიან.

„ლელოს" ზუგდიდის „მგლების" მთავარი მწვრთნელი ბესიკ შეროზია ესაუბრება.

**- გუნდში რა სიახლეებია?**

- ორი ჩვენი ფეხბურთელი კარიერას საქართველოს ჩემპიონში გააგრძელებს. თემურ ფარულავა და გელა ხუბუა რუსთავის „ოლიმპში" ითამაშებენ, რაც შეეხება ლადო ჯოჯუას, ის გასინჯვაზე მიიწვიეს და დარჩება თუ არა, ამის შემდეგ გაირკვევა.

**- ყველა სხვა ფეხბურთელი შეინარჩუნეთ?**

- მართო ეს სამეული არაა დანაკლისი. ჩვენი თავდამსხმელი გიორგი ქედია „კაუნასში" წავიდა და ფაქტობრივად, გადაწყვეტილია რომ ის კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს. ყოველ შემთხვევაში, წინასწარი ინფორმაცია ამაზე მიუთითებს. რამდენიმე დღის წინათ ვესაუბრე ჩვენს პრეზიდენტს და მითხრა, რომ ქედიას მიმართ დიდი ინტერესია ლიტველთა მხრიდან.

**- ჯერ კონტრაქტი არ გაუფორმებია?**

- სამწუხაროდ, არანაირი ინფორმაცი არ გამაჩნია, რადგან ჯერ არც ფეხბურთელი დაგვკავშირებია. ჩვენი პრეზიდენტი ლაშა დარასელიაც წასულია და არ ვიცი რა ხდება.

ერთი კი ფაქტია, რომ ოთხივე ფეხბურთელი „მგლებისთვის" დიდი ძალას წარმოადგენდა და რა თქმა უნდა, მათ შემცვლელებზე ვფიქრობთ.

**- ვინმე უკვე დაიმატეთ?**

- ეს ყველაფერი დაზუსტებით უახლოეს დღეებში მეცოდინება. წინასწარ კი შემიძლია გითხრათ, რომ ორი-სამი კაცი აუცილებლად დაგვემატება.

ერთადერთი შემიძლია გითხრათ, რომ დავიმატეთ გიგა ჟვანია, რომელიც თავის დროზე თბილისის „სპარტაკში" გამოდიოდა, შარშან კი ჩვენთან. მერე ყაზახეთში წავიდა, ზაფხულში კი ახალციხის „მესხეთში" ჩაირიცხა. ჟვანის საკითხი გუშინ გადაწყდა.

**- როგორია „მგლების" ფინანსური მდგომარეობაა?**

- ისევე, როგორიც სეზონის დაწყებამდე იყო - საშუალო დონეზე გვაფინანსებენ. წლეულს ჩვენ დიდი ამბიციები არც გვამოძრავებდა და ამის მიუხედავად, ვფიქრობ, მაინც საკმაოდ ბევრს მივაღწიეთ. რომ არა ტრავმები, მეტიც შეგვეძლო. თუმცა ყველაფრის გათვალისწინებით, შედეგით უკმაყოფილო არ ვარ.

**- რაა დასამალი, საფეხბურთო წრეებში ბევრი კითხულობდა „მგლების" ამბავს და ჭორია თუ მართალია, ამის დადგენა თქვენგან გვსურს, თითქოს, გუნდს ფინანსურად საკმაოდ გაუჭირდა...**

- ნაღდად არაა კატასტროფული მდგომარეობა. ფეხბურთელებისადმი არსებული ყველა დავალიანება უკვე გასტუმრებულია.

**- შეკრებას სად და როდის გეგმავთ?**

- ფეხბურთელებმა რვა იანვარს სამედიცინო შემოწმება გაიარეს და მომზადებაც დავიწყეთ. ჯერ ზუგდიდში ვემზადებით და აქ ოცდაშვიდამდე გავჩერდებით. მერე კი ქობულეთში გადავინაცვლებთ და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას გავმართავთ. არაა გამორიცხული, საკონტროლო თამაშები მანამდეც ჩავატაროთ.

**- მეორე წრეში რა მიზნებისთვის იბრძოლებთ?**

- ისევე როგორც პირველ წრეში, ყველა მატჩში რომ დავიხარჯოთ და ყველაზე ძლიერ მეტოქესთანაც ღირსეულად ვითამაშოთ. ვფიქრობ, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაგვიჭირდეს.

**- სტადიონის მშნებელობა დიდი ტემპებით დაიწყო, თუმცა ჯერ მხოლოდ სამუშაოთა ნაწილია ჩატარებული. ამჟამად როგორი მდგომარეობაა?**

- ბუნებრივია, ზამთარში, სიცივეების გამო, მუშაობა შეჩერებულია. ერთი მხარე ინდივიდუალური სკამებით გაწყობილია და ალბათ, გაზაფხულზე მუშაობა გაგრძელდება.

**მერაბ მამულაშვილი**



ბესიკ შეროზია



ოთარ ხიზანეიშვილი

# ოთარის 90 წუთი

ძალიან დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც **ოთარ ხიზანეიშვილმა** "ფრაიბურგის", ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. საქართველოს ნაკრების მცველი გერმანული კლუბის რიგებში პირველივე წუთიდან გუშინ გამოჩნდა, ბრემენის "ვერდერთან" გამართულ საკონტროლო მატჩში. შეხვედრის სტატუსის მიუხედავად, ხიზანეიშვილის მიერ ჩატარებული 90 წუთი ქართველი ქომაგებისთვის მაინც სასიამოვნო ამბავი უნდა იყოს.

შეგახსენებთ, "ფრაიბურგი" ამჟამად თურქულ შეკრებაზე იმყოფება და "ვერდერს" იქვე გაეჯიბრა. მატჩი უფრო ძლიერი ბრემენელების აშკარა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით, 2:0 დასრულდა. ოთარმა დაცვის ცენტრში ითამაშა მთავარი კონკურენტის, ჩეხი **კრმაშის** მხარდამხარ. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ეს ორი უკანახაზელი ერთდროულად გამწესეს სასტარტოში...

**ლევან ჯანეზაშვილი**

თარიღი

# დაუვიწყარი...

12 იანვარს ვიხსენებთ მსოფლიო ფეხბურთის ჩაუქრობელ ვარსკვლავს, ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს, "ფინტების...მეფეს" მიხეილ მესხს.



## დღეს მიშა მესხის დაბადების დღეა

12 იანვარი და 22 აპრილი - მისი გარდაცვალების დღე, განუყოფელია ფეხბურთის ამ ჯადოქრის ბიოგრაფიაში.

წლები მირბის....შარშან, როცა მიხეილ მესხს დაბადებიდან 70 წლისთავი შეუსრულდა, ქვეყანას მოევლინა კიდევ ერთი მიხეილ მესხი, მეთერთმეტე შვილიშვილი....

## სიცოცხლე გრძელდება...

დღეს კი ყველასთვის საყვარელ და დაუვიწყარ ფეხბურთელს დაბადებიდან 71 წელი შეუსრულდებოდა.

ვაჟა ქიაურელი

**მიხეილ მესხი.** 12.01.1937. თბილისი. – 22.04.1991. იქვე. ფეხბურთი, თავდამსხმელი. თამაშობდა თბილისის " დინამოსა " (1954-69) და "ლოკომოტივში" (1970) სსრკ ნაკრებში ჩაატარა 35 მატჩი (4 გოლი). ევროპის ჩემპიონი (1960), მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე (1962). სსრკ უმაღლეს ლიგაში ითამაშა 284 მატჩი (54 გოლი). სსრკ ჩემპიონი (1964) და სამგზის მესამე პრიზიორი (1959,62,67) სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი (1960). იყო თბილისის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის " ავაზას " დირექტორი (1969-იდან გარდაცვალებამდე). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი (გარდაცვალების შემდეგ).



საკლუბო რეიტინგი

# მხოლოდ დინამო

მსოფლიო ფეხბურთის სტატისტიკისა და ისტორიის საერთაშორისო ფედერაციამ ახალი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. ამ 350-გუნდიან ჩამონათვალში საქართველოს წარმომადგენელთაგან მხოლოდ "დინამოა" შეყვანილი; თბილისელები 303-ე პოზიციას იყოფენ შვეიცარიულ "სიონთან", იტალიურ "რეჯინასთან", ნიკარაგუულ "ესტელთან", მოლდოვურ "ნისტრუსთან", ხორვატულ "ჰაიდუკთან", ესპანურ "ბილბაოსთან", ასევე კოლუმბიურ "ონსე კალდასა" და "ინდეპენდიენტესთან".

შეგახსენებთ, სხვადასხვა დროს ჩვენი ქვეყნიდან ამ რეიტინგში "დინამოს" გარდა, "თბილისი", "ვიტ ჯორჯია", "ამერი", "ზესტაფონი" და "ოლიმპი" მოხვედრილან.

| ათეული |
| --- |
| სევილია (ესპანეთი) |
| მანჩესტერი (ინგლისი) |
| მილანი (იტალია) |
| ჩელსი (ინგლისი) |
| სანტოსი (ბრაზილია) |
| ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) |
| ინტერი (იტალია) |
| ლივერპული (ინგლისი) |
| რომა (იტალია) |
| ამერიკა (მექსიკა) |

ლევან ჯანეზაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა საშეღავათო გარემოში
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოურ პრესაში.
ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

# არც ერთი სიტყვა ევროპაზე...



**მალხაზ ასათიანი მოსკოვის "ლოკომოტივთან" ერთად, ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. მან "სპორტ-ექსპრესს" ბლიც-ინტერვიუ მისცა, სადაც სამომავლო გეგმებზე საუბრობს. საქართველოს ნაკრების ლიდერს არაფერი უთქვამს სავარაუდო ტრანსფერის შესახებ. უკვე გადაწყვეტილია, რომ ასათიანი მინიმუმ ზაფხულამდე ნავთსაყუდელს არ შეიცვლის, მოარული ხმები მისი ძლიერ უცხოურ კლუბში გადასვლის შესახებ ხმებადვე რჩება...**

- ახალი წელი ახალი სამედიცინო ბარათით დავიწყე. ძველი დავკარგე, რამაც ჩემი გამოკვლევის შეფერხება გამოიწვია. კიდევ კარგი, ყველაფერი დროულად მოგვარდა და ფორმალობები დროულად გავიარე.

**- შვებულება ზღვაზე ხომ არ გაგიტარებიათ?**

- ცურვა არ ვიცი, ისე კი მინდოდა ზღვაზე წასვლა, მაგრამ ოჯახში დარჩენა გადავწყვიტე. ჩემს მშობლიურ ქალაქში ვიყავი და საყვარელი ადამიანების გარემოცვაში ყოფნით დიდი სიამოვნება მივიღე.

**- შვებულებაში წასვლამდე "ლოკომოტივის" ახალი მთავარი მწვრთნელის, რაშიდ რახიმოვის გაცნობა თუ მოასწარით?**

- კი, რახიმოვი ჯერ კლუბის კრებაზე წარმოგვიდგინეს, შემდეგ კი იგი ფეხბურთელებს სათითაოდ გაგვესაუბრა.

**- რა თემაზე?**

- ზოგადი საუბრები იყო, გუნდის მომავალზე ვილაპარაკეთ. ჯერ მის სტილს არ ვიცნობთ, იმედია, რახიმოვთან მუშაობა ყველა ჩვენგანისთვის სასიამოვნო და საინტერესო იქნება.

**- ახალი სეზონისგან რას ელით?**

- უპირველეს ყოვლისა, კარგ და შედეგიან თამაშს. ამას ჩვენგან ხელმძღვანელობაც ელის და გულშემატკივრებიც. წინა სეზონი ჩავაგდეთ და ვალში ვართ იმ ხალხის წინაშე, რომელიც სტადიონზე მოდის და ერთგულად გვქომაგობს. პირადად ჩემთვისაც, 2007 წლის სეზონი ყველაზე ცუდი იყო "ლოკომოტივში" თამაშის პერიოდში. ძალიან მინდა, ახალ სეზონში გულშემატკივრებს ის "ლოკომოტივი" გავახსენოთ, რომელიც მათ ახარებდათ და რუსეთში პირველი იყო.

**- საამისოდ რისი გაკეთებაა საჭირო?**

- პირველ რიგში, გუნდური თამაშის გაუმჯობესებაა აუცილებელი, მჯერა, ამას შევძლებთ და მალე უწინდელზე გაცილებით სტაბილური გუნდი გვეყოლება.

**- ჩემპიონობის შანსი თუ გაქვთ?**

- ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის ჩემპიონატის დონე საგრძნობლად ამაღლდა. პრემიერლიგაში არაერთი ძლიერი კლუბია. მესამე ადგილს მიზნად არავინ ისახავს, ყველა წამყვან გუნდს ჩემპიონობა სურს. ეს ჩვენი ამოცანაცაა და ვნახოთ, რა გამოგვივა.

**- რახიმოვს გუნდის გაახალგაზრდავება სურს...**

- ძალიანაც კარგი, "ლოკომოტივს" ეს მართლაც არ აწყენდა.

**- გასულ სეზონში "ლოკომოტივი" ხან სამი, ხანაც ოთხი მცველით თამაშობდა. თქვენ რომელი ტაქტიკა გირჩევნიათ.**

- ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, ორივე შემთხვევაში ჩემს საქმეს ნორმალურად ვაკეთებ.

**- ბრანისლავ ივანოვიჩი "ჩელსიში" გადავიდა. ეს დიდ დანაკლისად მიგაჩნიათ?**

- რა თქმა უნდა. იგი ჩემი საუკეთესო პარტნიორი იყო. დარწმუნებული ვარ, რომ ბრანისლავი არც ინგლისში შეირცხვენს თავს.

**- პირველ შეკრებაზე "ლოკომოტივი" თურქეთში გაემგზავრება. თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, საამისოდ რომელ ქვეყანას აირჩევდით?**

- შარშან არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ვიყავით და ძალიან მომეწონა, თუმცა არც თურქეთია ცუდი.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

---

**გუშინ ერთ-ერთმა უკრაინულმა ვებგვერდმა საქართველოს ნაკრებისა და კიევის "არსენალის" ფორვარდ გიორგი დემეტრაძესთან ონლაინ ინტერვიუ გამოაქვეყნა. დემეტრაძე ინტერნეტით პასუხობდა გულშემატკივართა კითხვებს. ინტერვიუ ქართველი მკითხველისთვისაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული.**



ინტერვიუ გიორგი დემეტრაძესთან

# ყველაზე ლამაზი გოგონები კიევში არიან...

## რა უმღერა დემეტრაძეს უკრაინის პრეზიდენტის ცოლმა და რატომ?

**- „არსენალში" თქვენზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ძალიან ცოტა მატჩი ითამაშეთ. ამას რით ახსნით?**

- ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვეულ ფორმაში არ ვიყავი. გუნდთან ერთად ზამთრის მოსამზადებელ შეკრებას გავივლი და უკეთ ავთამაშდები, ისე როგორც "ალანიაში" ასპარეზობისას ვიყავი.

**- "არსენალთან" რა ხანგრძლივობის კონტრაქტი გაკავშირებთ და აპირებთY თუ არა ხელშეკრულების გაგრძელებას?**

- კიევურ კლუბს კიდევ წლინახევარით ვეკუთვნი. კონტრაქტის გაგრძელება? შესაძლოა გავარგძელო კიდეც.

**- სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატებში გითამაშიათ და ყველაზე მეტად რომელი მოგეწონათ?**

- უკრაინის გარდა ესპანეთში, რუსეთსა და ჰოლანდიაში ვთამაშობდი. ხალხის ფეხბურთისადმი დამოკიდებულებისა და ჩემპიონატის დონის მიხედვით, ესპანეთს გამოვარჩევდი.

**- როგორ ფიქრობთ, "არსენალი" შეძლებს უეფას თასზე გამსვლელი საგზურის მოპოვებას?**

- მეორე წრე დაძაბული იქნება. ამ მიზნის მისაღწევად კარგ პოზიციაზე ვიმყოფებით. ქულები არ უნდა დავკარგოთ და უეფას თასზეც ვიასპარეზებთ.

**- თავის დროზე კიევის "დინამოში" იყავით, მაგრამ გუნდში ვერ ჩაჯექით და მალევე ესპანეთს მიაშურეთ. რატომ?**

- ალბათ იმიტომ, რომ მოკლე ხანში ვერ შევძელი ადაპტაციის გავლა. გუნდში დიდი კონკურენცია იყო, ესპანეთიდან წინადადება მივიღე და უარიც არ მითქვამს.

**- "ფეიენოორდში" გატარებული პერიოდიდან რა დაგამახსოვრდათ?**

- იქ სულ სხვა, მაღალი დონის ვარჯიშები იყო, მსგავსი თანამეგობრობის სივრცეში არსად მინახავს. ტექნიკურ ფეხბურთს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

**- ახალ წელს როგორ და სად შეხვდით?**

- ოჯახურ გარემოში შევხდი, მერე კი კახი კალაძესთან და სხვა ახლობლებთან ერთად რესტორანს მივაშურე.

**- პოლიტიკა რამდენად გაინტერესებთ და ვის მიეცით ხმა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებზე?**

- პოლიტიკით აქტიურად ვარ დაინტერესებული. არჩევნებზე კი სააკაშვილს მივეცი ხმა, რადგან მან საქართველოში ბევრი კარგი რამ გააკეთა და ჩემს სამშობლოში ცხოვრება უკეთესი გახდა.

**- თქვენს მეგობარ კახა კალაძეს ბოლოს როდის ესაუბრეთ? კარიერის დასრულების შემდეგ ორივენი მართლა კიევში აპირებთ ცხოვრებას?**

- კახას გუშინ ვესაუბრე ტელეფონით. დიახ, კარიერის დასრულების შემდეგ, ორივენი კიევში ვაპირებთ ცხოვრებას. ისე კი საიდუმლოდ ერთს გეტყვით – ყველაზე ლამაზი გოგონები კიევში არიან.

**- საქართველოს ნაკრები რატომ ვერ აჩვენებს უკეთეს შედეგს? რა მისცა გუნდს კლაუს ტოპმიოლერმა?**

- საქართველოს ნაკრებში კარგი ფეხბურთელები არიან. უკეთესი შედეგიც გვექნებოდა გაუმართლებლობა და ტრავმები ხელს რომ არ გვიშლიდეს. კლაუს ტოპმიოლერი კარგი სპეციალისტია და ჩვენს ნაკრებს ყველაფერი წინ აქვს.

**- კარიერის განმავლობაში არაერთი გოლი გაგიტანიათ. ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?**

- ჩემპიონთა ლიგაში "ბაიერნის" კარში გატანილ გოლს გამოვარჩევდი.

**- რატომ ვერ მოიკიდეთ ფეხი "სოსიედადში"?**

- ჯერ მუხლის ტრავმამ შემიშალა ხელი, მერე კი ლეგიონერებზე არსებულმა ლიმიტმა.

**- რამდენადაც ვიცი 24 წლის რომ შესრულდით დაბადების დღე უკრაინის პრეზიდენტის ცოლმა მოგილოცათ. მართალია?**

- დიახ, მართალია. ერთ-ერთი მატჩის შემდეგ ლიუდმილა კუჩმამ დაბადების დღე მომილოცა და "თბილისოც" წაიმღერა. ძალიან მესიამოვნა და გავოცდი კიდეც.

**- არაერთ ქალაქში გიცხოვრიათ. ყველაზე უფრო სად გრძნობდით თავს კომფორტულად?**

- ვლადიკავკაზში. იქ ძალიან უყვართ "ალანია", ეს კი ჩემთვის ყველაზე მთავარია.

**- რომელი კერძი გიყვართ ყველაზე მეტად?**

- კარტოფილი ხორცით.

**- თქვენი ჰობი?**

- მეგობრებთან ურთიერთობა.

**- რომელი მარკის მანქანას ანიჭებთ უპირატესობას?**

- "მერსედესს", რადგან ამ მარკის მანქანები ყველაზე უფრო ხარისხიანია.

**- თქვენი საყვარელი ფილმი, მსახიობი და მუსიკა?**

- ფილმი "ერთხელ ამერიკაში". მიყვარს იტალიური სიმღერები და ქართველი მსახიობები.

**- ფეხბურთში თქვენი კერპი ვინაა?**

- დიეგო მარადონა.

**- ახლა რა ავტომობილი გყავთ?**

- მყავდა "AUDI" C8, მინდა BMW X5 ვიყიდო.

**- ყველაზე მეტად რომელი ქვეყნის სამზარეულო მოგწონთ?**

- ქართული, განსაკუთრებით კი ხორციანი კერძები მომწონს.

**- საუკეთესო კლუბი?**

- "მილანი".

**- ყველაზე მეტად რომელი თამაში დაგამახსოვრდათ?**

- ჩემიონტა ლიგაზე "ანდერლეხტთან" 4:0 მოგება. ჩემი დაბადების დღე იყო და ორი გოლი გავიტანე.

**- რამდენი წლის იყავით ფეხბურთზე სიარული რომ დაიწყეთ?**

- 6 წლიდან ფეხბურთზე დავდივარ.

**- რომელ ევროპულ გრანდში გინდათ რომ ითამაშოთ?**

- მადრიდის 'რეალში".

**- რომელი ფირმის ტანსაცმელს გამოარჩევთ და გცმიათ თუ არა ოდესმე ფრაკი?**

- "დოლჩე გაბანას" გამოვარჩევდი. ფრაკი ერთხელ მეცვა დაჯილდოვების ცერემონიალზე.

მოამზადა
დავით **ცაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი. ახალი დამრიგებელი ივლისიდან

# ჰიტცფელდს კლინსმანი შეცვლის!

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ „ბაიერნმა" ახალი მწვრთნელის ძებნის პირველი სიმპტომები გამოავლინა. დღეს კი უნდა გამცნოთ, რომ მიუნხენურმა კლუბმა ოტმარ ჰიტცფელდის შემცვლელი უკვე იპოვა! ამას წინათ ული ჰიონესმა თქვა, შესაძლოა, ახალი მწვრთნელი სამ თვეში წარვადგინოთ, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ეს სამ კვირაში მოხდესო. სპეციალისტი, რომელიც რეკორდმაისტერს ზაფხულიდან უთავკაცებს „ბაიერნმა" გაცილებით ადრე, გუშინ წარადგინა და მას იურგენ კლინსმანი ჰქვია!



გუშინ მიუნხენში. ივლისიდან იურგენ კლინსმანის კარიერაში ახალი ეპოქა დაიწყება

„სასურველი კანდიდატი", „შესანიშნავი ადამიანი", „აზრიანი მწვრთნელი" – აი, ასეთი სიტყვებით ამკობდნენ „ბაიერნის" ხელმძღვანელები კლინსმანს გუშინდელ პრესკონფერენციაზე. გუშინ დილით, ყველასათვის მოულოდნელად, „ბაიერნის" ოფიციალურ ვებ გვერდზე დაიწერა, რომ კლინსმანთან შეთანხმება მიღწეულია და რომ ზაფხულში ჰიტცფელდს სწორედ კლინსი შეცვლის. ანუ, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა და „ბაიერნის" ქომაგებმა იმის გაგებაც კი ვერ მოასწრეს, რომ კლინსმანთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, პირდაპირ ის შეიტყვეს, რომ კლინსმანის დანიშვნა გადაწყდა.

კლინსიმ „ბაიერნთან" ორწლიანი კონტრაქტი (2008 წლის ზაფხულიდან 2010 წლის ზაფხულამდე) გააფორმა. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ოჯახთან ერთად გერმანიაში იცხოვრებს. FCB-ს შეფებმა იურგენი მიუნხენის სასტუმრო „არაბელა შერატონში" ნაშუადღევს, გერმანიის დროით 16 საათზე წარადგინეს. გაირკვა, რომ ბოსები კლინსმანს მას მერე დაუკავშირდნენ, რაც **ჰიტცფელდმა ული ჰიონესს** ამცნო, კონტრაქტის გაგრძელებას არ ვაპირებო. კლინსის ზუსტად ერთი დღე უფიქრია და ულისთვის დადებითი პასუხი უცნობებია. ჰიონესი გუშინდელ პრესკონფერენციაზე იურგენს ძალიან აქებდა, არადა ყველას გვახსოვს, თუ როგორ აკრიტიკებდა „ბაიერნის" მენეჯერი კლინსმანს, როცა ეს უკანასკნელი ბუნდესმწვრთნელი იყო. სულ რაღაც ორი წლის წინათ ჰიონესი კლინსმანს ეგოისტს უწოდებდა.

*„მიხარია, რომ კლინსმანი დაგვთანხმდა. ჩვენ მისი სახით მივიღეთ ძალიან მაღალი დონის სპეციალისტი, მოაზროვნე ადამიანი. ჩვენ ისეთ მწვრთნელს ვეძებდით, რომელსაც საკუთარი აზრი გააჩნია და ფეხბურთელებთან ურთიერთობა შეუძლია. კლინსმანი სწორედ ასეთია. არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენ შეგვიძლია დავითანხმოთ ყველა, ვისი დათანხმებაც გვინდა!"* – განაცხადა ჰიონესმა.

*„ბედნიერი ვარ. „ბაიერნის" გაწვრთნა ჩემთვის უდიდესი პატივია. როცა ულიმ დამირეკა, ჩემმა მეუღლემ ძალიან მალევე მითხრა, რატომაც არა, წავიდეთ გერმანიაშიო. ამის შემდეგ მეც სერიოზულად დავფიქრდი და გადავწყვიტე, რომ ეს წინადადება მიმეღო. კარგად ვიცი, რა საქმესაც მოვკიდე ხელი და ისიც ვიცი, რომ „ბაიერნის" გაწვრთნა უდიდესი პასუხისმგებლობაა და რომ ეს არ არის იოლი სამსახური. შემიძლია გითხრათ, რომ მე მზად ვარ ამ ყველაფრისთვის."* – ეს კი კლინსმანის სიტყვებია.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ იქნება კლინსმანის თანაშემწე. იურგენს ამის შესახებ არაფერი უთქვამს, ის კი განაცხადა, რომ სამწვრთნელო შტაბს ძირითადად ამერიკელი სპეციალისტებით დააკომპლექტებს. კლინსმანი: *„აქამდე კლუბში არასდროს მიმუშავია. ვფიქრობ, კლუბში მწვრთნელს უფრო ეძლევა იმის საშუალება, რომ თავისი შესაძლებლობები გამოავლინოს და თითოეული ფეხბურთელის აღზრდაზე გავლენა იქონიოს. საკლუბო ფეხბურთში მუშაობა ძალიან მინდოდა. გამიმართლა: ზაფხულიდან მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში ვიმუშავებ!"*

### ოტმარ ჰიტცფელდი: ეს იდეალური გადაწყვეტილებაა!

„ბაიერნის" ხელმძღვანელების მიერ გაცხადებულმა ამ გადაწყვეტილებამ და გუშინდელმა პრესკონფერენციამ გერმანიაში უდიდესი ექო გამოიწვია. გთავაზობთ გერმანული საფეხბურთო ოჯახის წარმომადგენლების კომენტარებს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ჰიტცფელდი „ბაიერნის" ბოსების ამ გადაწყვეტილებას იდეალურს უწოდებს.

ოტმარ ჰიტცფელდი: *„როცა შევიტყვე, რომ ხელმძღვანელებმა კლინსმანის დანიშვნა გადაწყვიტეს, მაშინვე ული ჰიონესს დავურეკე და მივულოცე. კლინსი შესანიშნავი მწვრთნელია და რაც მთავარია, ის კარგად იცნობს „ბაიერნს". თანაც, დააკვირდით, მან გერმანულის გარდა იტალიური, ინგლისური და ფრანგული ენებიც იცის. შესაბამისად, ფეხბურთელებთან კონტაქტის პრობლემა არ ექნება. ის შესანიშნავი მოტივატორი და ნიჭიერი სპეციალისტია. მე ამ გადაწყვეტილებას იდეალურს ვიწოდებ!"*

ოლივერ კანი: *„ამ საკითხს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ამ თემაზე არ ვფიქრობ. როგორც გუნდის კაპიტანი, ახლა მხოლოდ აწმყოზე ვარ კონცენტრირებული. თუ ვინ გაწვრთნის „ბაიერნს" მომდევნო სეზონში, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ამ სეზონის დასრულებისთანავე კარიერას ვამთავრებ. იურგენ კლინსმანს „ბაიერნის" მწვრთნელის რანგში, რა თქმა უნდა, წარმატებებს ვუსურვებ."*

მიროსლავ კლოზე: *„ეს შესანიშნავი გადაწყვეტილებაა. ძალიან გვიხარია, რომ ჩვენი მწვრთნელი კლინსმანი იქნება."*

ვილი სანიოლი: *„ძალიან მიხარია, რომ უკვე გაირკვა, თუ ვინ იქნება „ბაიერნის" მწვრთნელი მომავალ სეზონში და რომ ეს იურგენ კლინსმანი იქნება."*

ლუკას პოდოლსკი: *„გერმანიის ნაკრებში მის ხელში ბედნიერი ვიყავი. მჯერა, რომ „ბაიერნშიც" ასე იქნება."*

ბასტიან შვაინშტაიგერი: *„გერმანიის ნაკრებიდან ვიცით, ვინც არის კლინსმანი და რაც შეუძლია მას. ის იდეალური მწვრთნელია და თავის დროზე იდეალური ფეხბურთელი იყო."*

იოახიმ ლიოვი: *„ჩემთვის ეს სიურპრიზია. კლინსმანთან თითქმის ყოველდღიური კონტაქტი მაქვს და ბოლო საუბრებიდან დავასკვენი, რომ სამწვრთნელო საქმეს ძალიან მალე დაუბრუნდებოდა. კლინსი გერმანული ფეხბურთის საჩუქარია! ჩემთვის ძალიან საინტერესო პროექტია ის, რომ გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, რომელსაც ბუნდესგუნდში ძალიან წარმატებული პერიოდი ჰქონდა, გერმანიის უძლიერეს კლუბს უთავკაცებს. ძალიან მიხარია, რომ კლინსმანი „ბაიერნში" დაინიშნება."*

თეო ცვანციგერი (გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი): *„იურგენმა გერმანული ფეხბურთისთვის უკვე ძალიან ბევრი რამ გააკეთა და მჯერა, რომ „ბაიერნშიც" წარმატებებს მიაღწევს. მიხარია, რომ გერმანიაში ბრუნდება."*

ოლივერ ბირჰოფი (გერმანიის ნაკრების მენეჯერი): *„იურგენი ყოველთვის სენსაციებს გვთავაზობს. ასე იყო ბუნდესგუნდში და ასე იქნება „ბაიერნშიც". მიხარია, რომ გერმანიაში იცხოვრებს, მისი დანიშვნა ბუნდესლიგასაც უფრო საინტერესოს გახდის."*

თომას შააფი (ვერდერის მთავარი მწვრთნელი): *„კლინსის გერმანიის ნაკრებში წარმატებები ჰქონდა. „ბაიერნსაც" უნდა, რომ წარმატებული იყოს. ექნება თუ არა კლინსმანს „ბაიერნში" წარმატებები? ჩემი აზრით, ამაზე არ უნდა ვიფიქრო."*

ტორსტენ ფრინგსი (ვერდერი): *„ეს ამბავი არ მაინტერესებს. მართლა არ მაინტერესებს!"*

კლაუს ალოფსი (ვერდერის მენეჯერი): *„ეს ფაქტი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. როგორც მოსალოდნელი იყო, „ბაიერნმა" იდეალური გადაწყვეტილება მიიღო. ვიმედოვნებ, რომ კლინსმანი გერმანიის მოქმედ ჩემპიონს არ ჩაიბარებს, რადგან წელს ჩემპიონები ჩვენ უნდა გავხდეთ. ბევრი იფიქრებს, კლინსმანის დანიშვნის შემდეგ „ბაიერნის" ფეხბურთელებს ბუნდესგუნდში თამაში განაღდებული ექნებათო. მე ასე არ ვფიქრობ."*

უდო ლატეკი: *„სანაკრებო და საკლუბო სამსახურები ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავდება. მართალია, კლინსმანი „ბაიერნის" მწვრთნელად ზაფხულიდან დაინიშნება, მაგრამ აქედანვე იწყებს მუშაობას და მას ერთი წუთიც არ ექნება თავისუფალი. იურგენი ინტელიგენტია, მაგრამ ამავე დროს ჯიუტიც. ერთიც ვნახოთ, როგორ შეეწყობა „ბაიერნის" შეფებს. მოკლედ, მომდევნო ეს სეზონში ძალიან საინტერესო ამბები გველის. გავიხსენოთ, რომ კლინსმანი გერმანიის ნაკრებში უფრო შეფი იყო, ან მენეჯერი. მწვრთნელის მოვალეობების 80 პროცენტს კი, ბუნდესგუნდში იოახიმ ლიოვი ასრულებდა."*

რუდი ფიოლერი (ლევერკუზენის სპორტული დირექტორი): *„ცხადი იყო, რომ კლინსი სამწვრთნელო საქმეს დაუბრუნდებოდა. მე მეგონა, რომ ის ინგლისშუ უფრო წავიდოდა, მაგრამ შევცდი. ვულოცავ იურგენს – ის შესანიშნავი გუნდის მწვრთნელი ხდება. კლინსმანი და „ბაიერნი" – ეს პროექტი გაამართლებს."*

ფრანც ბეკენბაუერი (ბაიერნის პრეზიდენტი): *„მე არ მივიჩნევ, რომ ეს გადაწყვეტილება ძალიან რისკიანი და ვაჟკაცურია. ეს არის ჭკვიანური და კარგად მოფიქრებული გადაწყვეტილება. იურგენმა თავისი ახალი მეთოდებით ბუნდესნაკრებში წარმატებებს მიაღწია და მე დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებებს „ბაიერნშიც" მიაღწევს."*

ანგელა მერკელი (გერმანიის კანცლერი): *„როგორც გერმანიის კანცლერს და როგორც უბრალოდ გერმანელს, ძალიან მიხარია, რომ ისეთი შესანიშნავი პიროვნება, როგორიც იურგენ კლინსმანია, გერმანიაში ბრუნდება. მიუნხენის „ბაიერნში" მას წარმატებებს ვუსურვებ."*

### იურგენის გზა ბაიერნამდე

განათლებით პურის მცხობელს ბუნდესლიგაში დებიუტი 1984 წელს, „შტუტგარტის" რიგებში ჰქონდა. 20 წლის შემდეგ კი, იურგენ კლინსმანი გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა. ახლა კი, კლინსიმ გერმანიის რეკორდმაისტერთან, მიუნხენის „ბაიერნთან" გააფორმა კონტრაქტი.

მისმა აქტიურმა სპორტულმა კარიერამ ზღაპრულად ჩაიარა. 1988 წელს 19 გოლით გერმანიის პირველობის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მერე კი ორჯერ მოიგო უეფას თასი: 1991 წელს მილანის „ინტერში", 1996 წელს კი „ბაიერნში". გერმანიის ნაკრებთან ერთად კლინსი 1990 წელს მსოფლიოს, ხოლო 1996 წელს კი ევროპის ჩემპიონი გახდა. იურგენს გერმანიის პირველ გუნდში 108 თამაშში 47 გოლი დაუგროვდა, აქტიური სპორტული კარიერის განმავლობაში სამ მუნდიალზე ითამაშა და ბუცები ლურსმანზე 1998 წელს დაკიდა. ამის შემდეგ იურგენი საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა, გახდა სპორტული მრჩეველი და სამწვრთნელო საქმის შესწავლას შეუდგა.

2004 წელს კლინსი გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ინიშნება. ბუნდესმწვრთნელის რანგში მან გერმანიის ნაკრების გაახალგაზრდავება დაიწყო. მან ბუნდესგუნდში უამრავი ახალი მეთოდი და ვარჯიშები დაამკვიდრა, რის გამოც თავიდან ხშირად დასცინოდნენ და აკრიტიკებდნენ. იმის გამო, რომ გერმანიის ნაკრების მწვრთნელი იყო და ამერიკაში ცხოვრობდა, კლინსის ყველა აკრიტიკებდა, მათ შორის თვითონ გერმანიის საფეხბურთო კავშირიც. მისმა კრიტიკამ ზენიტს მაშინ მიაღწია, როცა კლინსმანმა გამოაცხადა, რომ 2006 წლის მუნდიალზე გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე არა **ოლივერ კანი**, არამედ **იენს ლემანი** იქნებოდა. ამ გადაწყვეტილებამ განსაკუთრებით „ბაიერნის" ბოსები ალაშფოთა.

მაგრამ 2006 წლის მუნდიალზე მიღწეულმა წარმატებამ (მესამე ადგილი, რაც ბუნდესნაკრებს უდიდეს მიღწევად ჩაეთვალა) კლინსმანი 100 პროცენტით გაამართლა. გერმანიის ნაკრები მას შემდეგ მუდმივად უმატებს და ეს სწორედ კლინსმანის დაწყებული საქმეა. „ზაფხულის ზღაპარი", როგორც გერმანიაში 2006 წლის მუნდიალს უწოდებენ, მესამე ადგილით დასრულდა და ამის შემდეგ ყველა კრიტიკოსმა კლინსმანის მხარე დაიჭირა. მიუხედავად ამისა, წარმოშობით შვაბმა იურგენმა 2006 წლის 11 ივლისს ბუნდესმწვრთნელის პოსტი დატოვა და ლოს ანჯელესში დაბრუნდა. 2006 წლის მიწურულს იურგენი აშშ-ის საფეხბურთო კავშირთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს – მას აშშ-ის ნაკრების გაწვრთნას სთავაზობდნენ. მხარეები შეთანხმებასთან ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ კონსენსუსს მაინც ვერ მიაღწიეს.

მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2004-დან 2006 წლის ზაფხულამდე კლინსმანმა გერმანული ფეხბურთი მაგრად შეცვალა, შეცვალა უკეთესობისკენ. 2008 წლის 11 იანვარი კი მის მიერ შემოთავაზებული მორიგი სენსაციაა: 1 ივლისიდან კლინსმანი „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი გახდება. FCB პირველი კლუბი იქნება, რომელსაც კლინსმანი გაწვრთნის.

გოტფრიდ ლენცი

### დოსიე
## იურგენ კლინსმანი

**დაბადების თარიღი და ადგილი:** 1964 წლის 30 ივლისი, გიოპინგენი

**ოჯახური მდგომარეობა:** ჰყავს ამერიკელი მეუღლე დები და ორი შვილი (ჯონათანი და ლეილა).

**კლუბები:** „გინგენი" (1972-77), „გაიზლინგენი" (1977-80), „შტუტგარტერ კიკერსი" (1980-84), „შტუტგარტი" (1984-89), „ინტერი" (1989-92), „მონაკო" (1992-94), „ტოტენჰემი" (1994-95), „ბაიერნი" (1995-97), „სამპდორია" (1997, ივლისიდან დეკემბრამდე), „ტოტენჰემი" (1998, იანვრიდან ივნისამდე).

**ბუნდესლიგა:** 221 თამაში, 110 გოლი.

**ბაიერნი:** 65 თამაში, 31 გოლი.

**იტალიის სერია A:** 103 თამაში, 36 გოლი.

**საფრანგეთი:** 65 თამაში, 29 გოლი.

**ინგლისის პრემიერლიგა:** 56 თამაში, 29 გოლი.

**ევროტურნირები:** 58 თამაში, 27 გოლი.

**გერმანიის ნაკრები:** 108 თამაში, 47 გოლი.

**ტიტულები:** მსოფლიოს ჩემპიონი (1990), ევროპის ჩემპიონი (1996), გერმანიის ჩემპიონი (1997), უეფას თასის მფლობელი (1991, 1996).

**სხვადასხვა:** 1995 წლის 22 თებერვლიდან 1998 წლის 4 ივლისამდე იყო გერმანიის ნაკრების კაპიტანი; 1988 და 1994 წლებში აღიარეს გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელად; 1988 წელს გახდა ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი; 1995 წელს აღიარეს პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად; გერმანიის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა 1987 წლის 12 დეკემბერს (ბრაზილიასთან 1:1); გერმანიის ნაკრებში ბოლო თამაში ჩაატარა 1998 წელს, მუნდიალის მეოთხედფინალში ხორვატიასთან (0:3).

**სამწვრთნელო კარიერა:** 2004 წლის 29 ივლისიდან 2006 წლის 12 ივლისამდე იყო გერმანიის ნაკრების მთავარი მწვლთნელი – 34 თამაში, 21 მოგება, 7 ფრე, 6 მარცხი. 2006 წლის მუნდიალზე მისი გერმანია მესამე ადგილზე გავიდა.



1995-1997 წლებში იურგენ კლინსმანი „ბაიერნის" ფეხბურთელი იყო

იტალია. სერია A. XVIII ტურის წინ

# პატოს დებიუტი

## შეძლებს მილანი პირველი საშინაო მატჩის მოგებას?

**დღეს**

ემპოლი-რეჯინა
კატანია-იუვენტუსი

**ხვალ**

ატალანტა-რომა
კალიარი-უდინეზე
ლაციო-ჯენოა
პარმა-ფიორენტინა
სამპდორია-პალერმო
სიენა-ინტერი
ტორინო-ლივორნო
მილანი-ნაპოლი

ოცდღიანი პაუზის შემდეგ დღეს სერია A განახლდება. ტური იწყება ემპოლიში, სადაც ადგილობრივი გუნდი „რეჯინას" მასპინძლობს. **ალბერტო მალეზანის** ხელში „ემპოლი" აშკარად გამოსწორდა, თუმც სატურნირო მდგომარეობა კვლავაც მძიმეა. მწვრთნელს პრობლემები აქვს დაცვაში, სადაც დისკვალიფიცირებული **ფრანჩესკო პრატალი** და **დავიდე მორო** არ იქნებიან. იტალიური ვებგვერდები წერენ **ლევან მჭედლიძეზეც**. მაგალითად, „ჩენელსა" და „გაძეტა დელო სპორტში" ვკითხულობთ: „ემპოლის" არ ეყოლება ტრავმირებული ქართველი ლევან მჭედლიძე. საინტერესოა, რომ ადრე „ჩენელი" ჩვენებურს საერთოდ არ ახსენებდა. რაც შეეხება „რეჯინას", დანაკლისი აქაც არის, აქაც დისკვალიფიკაციის გამო და აქაც მცველი: **სალვატორე არონიკა**.

„იუვენტუსი" სიცილიის სტუმარია. „ბებერი ქალბატონისთვის" „კატანიასთან" მატჩი იოლი არ იქნება, იმის მიუხედავადაც, რომ დაცვასა და ნახევარდაცვაში ორი წამყვანი მოთამაშე აკლია: **ჯენარო სარდო** და ექსიუვენტუსელი **დავიდე ბაიოკო**. „სინიორა" საბრძოლო შემადგენლობითაა. გუშინდელი ინფორმაციით, **მაურო კამორანეზი** იანვრის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

კვირას მაინცდამაინც გამორჩეული თამაშები არ არის, ამიტომ, მივყვეთ ლიდერთა ჯგუფის მიხედვით. „ინტერი" სიენაში ჩადის. **რობერტო მანჩინი** არდადეგებით უკმაყოფილოა, ეს ეხება როგორც გუნდის მომზადებას, ისე ტრავმებს, რომელთა რიცხვი კი არ იკლებს, უფრო იზრდება. მაგალითად, დუბაის ტურნირზე დაშავდა ფორვარდი **დავიდ სუასოც**. რაც შეეხებათ სხვებს, **დეიან სტანკოვიჩი, პატრიკ ვიეირა, ლუიშ ფიგუ, ოლივიე დაკური** და **ვალტერ სამუელი** ისევ მკურნალობენ.

საინტერესო თამაში იქნება ბერგამოში, სადაც „ატალანტა" მეორეადგილოსან „რომას" მიიღებს. შარშანდელი მატჩი „ატლეტი აძურიზე" მასპინძლებმა 2:1 მოიგეს. შეიძლება ითქვას, წლევანდელი „ატალანტა" შარშანდელზე ძლიერია. გვახსენდება ამასწინანდელი გამარჯვება „ნაპოლისთან", 5:1. მაგრამ ეს „ჯალოროსიც" სხვაა. ბერგამოელთა მთავარი დანაკლისი კაპიტანი **კრისტიანო დონია**, რომელიც დისკვალიფიკაციას მოიხდის. ამას გარდა, ტრავმირებულია **კლაუდიო რივალტა**. ერთი დისკვალიფიკაციაა „რომაშიც". ამის გამო ვერ ითამაშებს მარჯვენა მცველი **მარკო კასეტი**, რომელსაც, ალბათ, **სისინიო** შეცვლის.

„კალიარისთვის" ახალი წელი ახალი მწვრთნელით იწყება. სარდინიელების გადარჩენას **დავიდე ბალარდინი** ეცდება. ამ მომენტისთვის სიტუაცია მეტისმეტად მძიმეა. „კალიარი" 10 ქულით ბოლო ადგილზეა და თამაშს თამაშზე აგებს. შესაძლოა, პაუზამ გუნდზე სასიკეთოდ იმოქმედოს, თუმცა სეზონის განახლებას სერიოზული დანაკლისით ხვდება. დასჯილია ცენტრალური მცველი **მიკელე ფერი**, ტრავმები აქვთ **ფრანჩესკო პიზანოსა** და **მიკელე კანინის**. „უდინეზეს" არ ეყოლება ნახევარმცველი **ჯამპიერო პინცი** და ფორვარდი **გიან ასამოა**.

10 წლის წინ „პარმა"-"ფიორენტინა", შეიძლება, ცენტრალური მატჩი ყოფილიყო, მაგრამ დღეს საქმე გვაქვს ერთ ჩვეულებრივ დაპირისპირებასთან. ასევე იყო შარშან, როცა ძლიერმა „ვიოლამ" აუტსაიდერ პარმეზანებთან 0:2 წააგო. გუნდები დღესაც ანალოგიურ ამოცანებს წყვეტენ. „ფიორენტინა" მატჩს სრული საბრძოლო შემადგენლობით ხვდება. **ჩეზარე პრანდელი** კმაყოფილია, რომ მიუხედავად მთელი რიგი მცდელობებისა, მეკარე **სებასტიან ფრეი** გუნდში კონტრაქტის ბოლომდე რჩება. „პარმას" შემტევი ნახევარმცველი **ანდრეა პიზანუ** და ფორვარდი **იგორ ბუდანი** არ ეყოლება.

„ლაციო" და „ჯენოაც" იმედებით ხვდებიან სეზონის განახლებას. რომაელებმა **გორან პანდევის** გარშემო ატეხილი აურზაური გადაიტანეს. მაკედონიელი ისევ „ბიანკოჩელესტეა". **დელიო როსი** ბრძოლას აგრძელებს. გამარჯვებით დაწყება „ლაციალეს" პირველ რიგში ფსიქოლოგიური გაჯანსაღებისთვის სჭირდება. როსის დისკვალიფიცირებული ჰყავს ნახევარმცველი **მურად მეგნი**, ხოლო ფლანგის მცველები - **დანიელე დე სილვესტრი** და **სებასტიანო სივილია**, ასევე ნახევარმცველი **კრისტიან ლედესმა** ტრავმირებულები არიან. „ჯენოას" მწვრთნელ **ჯამპიერო გასპერინის** თავსატეხი გაუჩინა ცენტრალური მცველის **ფრანჩესკო ბეგას** დაშავებამ. ამას გარდა, მწვრთნელმა ნახევარმცველ **ფაბიანოს** შესაფერისი შემცვლელიც უნდა გამონახოს.

„პალერმოს" მწვრთნელმა **ფრანჩესკო გვიდოლინმა** გენუის მატჩისთვის სრულ შემადგენლობას მოუყარა თავი. არდადეგების დროს გამოჯანმრთელდა ფორვარდი **ფაბრიციო მიკოლი**, რომელიც წინა ხაზზე **კარვალიო ამაურის** შეუწყვილდება. სამაგიეროდ, „სამპდორიას" მწვრთნელ **ვალტერ მაძარის** მოუწევს ფიქრი იმაზე, თუ ვინ დააყენოს ნახევარდაცვაში, დისკვალიფიცირებული **სერჯო ვოლპის** ნაცვლად, ან კიდევ, ვინ უნდა შეცვალოს ასევე დისკვალიფიცირებული **სტეფანო ლუკინი** დაცვის ცენტრში. ამას გარდა, კარგა ხანია ტრავმა აწუხებს **ვინჩენცო მონტელას**, რომელიც ვერც ხვალ შეძლებს „სამპის" დახმარებას.

ორი წლის წინ, „ლივორნოს" დღევანდელი დამრიგებელი **ჯანკარლო კამოლეზე** „ტორინოს" თავკაცი იყო. დღეს მას ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მოუწევს ლივორნოელთა დარაზმვა. კამოლეზეს არ ეყოლება ნახევარმცველი **ანტონიო ფილიპინი** და ფორვარდი **ფაუსტო როსინი**. „ტოროს" დანაკლისიც სერიოზულია. ნახევარმცველი **ვინჩენცო გრელა** დისკვალიფიცირებულია, თავდამსხმელ **ნიკოლა ვენტოლას** კი ტრავმა აწუხებს.

დაბოლოს, ტურის უკანასკნელი მატჩი: „მილანი"-"ნაპოლი". „სან სიროს" დაპირისპირება ერთი დეტალითაა დამაინტრიგებელი: „როსონერიში" ბრაზილიელი ვუნდერკინდის **ალეშანდრე პატოს** დებიუტი იგეგმება. **კარლო ანჩელოტი** მზადაა, სათამაშო მოდელი შეცვალოს და შეტევის ხაზი **კაკას, პატოსა** და **ალბერტო ჯილარდინოს** ტრიოს ჩააბაროს. ეს ერთგვარი რევოლუციაა კარლეტოს ნაჩვევ სქემაში, რომელიც ხშირ შემთხვევაში ერთ ფორვარდს ითვალისწინებდა. **ჯენარო გატუზო** დისკვალიფიცირებულია, **მარეკ იანკულოვსკისა** და **ფილიპო ინძაგის** ტრავმები აწუხებთ, **კახა კალაძე** კი ძირითადში მოიაზრება. უფრო სერიოზული დანაკლისი აქვს „ნაპოლის", რომელსაც დისკვალიფიცირებული ფორვარდი **მარსელო სალაიეტა** და ნახევარმცველი **მანუელე ბლაზი** დააკლდებიან. შესაბამისად, სალაიეტას წინა ხაზზე ნეაპოლელთა შარშანდელი ლიდერი **ემანუელე კალაიო** შეცვლის. და კიდევ ერთი ინტრიგა, რაც ამ მატჩს ახლავს თან: ბოლოს და ბოლოს, შეძლებს „მილანი" პირველი საშინაო მატჩის მოგებას?




ხვალ ალეშანდრე პატოს დებიუტი იგეგმება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 17 | 13 | 4 | 0 | 37-9 | 43 |
| 2. რომა | 17 | 10 | 6 | 1 | 33-18 | 36 |
| 3. იუვენტუსი | 17 | 10 | 5 | 2 | 35-15 | 35 |
| 4. უდინეზე | 17 | 8 | 5 | 4 | 22-21 | 29 |
| 5. ფიორენტინა | 17 | 7 | 7 | 3 | 26-16 | 28 |
| 6. პალერმო | 17 | 6 | 7 | 4 | 25-27 | 25 |
| 7. ნაპოლი | 17 | 6 | 5 | 6 | 25-22 | 23 |
| 8. ატალანტა | 16 | 5 | 7 | 4 | 23-21 | 22 |
| 9. სამპდორია | 17 | 6 | 3 | 8 | 22-24 | 21 |
| 10. კატანია | 17 | 5 | 6 | 6 | 17-19 | 21 |
| 11. ჯენოა | 17 | 4 | 7 | 6 | 16-23 | 19 |
| 12. მილანი | 14 | 4 | 6 | 4 | 21-12 | 18 |
| 13. პარმა | 17 | 4 | 6 | 7 | 19-24 | 18 |
| 14. ლაციო | 17 | 4 | 6 | 7 | 19-25 | 18 |
| 15. ტორინო | 17 | 2 | 11 | 4 | 15-20 | 17 |
| 16. ლივორნო | 16 | 3 | 6 | 7 | 19-27 | 15 |
| 17. ემპოლი | 17 | 3 | 6 | 8 | 14-24 | 15 |
| 18. სიენა | 17 | 2 | 8 | 7 | 17-25 | 14 |
| 19. რეჯინა | 16 | 2 | 7 | 7 | 12-25 | 13 |
| 20. კალიარი | 17 | 2 | 4 | 11 | 13-33 | 10 |

ინგლისი. პრემიერლიგა. XXII ტურის წინ

# მიდის თუ არა რედნაპი ნიუკასლში?

**დღეს**

არსენალი-ბირმინგემი
ასტონ ვილა-რედინგი
ჩელსი-ტოტენჰემი
დერბი-ვიგანი
ევერტონი-მანჩესტერ სიტი
მიდლსბრო-ლივერპული
ვესტ ჰემი-ფულჰემი
მანჩესტერ იუნ.-ნიუკასლი

**ხვალ**

სანდერლენდი-პორტსმუთი
ბოლტონი-ბლეკბერნი

**სერ ალექს ფერგიუსონი** "მანჩესტერ იუნაიტედში" 22 წელია, მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში "ნიუკასლმა" ათი მწვრთნელი და ხუთი დროებითი დამრიგებელი გამოიცვალა. მათ შორის, უკანასკნელი **სემ ელერდაისი** იყო. ის სამი დღის წინ დაითხოვეს (დიდი სემი მერვე მწვრთნელი აღმოჩნდა, რომელიც პრემიერლიგის კლუბებმა მიმდინარე სეზონში დაითხოვეს). ჯორდებმა დროებით მწვრთნელად ნაიჯელ პირსონი დანიშნეს. პირსონის დებიუტი "ეშმაკებთან" მატჩში შედგება.

22 წლის განმავლობაში "მანჩესტერმა" ერთხელ ჩემპიონთა თასი, ცხრაჯერ პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული, ხუთჯერ ასოციაციის თასი, ორჯერ ლიგის თასი და ერთხელ თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. იმავე პერიოდში "ნიუკასლს" საერთოდ არაფერი მოუგია. სპეკულაციების თანახმად, ჯორდების მწვრთნელად "პორტსმუთის" დამრიგებელი **ჰარი რედნაპი** უნდა დაინიშნოს. "სანის" ცნობით, "ნიუკასლმა" რედნაპს ოთხწლიანი კონტრაქტი და წლიურად 4 მილიონი გირვანქა შესთავაზა. ეს თანხა შვიდჯერ აღემატება მწვრთნელის დღევანდელ ხელფასს. ამას გარდა, "ნიუკასლი" "პორტსმუთს" კომპენსაციის სახით 2.5 მილიონ გირვანქას გადაუხდის. ახალ მწვრთნელს კი ტრანსფერებისათვის სოლიდურ თანხას გამოუყოფს. მოსალოდნელ დანიშვნასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

ჯორდებმა ამ სეზონში სტუმრად მხოლოდ ორი თამაში მოიგეს. მანჩესტერელებმა შინ ჩატარებული 11 შეხვედრიდან ათი მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს. მასპინძლებს საკადრო პრობლემები აქვთ: ვარჯიშისას დაშავდა **ოუენ ჰარგრივსი**. ინტენსიურად ემზადებოდა **გარი ნევილი**, მაგრამ მწვრთნელი ძირითადში მის დაყენებას არ იჩქარებს. ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას მოიხდის ვესლი ბრაუნი.

"ნიუკასლმა" ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციას **ობა მარტინსის** გათავისუფლება სთხოვა. მარტინსი აფრიკის ერთა თასისათვის ემზადება. ჯორდებს ძალიან სურდათ, მას "მანჩესტერის" წინააღმდეგ ეთამაშა. საკითხი გუშინ უნდა გადაწყვეტილიყო. თუ ფეხბურთელს ინგლისში დაბრუნების ნებას დართავენ, მას ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ. ტრავმა მოიშუშა განაპირა მცველმა **სტივ კარმა**. **ჰაბიბ ბეია, აბდულაიე ფაიე** და **ჯერემი** თავიანთ ნაკრებებში იმყოფებიან.

ფერგიუსონის "იუნაიტედს" 48 ქულა აქვს. ის "არსენალს" ორი ქულით ჩამორჩება. ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი "ბირმინგემ სიტის" ხვდება. ფილიპ სენდეროსმა მუხლის ტრავმა მოიშუშა და ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. ტოტენჰემთან ლიგის თასის ნახევარფინალური მატჩისას ის გუნდის კაპიტანიც კი იყო. იენს ლემანი ისევ თადარიგში იქნება. რობინ ვან პერსის გრიპი შეეყარა. ემანუელ ებუემ, ალექსანდრ სონგმა და კოლო ტურემ ნაკრებებს მიაშურეს.

"ბირმინგემს" **მარტინ ტეილორი** გამოუჯანმრთელდა. **დემიენ ჯონსონი** დამცავი ნიღბით ითამაშებს, რადგან ორი კვირის წინ თავი გაიტეხა. ამ წყვილში "არსენალი" უდაო ფავორიტია. ბირმინგემელებს გულშემატკივართა თვალში რეაბილიტირება მართებთ, რადგან გასულ უქმეებზე ქვედა დივიზიონის "ჰადერსფილდთან" წააგეს და ასოციაციის თასს გამოეთიშნენ. "არსენალმა" დღევანდელ მეტოქეზე სამჯერ მეტი მატჩი მოიგო (15-5), მასზე თითქმის ორჯერ მეტი გოლი გაიტანა (42-22) და ორჯერ ნაკლები გაუშვა (16-32).

"მეთოფეებთან" სათასო დერბის შემდეგ "ტოტენჰემს" კიდევ ერთ თანაქალაქელთან უწევს საქმის დაჭერა. მისი დღევანდელი მეტოქე "ჩელსია". "მამლებს" "სტემფორდ ბრიჯზე" 18 წელია, არ მოუგიათ. "არისტოკრატთა" შემადგენლობაში დებიუტი ექნება **ნიკოლა ანელკას**. გამოჯანმრთელდნენ მეკარეები - **პეტრ ჩეხი** და **კარლოს კუდიჩინი**. **ენრიკე ილარიოს** ისევ თადარიგში მოუწევს გადანაცვლება. **მიკაელ ესიენი, სალომონ კალუ, დიდიე დროგბა** და **ჯონ ობი მიკელი** აფრიკაში გაემგზავრნენ. ერთა თასიც რომ არა, ობი მიკელს სამი მატჩის გამოტოვება მოუწევდა. მას "ევერტონთან" ლიგის თასის ნახევარფინალში წითელი ბარათი აუფრიალეს. ტრავმათა გამო "ჩელსის" **ფრენკ ლემპარდი** და **ჯონ ტერი** ვერ დაეხმარებიან.

დანაკლისია "ტოტენჰემის" ბანაკშიც. **ტომ ჰადლსტონი** და **ჯერმეინ ჯენასი** სასჯელებს იხდიან. **დიდიე ზოკორა** ნაკრებში გაემგზავრა. კოჭის ტრავმა მოიშუშა იუნეს კაბულმა. საეჭვოა დარენ ბენტის თამაში. "ჩელსი" და "ტოტენჰემი" 135-ედ შეხვდებიან ერთმანეთს, მათ შორის, 119-ედ ლიგაში. სეზონის დაწყების ორივე მათგანს მწვრთნელი შეეცვალა. "ჩელსის" ბოსმა **ავრამ გრანტმა** პრემიერლიგაში 10 მატჩი ჩაატარა და 5 მოიგო. "ტოტენჰემის" თავკაცმა **ხუანდე რამოსმა** ჩემპიონატში 10 შეხვედრა გამართა და 5-ში გაიმარჯვა. "მამლებმა" ამ სეზონში ჩატარებული ხუთი ლონდონური დერბიდან მხოლოდ ერთი მოიგეს (შინ "ფულჰემთან" 5:1). "ჩელსი" ბოლო 13 ლონდონური დერბიდან მხოლოდ ერთში დამარცხდა (სტუმრად "არსენალთან" 0:1)."არისტოკრატებს" საკუთარ მოედანზე 73-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ.

"ლივერპული" საჩემპიონო მარათონს, ფაქტობრივად, გამოეთიშა. დღეს ის "მიდლსბროს" ესტუმრება. რივერსაიდელებს ნახევარდაცვის გადახალისება მოუწევთ. **ხულიო არკა** და **ლი კატერმოული** დისკვალიფიცირებულები არიან. **ჯონათან ვუდგეიტი** და **თუნჯაი სანლი** ტრავმებს იმუშებენ და ვერ ითამაშებენ.

სექტემბერის შემდეგ მინდორზე პირველად ვიხილავთ ლივერპულელ მცველ **დანიელ აგერს**. ძირითადში იქნებიან **ალვარო არბელოა, ხოსე რეინა, სტივ ჯერარდი** და **ფერნანდო ტორესი**, რომლებსაც გასულ უქმეებზე დასვენების საშუალება მისცეს.

მეოთხეადგილოსანი "მანჩესტერ სიტი" მეექვსეადგილოსან "ევერტონს" ესტუმრება. ამ გუნდებს ერთმანეთისაგან სამი ქულა ჰყოფთ. მასპინძელთა შემადგენლობაში **მანუელ ფერნანდესის** დებიუტს ელიან. ის ორი დღის წინ "ვალენსიიდან" გადაიყვანეს, პარასკევს ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა. აფრიკის თასზე გაემგზავრნენ ლივერპულელმა ლიდერები - **ჯოზეფ იობო, იაკუბუ აიეგბენი** და **სტივ პიენაარი**. სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ ძირითად შემადგენლობას უბრუნდება **მიკელ არტეტა**.

მანჩესტერელებს წამყვანი ნახევარმცველი **ელანო ბლუმერი** გამოუჯანმრთელდათ. ის ძირითადში **ნერი კასტილიოს** ადგილს დაიკავებს. დაშავებულია "სიტის" ნახევარმცველი **მაიკლ ჯონსონი**.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 21 | 15 | 5 | 1 | 42-16 | 50 |
| 2. მანჩ. იუნ. | 21 | 15 | 3 | 3 | 38-11 | 48 |
| 3. ჩელსი | 21 | 13 | 5 | 3 | 33-16 | 44 |
| 4. მანჩ. სიტი | 21 | 11 | 6 | 4 | 29-22 | 39 |
| 5. ლივერპული | 20 | 10 | 8 | 2 | 34-13 | 38 |
| 6. ევერტონი | 21 | 11 | 3 | 7 | 37-22 | 36 |
| 7. ასტონ ვილა | 21 | 10 | 6 | 5 | 37-27 | 36 |
| 8. პორტსმუთი | 21 | 9 | 7 | 5 | 31-20 | 34 |
| 9. ბლეკბერნი | 21 | 9 | 6 | 6 | 28-28 | 33 |
| 10. ვესტ ჰემი | 20 | 8 | 5 | 7 | 25-19 | 29 |
| 11. ნიუკასლი | 21 | 7 | 5 | 9 | 27-33 | 26 |
| 12. ტოტენჰემი | 21 | 6 | 6 | 9 | 42-38 | 24 |
| 13. რედინგი | 21 | 6 | 4 | 11 | 29-44 | 22 |
| 14. ბოლტონი | 21 | 5 | 5 | 11 | 23-32 | 20 |
| 15. მიდლსბრო | 21 | 5 | 5 | 11 | 18-35 | 20 |
| 16. ბირმინგემი | 21 | 5 | 4 | 12 | 22-32 | 19 |
| 17. ვიგანი | 21 | 4 | 5 | 12 | 21-37 | 17 |
| 18. სანდერლენდი | 21 | 4 | 5 | 12 | 20-40 | 17 |
| 19. ფულჰემი | 21 | 2 | 9 | 10 | 22-37 | 15 |
| 20. დერბი | 21 | 1 | 4 | 16 | 10-46 | 7 |

ინტერვიუ დეიან სტანკოვიჩთან

# მოედანზე გამაყუჩებლებით გავდიოდი...

## ისევ იმ გზაზე ვართ, რომელიც შარშან გავიარეთ

**„ინტერის“.** ნახევარმცველი დეიან სტანკოვიჩი მოედანს მალე დაუბრუნდება. ის მზადაა, 19 იანვარს „პარმას“ წინააღმდეგ ითამაშოს. რობერტო მანჩინისთვის სტანკოვიჩი დიდი შევება იქნება, პატრიკ ვიეირას, ოლივიე დაკურისა და ლუიშ ფიგუს ტრავმების ფონზე. ჯერჯერობით, „ნერაძურიში“ მანიშეს გადასვლა ყოვნდება, თუმცა პორტუგალიელი ნახევარმცველი აცხადებს, რომ ყველანაირად მზადაა, „ინტერში“ გადასასვლელად. სტანკოვიჩთან ინტერვიუ „კორიერე დელო სპორტმა“ მოამზადა...

**- დეიან, როგორ გრძნობ თავს?**

- მშვენივრად. დუბაიში ხუთდღიანი მზადების პერიოდში აქტიურად და ენთუზიაზმით ვიმუშავე. კარგია, რომ ტკივილები აღარ მაწუხებს. ასე რომ, ორივე ფეხი სრულად დავტვირთე. იმედი მაქვს, რომ მომავალი კვირიდან უკვე გუნდთან ერთად დავიწყებ ვარჯიშს.

**- გამოდის, რომ ოპერაცია თავიდან აიცილე?**

- დიახ, არადა, ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა რეალური იყო. საბედნიეროდ, გადავრჩი. ყველა კითხვას დუბაიმ გასცა პასუხი. მთავარი იყო, როგორ რეაგირებას მოახდენდა ფეხი მძიმე დატვირთვებზე. შეკრების პირველივე დღეს მომეჩვენა, რომ იმედი აღარ იყო და ოპერაციას ვერ ავიცილებდი. ექიმს ისიც კი ვუთხარი, რომ ქირურგთან წავსულიყავით, მაგრამ ამავე დროს, საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ ტრავმას უნდა მოვრეოდი. შოკურმა თერაპიამ გაამართლა. მეორე თუ მესამე დღეს უკეთ ვიყავი. სხვათა შორის, ჩვენი სპორტული დირექტორი გაბრიელე ორიალი წინასწარმეტყველის ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. ის თავიდანვე დაბეჯითებით მიმტკიცებდა, რომ ოპერაცია არ დამჭირდებოდა.

**- მაინც რას გეუბნებოდა ასეთს?**

- მან დამარწმუნა, რომ პირველივე ვარჯიშის შემდეგ ტკივილს ველარ ვიგრძნობდი. თუმც მაშინვე არა, მაგრამ მალე მართლაც მალე მომეშვა...

**- ახლა რა გრძნობები გაქვს?**

- თითქოს მეორედ დავიბადე. უკვე შემიძლია სრული დატვირთვით მუშაობა. ძალიან მომენტრა ჩემი ბუცები და გუნდთან ერთად ყოფნა.

**- როდის გაგიჩნდა ჯანმრთელობის პრობლემები?**

- აგვისტოში, იტალიის სუპერთასის მატჩის შემდეგ. მაშინ ვიგრძნები პირველი სიმპტომები. მერე ნაკრების მატჩზე გავემგზავრე. ამ თამაშის მერე ტკივილმა უფრო შემაწუხა. მაოცებდა, როცა ირგვლივ ყველა მეუბნებოდა - არაფერიც არ გჭირსო. თუმცა ტკივილი ლამის ჭკუიდან მშლიდა. თითქმის ორი თვე მოვითმინე, მაგრამ დისკომფორტი დამრჩა. უნდა ვაღიარო, რომ მეც და ექიმებმაც ჯეროვნად ვერ შევაფასეთ ტრავმის სირთულე. ტკივილებს ვიყუჩებდი და ისე ვთამაშობდი, ამან გამოიწვია ქრონიკული გართულებები...

**- იმის გამო, რომ ტრავმიანი ასეთი თავდადებით თამაშობდი, მასიმო მორატიმ გმირიც გიწოდა...**

- სულაც არ მგონია, რომ გმირი ვარ. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ეს ჩემი მოვალეობა იყო. ყოველი მომდევნო მატჩის შემდეგ, ოთხშაბათამდე, თერაპიის კურსს გავდიოდი, მერე ისევ ვარჯიში და კვირის ბოლოს მატჩი... ამგვარმა გრაფიკმა, შეიძლება, ერთი კვირა ან ცოტა მეტხანს იმუშაოს, მე კი ასე მთელი თვის განმავლობაში ვთამაშობდი, მანამდე, ვიდრე „პალერმოსთან“ მატჩში მყესებიც არ დავიზიანე. ბოლოს კი ჯანმრთელობა „ფენერბაჰჩესთან“ მატჩს შევწირე. მოედანი 88-ე წუთზე დავტოვე და მაშინვე ჰოსპიტალს მივაშურე.

**- და რა იყო მერე?**

- ყველაფერი თავიდან დაიწყო: გამოკვლევები, თერაპია, რენტგენი... დაუსრულებლად... მერე, ოჯახთან ერთად მექსიკაში დავისვენე, მაგრამ იქაც კი, ყველანაირ ფეხსაცმელში, სპეციალური სუპინატორები მედო. კიდევ რა ვთქვა? ყველაფერი ბოლომდე რომ მოგიყვეთ, ერთი დღე არ მეყოფა.

**- არ აგიხსნეს, რა იყო მთავარი პრობლემა?**

- ფეხის გულის ფასციტი. ყველაზე ფართო ქსოვილზე წარმოიშვა ნანაზარდი, რომელიც მყესების რეფლექსებზე ცუდად მოქმედებდა, უბრალო სიარულსაც კი მიშლიდა...

**- ხომ არ გაგიგია, რომ შენმა ტრავმამ მანჩინისა და კლუბის მთავარ ექიმს შორის უთანხმოება წარმოშვა?**

- პრობლემა ის იყო, რომ დიდი ხნის განმავლობაში ვერავინ დაადგინა, მკურნალობის რა მეთოდები მესაჭიროებოდა. რა თქმა უნდა, მანჩინის სურვილი იყო, რაც შეიძლებოდა მალე დავბრუნებულიყავი მოედანზე. ამიტომაც შეიქმნა, ცოტა არ იყოს, ნერვული სიტუაცია, იმაზე მეტად, ვიდრე ოდესმე „ინტერში“ ყოფილა.

**- ეს შენი პირველი სერიოზული ტრავმაა კარიერაში?**

- დიახ, ესოდენ ხანგრძლივი პერიოდით პირველად გამოვედი მწყობრიდან. კუნთის დაჭიმვებიც მქონია, გავციებულვარ კიდეც, სხვა რამეც ყოფილა, მაგრამ მოედანს ყოველთვის მალე ვუბრუნდებოდი. ახლა სიტუაცია გაურკვევლობამ გაართულა.

**- შენი არყოფნის პერიოდს დაემთხვა სწორედ „ინტერის“ მასშტაბური საკადრო პრობლემები, და პირველ რიგში, ნახევარდაცვის რგოლში...**

- იცით, არ არის ჩემთვის ადვილი ტრიბუნაზე ჯდომა, მაგრამ არ შემიძლია, დავმალო აღფრთოვანება ჩემი თანაგუნდელებით. მათ გადალახეს ეს სირთულეები და ახლა მშვენიერ სიტუაციაში ვართ. სკუდეტოს მთავარი კანდიდატი „ინტერია“. ის ყველაზე მაღალი კლასის ფეხბურთს თამაშობს სერია A-ში და მგონი, ეს საკამათო არ უნდა იყოს. ყველაფერზე შედეგები მეტყველებს. ისევ იმ გზაზე ვართ, რომელზეც შარშან ვიყავით და ხომ იცით, რაც მოგვიტანა ამ გზამ?

**- პრესაში არის საუბრები იმაზე, რომ „ინტერს“ სურს, კიდევ ერთი ცენტრალური ნახევარმცველი იყიდოს...**

- ეს კლუბის ხელმძღვანელობისა და მანჩინის საქმეა. მაგრამ ჩემი მხრიდან შემიძლია აღვნიშნო, რომ იანვარში „ინტერს“ ერთბაშად სამი „შენაძენი“ ეყოლება, ფიგუს, ვიეირასა და ჩემი სახით (იცინის)...

**- „ინტერთან“ შენი კავშირი მხოლოდ გამყარდა?**

- რა თქმა უნდა. „ინტერი“ ჩემი სახლი, ჩემი ოჯახია. ვერ წარმომიდგენია თავი სხვა კლუბის მაისურით. კარიერაც აქ მინდა რომ დავასრულო.

**- უკვე ფიქრობ „ლივერპულთან“ ჩემპიონთა ლიგის პლეიოფზე?**

- განუთესავებს შორის „ლივერპული“ ყველაზე ძლიერი იყო. მაგრამ, მეორე მხრივ, მას „ინტერთან“ მოუწევს თამაში, შესაბამისად, სირთულეებზე მათაც უნდა იფიქრონ.



დეიან სტანკოვიჩი ერთ კვირაში დაბრუნდება



რონალდ კუმანი მადრიდული მატჩისათვის ემზადება

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XIX ტურის წინ

# ვალენსია: სინათლე გვირაბის ბოლოს?

**დღეს**

ბარსელონა-მურსია
ბილბაო-სევილია

**ხვალ**

ალმერია-ესპანიოლი
ოსასუნა-რასინგი
ბეტისი-ხეტაფე
ვალიადოლიდი-რეკრეატივო
ვილიარეალი-დეპორტივო
სარაგოსა-მალიორკა
ლევანტე-რეალი
ატლეტიკო-ვალენსია

კრიზისში მყოფი "ვალენსია" მადრიდის "ატლეტიკოს" სტუმრობს. "ღამურებმა" ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხვეს. მთავარი მწვრთნელი **რონალდ კუმანი** გუნდის განახლებას შეუდგა, მაგრამ ჯერჯერობით ამ პროცესს სასურველი შედეგი არ მოუტანია. გუნდი პოზიციებს თმობს. 18 ტურის შემდეგ ვალენსიელები ლიდერ მადრიდის "რეალს" სარეკორდოდ ბევრი, 17 ქულით ჩამორჩებიან. მიმომხილველებს უჭირთ იმის თქმა, დააცლიან თუ არა კუმანს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. მწვრთნელის ზოგიერთმა გადაწყვეტილებამ არა მხოლოდ ჟურნალისტები და გულშემატკივრები, არამედ კლუბის ხელმძღვანელებიც გააკვირვა. კუმანმა სამ ვარსკვლავზე - **სანტიაგო კანისარესზე, დავიდ ალბელდასა** და **მიგელ ანხელ ანგულოზე** თქვა უარი. პრეზიდენტ **სოლერს** აღშფოთებული ინჩასების დასამშვიდებლად საგანგებო განცხადების გაკეთება მოუხდა: ისინი გუნდში რჩებიან, სეზონის ბოლომდე არაფერი შეიცვლებაო. თუ კუმანს სურს, რომ მის რადიკალურ გადაწყვეტილებებს მხარი დაუჭირონ, შედეგი უნდა აჩვენოს. შედეგი კი არ ჩანს.

ამ კვირაში "ვალენსიამ" ორი ტრანსფერი განახორციელა: პორტუგალიელი ნახევარმცველი **მანუელ ფერნანდესი** იჯარით "ევერტონში" მიავლინეს. "რივერ პლეიტიდან" კი არგენტინული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი **ევერ ბანეგა** შეიძინეს. ამავე კვირაში კიდევ ერთი კარში ამბავი მოხდა. ოთხშაბათს "ღამურები" სამეფო თასზე "ბეტისს" შეხვდნენ და 2:1 გაიმარჯვეს. ჟურნალისტებმა ეს წარმატება გვირაბის ბოლოს გამოჩენილ სინათლეს შეადარეს. ნამატჩევს პრესკონფერენციაზე კუმანიც წელში გამართული გამოაცხადდა: *"კრიზისის დაძლევის საუკეთესო საშუალება თამაშების მოგებაა. მიაქციეთ ყურადღება, რომ ოთხი თუ ხუთი თამაშია, არ წაგვიგია. ეს უკვე პროგრესის ნიშანია."*

მიმდინარე სეზონში "ვისენტე კალდერონზე" უჩვეულო ამბები ხდება. მიმდინარე გათამაშებაში ყველაზე მეტი გოლი "ატლეტიკოს" მშობლიურ არენაზე გაიტანეს. ამ სტადიონზე გამართულ ბოლო სამ შეხვედრაში კი შვიდი ფეხბურთელი გააძევეს. "ატლეტიკო" ერთ-ერთი იმ კლუბთაგანია, რომელმაც ვალენსიელთა კრიზისით ისარგებლა. მან "ღამურებს" გადაუსწრო და მეოთხე ადგილზე იმყოფება. მადრიდელები არასტაბილურად თამაშობენ: მათ ბოლო სამი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგეს.

"რეალი" პირველი წრის ჩემპიონია. მან 18 ტურში 44 ქულას მოუყარა თავი და უახლოესი მდევარი "ბარსელონა" შვიდი ქულით ჩამოიტოვა. სამეფო კლუბი მაჩანჩალა "ლევანტეს" ესტუმრება, კატალონიელები კი "მურსიას" უმასპინძლებენ. ბარსელონელებს ქულების განიავების უფლება არ აქვთ. თანაქალაქელი "ესპანიოლი" ჩასაფრებულია და მის წაბორძიკებას ელის. **ერნესტო ვალვერდეს** შეგირდები სტუმრად "ალმერიას" ეთამაშებიან და გამარჯვების ჩინებული შანსი აქვთ. შეგახსენებთ, "ესპანიოლი" ჩემპიონატში 14-მატჩიანი წაუგებელი სერიით ინონებს თავს.

პრიმერა დივიზიონის კიდევ ერთი მაჩანჩალა "დეპორტივო" "ვილიარეალს" ეთამაშება. ლაკორუნიელებმა უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღეს: მიუხედავად იმისა, რომ ქულები ჰაერივით სჭირდებათ, ორი მეკარე - **დუდუ ავათი** და **გუსტავო მუნუა** ამოაგდეს შემადგენლობიდან. მიზეზი ხუთშაბათის ვარჯიშზე მომხდარი უსიამოვნო ინციდენტია. გოლკიპერებმა ხელჩართული ჩხუბი ატეხეს. გაოგნებულმა თანაგუნდელებმა ისინი ძლივს გააშველეს. პრეზიდენტმა **აუგუსტო სესარ ლენდოირომ** და მთავარმა მწვრთნელმა **მიგელ ანხელ ლოტინამ** ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ ორივე მათგანი სასჯელს იმსახურებს. იმის გარდა, რომ მეკარეებს ვილიარეალში არ წაიყვანენ, სოლიდურ ფინანსურ ჯარიმასაც გამოუწერენ. "რადიო მარკამ" ჩხუბის დეტალები გამოამზეურა. ურუგვაელმა მუნუამ ისრაელ კოლეგას ისეთი დასცხო, რომ წარბი გაუხეთქა. საბრალო ავათს ექვსი ნაკერი დაადეს. ჩხუბამდე ერთი დღით ადრე ავათმა საჯარო უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდეს. ის "დეპორტივოში" 2006 წლის ზაფხულში სატანდერის "რასინგიდან" გადავიდა და მას შემდეგ შეუცვლელად იცავდა გალისიელების კარს. ავათი სკამზე დეკემბრის დასაწყისში გადასვეს. ლაკორუნიელებს უსაფრთხო ზონისაგან ორი ქულა ჰყოფთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 18 | 14 | 2 | 2 | 39-14 | 44 |
| 2. ბარსელონა | 18 | 11 | 4 | 3 | 34-13 | 37 |
| 3. ესპანიოლი | 18 | 10 | 6 | 2 | 29-19 | 36 |
| 4. ატლეტიკო | 18 | 10 | 4 | 4 | 34-19 | 34 |
| 5. ვილიარეალი | 18 | 10 | 2 | 6 | 30-27 | 32 |
| 6. რასინგი | 18 | 8 | 5 | 5 | 18-19 | 29 |
| 7. ვალენსია | 18 | 8 | 3 | 7 | 22-28 | 27 |
| 8. სევილია | 18 | 8 | 2 | 8 | 35-23 | 26 |
| 9. მურსია | 18 | 5 | 7 | 6 | 16-20 | 22 |
| 10. სარაგოსა | 18 | 5 | 6 | 7 | 27-30 | 21 |
| 11. მალიორკა | 18 | 5 | 6 | 7 | 26-29 | 21 |
| 12. ვალიადოლ. | 18 | 5 | 6 | 7 | 24-27 | 21 |
| 13. ხეტაფე | 18 | 6 | 3 | 9 | 19-24 | 21 |
| 14. რეკრეატივო | 18 | 5 | 6 | 7 | 14-21 | 21 |
| 15. ოსასუნა | 18 | 5 | 5 | 8 | 20-23 | 20 |
| 16. ალმერია | 18 | 5 | 5 | 8 | 15-21 | 20 |
| 17. ბილბაო | 18 | 4 | 7 | 7 | 16-19 | 19 |
| 18. სევილია | 18 | 4 | 6 | 8 | 17-26 | 18 |
| 19. დეპორტივო | 18 | 4 | 5 | 9 | 16-27 | 17 |
| 20. ლევანტე | 18 | 2 | 2 | 14 | 11-33 | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# ანელკა ჩელსიში ჩაირიცხა

## ბოლტონელებმა ფრანგი თავდამსხმელი ორჯერ ძვირად გაყიდეს...

"ჩელსიმ" ნიკოლა ანელკა შეიძინა. "არისტოკრატებმა" "ბოლტონს" 30 მილიონი დოლარი გადაუხადეს. ინფორმაცია ფრანგი თავდამსხმელის ტრანსფერის შესახებ ორივე კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. 28 წლის ანელკას კარიერაში "ჩელსი" მეხუთე ინგლისური კლუბია. "ბოლტონამდე" მას "არსენალში", "ლივერპულსა" და "მანჩესტერ სიტიში" უთამაშია. ლონდონელთა თავკაცმა ავრამ გრანტმა "ევერტონთან" ლიგის თასის ნახევარფინალის შემდეგ განაცხადა: იმედი მაქვს, ნიკოლას პარასკევამდე ვიყიდით და "ტოტენჰემთან" ვათამაშებთო. "ჩელსის" თავდასხმაში პრობლემები შეექმნა. **სალომონ კალუ** და **დიდიე დროგბა** აფრიკის ერთა თასზე გაემგზავრნენ. **ანდრეი შევჩენკოს** კოჭის ტრავმა აქვს. უკრაინელი იძულებით შვებულებაში იმყოფება. ანელკას ძირითადი შემადგენლობისაკენ გზა ხსნილი აქვს. მას ლონდონში გადასვლა ძალიან უნდოდა, განსაკუთრებით, ჩემპიონთა ლიგის გამო.

ნიკოლა ინგლისში 1997 წელს ჩავიდა. "არსენალმა" ის "პარი სენ ჟერმენიდან" 1 მილიონ დოლარად შეიძინა. ანელკამ ლონდონიდან მადრიდის რეალს მიაშურა. შემდეგ "პარი სენ ჟერმენში" დაბრუნდა, 2001 წელს კი "ლივერპულთან" საიჯარო კონტრაქტი გააფორმა. მერსისაიდელებმა მისი შეძენისაგან თავი შეიკავეს. ნიკოლამ "მანჩესტერ სიტის" მიაშურა. 2005 წელს ის "ფენერბაჰჩეში" ჩაირიცხა. 12 თვის შემდეგ კი ბოლტონს მიაშურა. ბოლტონელებმა მის სანაცვლოდ კლუბისათვის სარეკორდო 16 მილიონი დოლარი გადაიხადეს. ანელკა კლუბის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. ახლა კი, როგორც ხედავთ, მან გუნდს სოლიდური ფინანსური სარგებელიც მოუტანა. წელიწადნახევარში მისი ფასი თითქმის ორჯერ გაიზარდა.



ნიკოლა ანელკამ ლონდონს მიაშურა

რეალი. ტრანსფერები

# სამპდორია კასანოს ყიდულობს

მადრიდის "რეალი" იმ კლუბების რიცხვს შეუერთდა, რომელთაც **დიმიტარ ბერბატოვი** სურთ. 26 წლის ბულგარელი თავდამსხმელი 42 მილიონ ევროდაა შეფასებული. "ტოტენჰემი" ასტრონომიული თანხის მოთხოვნით ცდილობს კონკურენტების ჩამოცილებას, მაგრამ ვერ ახერხებს. "მანჩესტერ იუნაიტედი", "მანჩესტერ სიტი", "მილანი", "ინტერი" და "ბაიერნი" - ასე გამოიყურება ბერბატოვის მსურველთა სია. ესპანური სააგენტოების ცნობით, "რეალი" მზადაა, "მამლებს" სოლიდური თანხის გარდა, ჰოლანდიელი ნახევარმცველი **როისტონ დრენტე** და ესპანელი თავდამსხმელი **რობერტო სოლდადოც** შესთავაზოს.

დრენტესთან დაკავშირებით სხვა ინფორმაციაც გვაქვს. როისტონი "ფიორენტინამ" მოიკითხა. ფლორენციელებმა მისი ტრანსფერისათვის 7 მილიონი ევრო გადადეს. დრენტე მადრიდში გასულ ზაფხულს, "ფეიენოორდიდან" გადავიდა, მაგრამ ძირითადში დამკვიდრება ვერ მოახერხა. "რეალს" კიდევ ერთი ფეხბურთელის გაყიდვა სურს. საუბარია **ანტონიო კასანოზე**, რომელიც ერთწლიანი ჯარით "სამპდორიაში" იმყოფება. მადრიდელები 4 მილიონ გირვანქას ითხოვენ. გენუელები 3.75 მილიონს იხდიან. გაზეთი მარკა იუწყება, რომ მოლაპარაკებები ნაყოფიერად მიმდინარეობს და რომ გარიგება უახლოესი დღეების საქმეა.

და კიდევ ერთი ინფორმაცია მადრიდიდან: პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** სუპერკლასიკოს მოგებისათვის თითოეული ფეხბურთელი 15 ათასი გირვანქით დაასაჩუქრა. მადრიდელებმა მარტო ამ ერთი თამაშისათვის პრემიის სახით 375 ათასი გირვანქა (700 ათასი დოლარი) გამოყვეს. შეგახსენებთ, მადრიდელები პრიმერა დივიზიონის ლიდერები არიან და უახლოეს მდევარ "ბარსელონას" შვიდი ქულით ალემატებიან.



ჟოზე მოურინიო შეიძლება ბარსელონაში დაბრუნდეს

ბარსელონა. ტრანსფერები

# მოურინიო კამპ ნოუზე?

## ბარსელონელები ინიესტას ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ...

"ბარსელონის" დირექტორებმა იციან, რომ **ჟოზე მოურინიო** "კამპ ნოუზე" სიამოვნებით დაბრუნდება. "ელ მუნდო დეპორტივო" საინტერესო ინფორმაციასავრცელებს. კატალონიელები მოურინიოს წარმომადგენლებს არაფორმალურ ვითარებაში შეხვდნენ. მხარეებმა შესაძლო თანამშრომლობაზე იმსჯელეს. მწვრთნელის ემისრებმა განაცხადეს, რომ "ბარსას" ჟოზეს გულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის გუნდში **სერ ბობი რობსონის** თარჯიმნად და ასისტენტად მიიწვიეს. შემდეგ **ლუის ვან გაალის** სამწვრთნელო შტაბშიც იმუშავა. მოურინიო "ბარსელონას" შესანიშნავად იცნობს. ის მზადაა, "კამპ ნოუზე" დაბრუნების შემთხვევაში, ერთ-ერთ თანაშემწედ ადგილობრივი სპეციალისტი აიყვანოს. გაზეთ "მარკა" ვარაუდობს, რომ ეს თანაშემწე **ხოსეპ გუარდიოლა** იქნება. ის "ბარსელონის" მეორე გუნდის დამრიგებელია.

კატალონიურ გრანდზე საუბარს "დიარიო სპორტის" ინფორმაციით გავაგრძელებთ: "ბარსელონის" სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** ლისაბონში გაემგზავრა და ცნობილ აგენტ **ჟორჟე მენდეშს** შეხვდაო. მენდეში **დეკუსა** და **რაფაელ მარკესის** ინტერესებს იცავს. ის **კრისტიანო რონალდოს** აგენტიცაა. "დიარიო სპორტის" ცნობით, ბეგირისტაინმა მანჩესტერელი ვარსკვლავის საკითხიც წამოჭრა. გამოცემა წერს, რომ დირექტორატი შემადგენლობის გასაძლიერებლად 70 მილიონი გირვნქის დახარჯვას აპირებს. ამ ფულის მინიმუმ ერთი სუპერვარსკვლავის ტრანსფერი იგეგმებაო. უკანასკნელი ხმაურიანი ტრანსფერი, რომელიც კატალონიელებმა განახორციელეს, ხუთი წლის წინ, **რონალდინიოს** ტრანსფერი იყო. გუნდს ახალი სისხლი სჭირდება. პრიმერა დივიზიონის 18 ტურის შემდეგ "ბარსა" ლიდერ "რეალს" შვიდი ქულით ჩამორჩა.

ბარსელონელები შიშობენ, რომ "ჩელსი" **ანდრეს ინიესტას** გადაბირებას შეეცდება. ლონდონური გრანდის მეორე მწვრთნელია **ჰენკ თენ კეიტი** - **ფრანკ რაიკაარდის** ყოფილი ასისტენტი "კამპ ნოუზე". მას ინიესტასთან ჩინებული ურთიერთობა აქვს. ამიტომ ადვილად შეუძლია, ახალგაზრდა კატალონიელი ვარსკვლავის ცდუნება. იცის რა ლონდონელთა დაინტერესების შესახებ, "ბარსელონის" პრეზიდენტი **ჟოან ლაპორტა** ფეხბურთელისათვის ახალი კონტრაქტის შეთავაზებას აპირებს. შეთანხმების შემთხვევაში, ინიესტას წლიურად 4 მილიონ გირვანქას გადაუხდიან, თუმცა ესპანელი მიმომხილველები წერენ, რომ ჩელსის უფრო მაღალი ხელფასის დანიშვნაც შეუძლია.

"ბარსა" დაშავებული **ალბერტ ხორკერას** შემცვლელს ეძებს. კატალონიელებს მეორე მეკარე სჭირდებათ. "დიარიო სპორტის" ცნობით, ინტენსიურად განიხილება შვედეთის ნაკრებისა და "მანჩესტერ სიტის" კარის დარაჯის, **ანდრეას ისაკსონის** კანდიდატურა. ის 26 წლისაა. სეზონის დასაწყისში ისაკსონმა თით მოიტეხა. ის ახლახან გამოჯანმრთელდა. **სვენ გორან ერიქსონი** ძირითადში ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრ **ჯო ჰარტს** აყენებს. სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, "სიტი" შვედ ლეგიონერს სიამოვნებით გამოეთხოვება. და კიდევ, ლისაბონში მყოფმა ბეგირისტაინმა "პორტუს" სათადარიგო მეკარე **ნუნუ** მოიკითხა. ის 34 წლისაა. "ბარსელონას" მასთან ნახევარწლიანი საიჯარო კონტრაქტის გაფორმება სურს.



ანტონიო კასანო

უკრაინა

# მიხაილიჩენკო ორი წლით

უკრაინის ნაკრებს ახალი დამრიგებელი ჰყავს. **ოლეგ ბლოხინის** შემდეგ საპასუხისმგებლო პოსტზე კიევის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი და მწვრთნელი, **ალექსეი მიხაილიჩენკო** დაინიშნა. მიხაილიჩენკო დღემდე ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი იყო. ფეხბურთის ფედერაციამ მას 2010 წლის მუნდიალამდე გაუფორმა კონტრაქტი. თუ უკრაინელები მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდებიან, ხელშეკრულება 2009 წლის მიწურულს შეწყდება. ბლოხინმა თანამდებობა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შემდეგ დატოვა. მისმა შეგირდებმა ავსტრიისა და შვეიცარიის საგზურები ვერ მოიპოვეს. წლინახევრით ადრე ბლოხინმა გუნდი მუნდიალის მეოთხედფინალში გაიყვანა. ამ ფონზე ევროს მიღმა დარჩენა სერიოზულ წარუმატებლობად შეფასდა. ბლოხინმა რუსეთს მიაშურა. ის საფეხბურთო კლუბ "მოსკვას" დამრიგებლად დანიშნეს. ახლა მის საქმეს მიხაილიჩენკო გააგრძელებს.44 წლის სპეციალისტმა კიევის "დინამოში" ორი სეზონი გაატარა და ორჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. ფეხბურთელობისას მიხაილიჩენკოს კიევის "დინამოში", "სამპდორიასა" და "რეინჯერსში" უთამაშია. ის საბჭოთა კავშირის, იტალიისა და შოტლანდიის ჩემპიონია.

რომა

# მუტუს უარი და მანსინის ახალი კონტრაქტი

რომაელმა გულშემატკივრებმა ერთი კარგი და ერთი ცუდი ამბავი შეიტყვეს. **ადრიან მუტუმ** დედაქალაქში გადასვლა არ ისურვა. მან "ჯალოროსის" თავაზიანი უარი შეუთვალა და "ფიორენტინაში" გადაწყვიტა დარჩენა. კარგი ამბავი ისაა, რომ ბრაზილიელი გარემარბი **ამანტინო მანსინი** კარიერას ისევ "სტადიო ოლიმპიკოზე" გააგრძელებს. ფეხბურთელმა კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოება მოაგვარა და მზადაა, კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს.

რომაელები ზამთრის ტრანსფერებისას შემადგენლობის გაგრძელებას აპირებენ. ისინი ტრანსფერებში 15-20 მილიონ ევროს დახარჯავენ. დედაქალაქელები "ინტერის" პირველობას არ ეგუებიან. მილანურ გრანდს "ჯალოროსისაგან" შვიდი ქულა ჰყოფს. მუტუ **ლუჩანო სპალეტის** უმთავრესი სამიზნე გახლდათ. რუმინელი თავდამსხმელი საუცხოო სეზონს ატარებს. მას ადრიანის შეძენა უკვე რამდენიმე თვეა, სურს, მაგრამ მუტუმ კომენტარმა მწვრთნელის იმედებს ცივი წყალი გადაასხა: *"სასიამოვნოა, როცა ასეთი დონის გუნდი კონტრაქტის გაფორმებას გთავაზობს, მაგრამ მე მხოლოდ "ფიორენტინაზე" ვფიქრობ და გუნდიდან წასვლას არ ვაპირებ. ჩვენს გუნდს ჩემპიონთა ლიგაში თამაში სურს. ყველაფერს ვილონებთ, რომ მიზანს მივაღწიოთ."*

ამანტინო მანსინიმ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"რომი ჩემი მეორე სახლია. ეს ქალაქი სიგიჟემდე მიყვარს. მინდა, განვმარტო, რომ ახალ კონტრაქტზე უარი არასოდეს მითქვამს. ხუთი წელია, "ჯალოროსიში" ვთამაშობ. კლუბთან პრობლემები არასოდეს მქონია. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ გარკვეულ პირობებზე ვერ ვთანხმდებოდით, მაგრამ აცლა უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ორივე მხარისათვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებას მივიღებთ. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ რომაში დარჩენა მსურს."*



ადრიან მუტუმ ფიორენტინაში დარჩენა გადაწყვიტა

ჩაშლილი ტრანსფერი

# ლემანმა დორტმუნდი უარყო

**იენს ლემანმა** უარყო ინფორმაცია, თითქოს "დორტმუნდში" გადასვლას აპირებდეს. გერმანელ გოლკიპერს "არსენალში" სერიოზული პრობლემები აქვს. მას ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებენ. გერმანიის ნაკრების მეკარე თადარიგში ზის, სამშობლოში დაბრუნება კი მაინც არ უნდა. *"ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, ლონდონში დავრჩე,"* - განუცხადა ლემანმა გაზეთ "ბილდს". იენსმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ ამცნო ბუნდესნაკრების თავკაც **იოახიმ ლიოვს**. "ბილდი" მწვრთნელის მოსაზრებითაც დაინტერესდა. ლიოვმა თქვა: *"ალბათ, უკეთესი იქნებოდა, ლემანს გერმანიაში ეთამაშა, მაგრამ მის სურვილს პატივს ვცემთ. ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, იენსის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება არ იცვლება. ჩვენ მასზე დიდ იმედს ვამყარებთ."* სპეკულაციებს "არსენალის" დამრიგებელი არსენ ვენგერიც გამოეხმაურა. მან მიმომხილველებს აუწყა, რომ გერმანელი გოლკიპერის გაყიდვა არ იგეგმება.

ლემანის განცხადებამდე ერთი დღით ადრე "დორტმუნდის" სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** განაცხადა, შეთანხმება თითქმის მიღწეულია, იენსი ჩვენი გუნდის ღირსებას დაიცავსო. ცორკის თქმით, მოსაგვარებელი იყო რამდენიმე ფორმალობა, რის შემდეგაც ვეტერანი მეკარე "ბორუსიას" ესპანურ შეკრებაზე შეუერთდებოდა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, დორტმუნდელების სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. სხვათა შორის, "ბორუსიის" გულშემატკივართა ერთმა ნაწილმა დაგეგმილი ტრანსფერი გააპროტესტა. მათი აზრით, იენსი მოღალატეა, მოღალატეებს კი "ვესტფალენშტადიონზე" არაფერი ესაქმებათ.

გურამ მოდებაძე სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელია ძიუდოში. თავად განსაჯეთ, სადღეისოდ ნაკრებში მისი 4 შეგირდია და ისიც როგორი - ევროპის ორგზის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი (66), ევროპის ვიცე-ჩემპიონი დავით ქევხიშვილი (73), ლომერ ყორყოლიანი (100), რომელიც წლეულს ევროპაზეც და მსოფლიოზეც მეხუთეზე გავიდა და ევროპის ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი ლაშა გუჯეჯიანი (+100).

ყველა წინაპირობა არსებობს იმის სათქმელად, რომ მსოფლიო ჩემპიონატისა და ევროპის პირველობების დარად, ოლიმპიადაზეც ნაკრებში უმეტესობას მისი შეგირდები შეადგენდნენ. თუმცა არაა გამორიცხული, თამაშებამდე დარჩენილ დროში რომელიმემ ნაკრებში ადგილი დაკარგოს კიდეც. ეს საშიშროება მას მშვენივრად ესმის და ამიტომ მუშაობს თავდაუზოგავად - ალმაშენებლის გამზირზე მდებარე მისი დარბაზი კვირიდან კვირამდე, დილიდან საღამომდე მაქსიმალურადაა დატვირთული. არის დღეები, როცა იქ სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების 5 ვარჯიშიც კი ტარდება. თამამად შეიძლება ითქვას, მოდებაძემ და იმ დარბაზში მომუშავე მწვრთნელებმა - ამირან კელეხაშვილმა, სპარტაკ გორგაძემ და ავთანდილ დილმელაშვილმა (ბოლო ხანებში მათ ბათო ჯიქურიც დაემატათ) იქაურობა ქართული ძიუდოს კონვეიერად აქციეს. ძალზე ნიჭიერი ახალგაზრდები მრავლად მოდიან. მრავალთაგან ერთს დავასახელებთ - ვალერი ლიპარტელიანს (90), რომელიც წლეულს ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი გახდა, დეკემბერში კი საქართველოს ჩემპიონატიც დამაჯერებლად მოიგო და თბილისის ტურნირსაც იჭიდავებს. არადა, ჯერ 18 წლისაც არაა.

გურამ მოდებაძე და მისი შეგირდები გუშინ შეუერთდნენ ეროვნულ ნაკრებს, რომელმაც თბილისის მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად დედაქალაქშივე შეკრება დაიწყო. ზემოდასახელებული ფალავნებიდან შეკრებაზე მხოლოდ ქევხიშვილი არ იმყოფება, რომელიც თბილისის ტურნირსაც გამოტოვებს. ბუნებრივია, მოდებაძესთან საუბარში ძირითადად მისი შეგირდებით შემოვიფარგლეთ.



რიო დე ჟანეირო. მსოფლიო ჩემპიონატი. დავით ქევხიშვილი, გურამ მოდებაძე, ირაკლი ცირეკიძე

ავტორის ფოტო

# წინ, შეტევა! დგომა უკანდახევაა

**- უპირველესად, იმ სამეულის მდგომარეობა გვაინტერესებს, რომლებიც თავიან წონებში ლიდერები არიან - კედელაშვილი, ყორყოლიანი და გუჯეჯიანი. რამდენად მომზადებულნი ხვდებიან ისინი ახალ სეზონს, თბილისის მსოფლიო თასს? არიან მზად იმ დონეზე, რაც ამ ეტაპზე მოეთხოვებათ?**

- ბუნებრივია, ამ ეტაპზე ფორმის პიკში ვერ იქნებიან და ეს არც მოეთხოვებათ, მაგრამ სეზონის დასაწყისის პირობებს კი აკმაყოფილებენ. დეკემბრის ბოლოს მათ ნაკრებთან ერთად ბაკურიანში შეკრება გაიარეს, რომელიც ძირითადად ფიზმომზადებისთვის იყო განკუთვნილი, თუმცა ამჯერად შერეული ტიპისა იყო - შიგადაშიგ ბიჭები ტატამზეც ვარჯიშობდნენ. ფიზიკურ დატვირთვებს იმიტომ მოვერიდეთ, რომ თბილისის ტურნირამდე არც ისე დიდი დრო რჩებოდა და გადაღლის საშიშროება არსებობდა. ეს შეკრება საახალწლოდ დამთავრდა, მხოლოდ ერთი კვირა დავისვენეთ და ისევ გავაგრძელეთ ვარჯიშები. გუშინ კი მსოფლიო თასისთვის დასკვნითი შეკრება დავიწყეთ.

**- ზაზა კედელაშვილის საკითხი ძალზე აქტუალური გახდა ძიუდოს ქომაგისთვის, რადგან ბრწყინვალედ დაწყებული შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარი, მსოფლიო პირველობის ჩათვლით, აშკარად ჩააგდო.**

- სეზონის მეორე ნახევარი მართლაც ჩააგდო, თუმცა ლიცენზია თითქმის გაინაღდა. მას საგზურის მოსაპოვებლად ერთი რომელიმე ტურნირის მოგება სავსებით ეყოფა, ამის გაკეთება კი ყველაზე იოლი სახლშია. ამიტომ ამ მსოფლიო თასისთვის გულმოდგინედ ემზადება.

წლევანდელ გეგმებს რაც შეეხება, ალბათ, სტილის შეცვლა მოგვიწევს, რადგან უკვე გაშიფრეს. ამაზე ზაზასაც ველაპარაკე უკვე. ევროპის ჩემპიონი რომც არ იყო, ისედაც ყველა გაკვირდება. მით უფრო დიდია ინტერესი ფალავანისადმი, რომელმაც ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა ევროპაზე. საჭიროა უფრო აგრესიული სტილი, მეტი შეტევა, სისწრაფე და აფეთქებები, თორემ სადღეისოდ ცოტა ჩამორჩით. დღეს ძირითადად შემტევი ჭიდაობა ჭრის, რადგან სისწრაფის ხარჯზე ეს აქტივობაში ეთვლებათ. ზაზა ამით იჩაგრება, თორემ ფიზიკურად არავისზე ნაკლები არაა. ოლიმპიადამდე არც ისე დიდი დროა, მაგრამ სტილის შეცვლა კი მოესწრება. ევროპამდე იგი ერთ რომელიმე ტურნირში გამოვა, ინტენსიურად კი არ იჭიდავებს, რადგან წონის ხშირი დაკლება არ გვინდა. შარშან მან თითქმის ყველა ტურნირის წინ დაიკლო და სეზონის მეორე ნახევარს ამიტომაც ვერ გაუძლო. მთლიანობაში, ყველა ტურნირზე დაკლებული წონა რომ შევაჯამოთ, დაახლოებით 35 კილოგრამი გამოვა. არადა, წონის დაკლება ფიზიკურად თუ ფსიქოლოგიურად ძნელი პროცესია. კიდევ კარგი, მაგას დაკლება დიდად არ უჭირს, თუ ძალიან არ გაექცა.

**- ფაქტია, რომ მან ბრაზილიაშიც ბლომად დაიკლო. ფაქტია ისიც, რომ უშუალოდ იმ დღეებში იყო რეჟიმის დარღვევის შემთხვევაც... ჩანს, პროფესიონალიზმი ჯერ კიდევ არაა მის ხასიათში გამჯდარი.**

- რეჟიმიდან ამოვარდნას ვერ ვიტყვი, რადგან მართლაც გულმოდგინედ ვარჯიშობდა... იმ წარუმატებლობას მაინც უფრო წონის დაკლებას ვაბრალებ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მასზე ევროპის პირველობის მეორედ მოგებამაც იმოქმედა. ამას სხვა უარყოფითი შედეგიც მოჰყვა - მას, როგორც წარმატებულ სპორტსმენს, ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა ღონისძიებებზე, რაც ძალაუნებურად იწვევს რეჟიმიდან ამოვარდნას. არადა, იგი ჩემს ხელში გაიზარდა, მაგრამ არ მახსოვს, ვარჯიში გაეცდინოს, ან - დაზარებოდეს. ახლაც ყოველ დილით დარბის კუს ტბაზე.

**- აქ მივადექით პრობლემას, რომელმაც ძალზე უარყოფითი როლი ითამაშა ზურაბ ზვიადაურის შემთხვევაში - საზოგადოების, ხელისუფლების ჩარევას წარმატებული სპორტსმენის სავარჯიშო განრიგში. მესმის, ამ ძალასთან მწვრთნელებიც უძლურნი ხართ...**

- მე ერთს ვიტყვი - ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. წარმატებების გასაშუქებლად მასმედია არსებობს და საამისოდ სულაც არაა აუცილებელი, სპორტსმენი ყველა შეხვედრაზე გვერდში ამოვიყენოთ. მას თავისი საქმე აქვს და უნდა ვაცალოთ.

**- კიდევ ერთი ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელიც ერთბაშად, მაგრამ მყარად შემოიჭრა ნაკრებში - ყორყოლიანი. მის წლევანდელ შანსებსა თუ გეგმებზე რას იტყვით?**

- მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ყორყოლიანი ცოტა ხნით დავასვენეთ - სახლში გავუშვით, ბოლნისში. მოგეხსენებათ, სპორტსმენთა ხასიათი განსხვავებულია და ყველას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. იქნებ ზოგიერთი დასვენებამ გაახარმაცოს და ფორმიდან ამოაგდოს, მაგრამ ყორყოლიანს უხდება. მეტიც - სჭირდება იგი, რომ მოწყდეს სავარჯიშო ატმოსფეროს, დარბაზს და ამ ყველაფერს მაქსიმალურად განერიდოს. რაკი ეს ვიცოდით, ამიტომ გავუშვით სახლში და იქიდან მართლაც დასვენებული, ახალი ენერგიით შემართული დაგვიბრუნდა. ბაკურიანის შეკრება კარგად გაიარა და ამ ეტაპზე ისიც ნორმალურადაა მომზადებული. მართალია, მან ლიცენზია მოიპოვა, მაგრამ ეს მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს - არაა გამორიცხული, ქულებით ლიცენზია სხვამაც მოიპოვოს. სადღეისოდ ისიც მზადაა და მჯერა, ამ ტურნირსაც დამაჯერებლად იჭიდავებს. რაც მთავარია, მასში ჯერ კიდევ დიდი რეზერვია. მსოფლიო ჩემპიონატზე თავადაც ნახეთ, რომ ბრინჯაო, პრაქტიკულად, აჩუქა მეტოქეს.

**- იგი ამ წონაში უკვე გამოიკვეთა ლიდერად. ფიზიკურად მართლაც შესანიშნავადაა მომზადებული, მაგრამ გამოუცდელობა აშკარად ეტყობა. ჯერ კიდევ უფრო ტაქტიკურად ჭიდაობს, უფრო მეტოქის შეცდომას ელოდება, თვითონ კი თითქოს ვერ რისკავს შეტევას. ჩანს, ჯერ კიდევ აკლია მომენტის შეგრძნება, როცა მიხვდება, როდის უნდა აფეთქდეს, როდის გარისკოს და შეუტიოს...**

- ცხადია, გამოცდილება მართლაც აკლია. ეგ მომენტის შეგრძნება სწორედ გამოცდილებამ უნდა მოიტანოს. იგი ფიზიკურად მართლაც ჩინებულადაა მომზადებული და იმდენად მყარი ჩავლება აქვს, ვერავინ ჯობნის. მას მართლაც მეტი გაბედულება სჭირდება, რასაც ჩემთან ერთად შოთა ხაბარელი და ნაკრების სხვა მწვრთნელებიც ეუბნებიან. საბედნიეროდ, შრომა არც მას ეზარება. მეტსაც გეტყვით - იგი შრომით შექმნილი ფალავანია და რასაც მიაღწია - თავდაუზოგავი ვარჯიშით.

**- ლაშა გუჯეჯიანი უკვე გამოკვეთილი ლიდერია არა მარტო ჩვენს ნაკრებში, არამედ მსოფლიოშიც, რის დასტურადაც მსოფლიო პირველობაზე მოპოვებული ორი ბრინჯაოც გამოდგება... ბრაზილიაში თავადაც დავრწმუნდი, რომ იგი ბრინჯაოსთვის ნებისმიერ ტურნირზე იჭიდავებს. აი, ცოტა სხვა საკითხია ჩემპიონობა...**

- გუჯეჯიანი დღეს მართლაც ერთ-ერთი ფავორიტია. იგი ძალიან ჭკვიანია - ყველა მეტოქის გაშიფვრა შეუძლია. თან, ჟინიანია, მებრძოლი და საკუთარ თავში დარწმუნებული. სპორტსმენისთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი თვისებებია. ისიც მნიშვნელოვანია, რომ არც მეტოქის შიში ახასიათებს და უაღრესად მშრომელია. 2 იანვარს დარბაზში მოვიდა სავარჯიშოდ და მზადება თითქმის არ შეუწყვეტია. იგი დახვეწილი მოჭიდავეა და მრავალფეროვანი ჭიდაობაც შეუძლია. ლაშას თბილისის ტურნირი ჯერ არ მოუგია, რაც მისთვის დამატებითი სტიმულია. საამისოდ ძალიანაა მონადინებული და ამბობს, რომ ამჯერად უეჭველად გაიმარჯვებს. შეიძლება ვერც მოიგოს, მაგრამ მთავარი მისი შემართებაა.

მზადების ინდივიდუალური გეგმა მასთანაც შევიმუშავეთ, რადგან მძიმეწონოსანის კვალობაზე - დაბალია. იქნებ ეს მაღლებთან შეხვედრაში გარკვეული უპირატესობაც იყოს, რადგან კისრულებზე უფრო იოლად ეჭიდავება, მაგრამ მაინც გაორმაგებული მზადება სჭირდება. შარშან საგანგებოდ მაგისთვის თანამედროვე შტანგა შევიძინეთ, რომელსაც სხვებიც იყენებენ, მაგრამ მაინც ლაშას სახელი ჰქვია. შარშანვე 24-კილოიანი გირებიც შევუძინეთ და ვარჯიშობს. ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად ისიც მნიშვნელოვანია, რომ ლიცენზია უკვე მოიპოვა და თამაშებისთვის მშვიდად მომზადება შეუძლია.

**- სიდაბლის პრობლემაზე ისედაც მსურდა კითხვა. მაინც რას ხედავთ მასში ისეთს, რომლითაც შეძლებს ამ ნაკლის გაბათილებას და უმაღლესი შედეგებისთვის ბრძოლას? ამ წონაში რამდენიმესთან უარყოფითი ბალანსიც დაუგროვდა. მაგალითად ტამერლან ტმენოვთან და ფრანგ ტედი რინერთან... ნურც ჩინელი გიგანტი - ხიანგჯუნ ვეი დაგვავიწყდება, რომელიც ბოლო წლებში საგრძნობ პროგრესს განიცდის და პეკინში მასპინძელი იქნება...**

- ტმენოვი ლაშასთვის მართლაც უხერხული მეტოქეა - უჭირს მასთან ჭიდაობის აწყობა, მაგრამ ამასობაში ტმენოვმაც საპენსიო ასაკს მიუკაკუნა. ვატყობ, ფსიქოლოგიურად უჭირს მასთან საჭიდაოდ განწყობა. რაც შეეხება რინერს, ევროპის პირველობის ფინალში დამარცხების შემდეგ ლაშამაც თქვა და მეც ვეთანხმები, ეგენი შენახვედრნი რომ ყოფილიყვნენ, გუჯეჯიანი არ წააგებდა. რინერს ბრაზილიაშიც ვაკვირდებოდი და სხვაგანაც მინახავს. მის გასანეიტრალებლად საჭიროა მუშა - მარჯვენა ხელი გაუთიშო. ბრაზილიაში ყველამ ვნახეთ, სწორედ ამის გამო როგორ გაუჭირდა ჩინელთან.

**- ჩვენი ინფორმაციით, დავით ქევხიშვილი მსოფლიო თასზე შინაგანი ორგანოების დაავადების გამო არ იჭიდავებს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორია?**

- ჯანმრთელობის მხრივ საშიში მდგომარეობა არაა, მომზადებულიც კარგადაა, მაგრამ რაღაცნაირი უიღბლო მოჭიდავეა - ტრავმებმა გატანჯეს. ძალიან კარგია, ლიცენზია შემოდგომაზე რომ მოიპოვა - წლევანდელი სეზონისთვის მშვიდად მოემზადება. იგი ბაკურიანშიც გვახლდა შეკრებაზე და კარგადაც ივარჯიშა, მაგრამ ახლა მაინც ვასვენებთ, რადგან არ გვინდა, წონა დავაკლებინოთ. იგი ევროპამდე რომელიმე ტურნირზე იჭიდავებს, მერე ევროპაზეც გამოვა და იმის შემდეგ ოლიმპიადისთვის დავიწყებთ მზადებას.

**- უცნაური ამბავია - კედელაშვილის, ცირეკიძის, გუჯეჯიანისა და სხვებისგან ხშირად გამიგონია, რომ წარმატებების მოპოვებაში ქევხიშვილის დარიგებები ძალიან დაეხმარათ. თანაგუნდელები მას კარგ ფსიქოლოგად ახასიათებენ, მაგრამ თვითონ ხშირად მარცხდება წარმატების ზღურბლზე. მას თავად ხომ არ აწუხებს ფსიქოლოგიური პრობლემები?**

- მას მართლაც შეუძლია სხვების დარიგება, საჭიდაოდ განწყობა. იგი საკუთარ თავსაც განაწყობს საჭიდაოდ, მაგრამ მარცხის მიზეზი ხშირად მისივე ჭიდაობის სტილი ხდება. იგი ტატამზე აქტიურია, შემტევია, სულ მოძრაობს, ასეთები კი უფრო ხშირად ცდებიან. არიან მოჭიდავეები, რომლებიც ჩაავლებენ ხელს და დგანან - არც თავად ჭიდაობენ და არც შენ გაჭიდავებენ. ცხადია, ისინი უფრო ნაკლებად ცდებიან, ვიდრე - შემტევები, ღია სტილის მოჭიდავეები. საჭიროა, მანაც ისწავლოს ტემპის დაგდება, მეტოქის შეკავება. ადრე თავადაც ამბობდა, რომ ასე არ შეუძლია, მაგრამ ახლა ხედავს - ეს აუცილებელია და ამაზე ვმუშაობთ.

**- ჩვენ ვლაპარაკობთ ნაკრების ოთხ წევრზე. ოთხივე მათგანი თითქმის თანაბარი, უმაღლესი სტანდარტების მოჭიდავეა. ეგებ მთლად კორექტული კითხვა არცაა, მაგრამ თქვენ მაინც ვისგან ელოდებით ყველაზე მეტს, ვისში ხედავთ ყველაზე დიდ პერსპექტივას?**

- ეს მართლაც ძნელი სათქმელია, რადგან ოთხივე მაღალი კლასის მოჭიდავეა. წარმატებები ხშირად ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგალითად - წილისყრაზეც. მსოფლიო ჩემპიონატზე კედელაშვილის უმედლოდ დარჩენას ვერაფრით წარმოვიდგენდი, მაგრამ ისეთ მეტოქეებთან მოხვდა... იქ არ იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ოღონდ რომელიმე კონკრეტული ბარიერი გადაელახა და მერე შედარებით სუსტი მეტოქე შეხვდებოდა - ერთს მოუგებდა, იქით უფრო ძლიერი თუ არა, არანაკლები მეტოქე ელოდა და ასე შემდეგ... მედლის მოპოვების დიდი შანსი ყორყოლიანსაც ჰქონდა, მაგრამ უმედლოდ დარჩა...

მოკლედ, წარმატება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. შესაძლოა, ფიზიკურად თუ ტექნიკურ-ტაქტიკურად კარგად მოემზადო, მაგრამ ფსიქოლოგიურად ვერ განეწყო საჭიდაოდ. შეიძლება, ტატამზე ვერ იაზროვნო სათანადოდ და ამიტომ წააგო. მთავარია, მედლისთვის ბრძოლა ოთხივეს შეუძლია და ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ შეხვდები კონკრეტულ შეხვედრას.

**-დაბოლოს, არ შეიძლება ერთ გამორჩეულ ახალგაზრდა შეგირდზე - ვალერი ლიპარტელიანზე არ გკითხოთ, რომელიც ნამდვილი ტალანტია...**

- მას მართლაც კარგი მომავალი აქვს, მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. მას თითქმის ყველა კომპონენტში სჭირდება მომატება. ჭიდაობა მუდმივ პროგრესს და განახლებას, ილეთების დახვეწას მოითხოვს, თორემ ერთ ადგილზე თუ გაჩერდი, ერთხელ კი მოიგებ რამეს, მაგრამ მერე არავინ გაგიშვებს. მთავარია, რომ კარგი მონაცემები გააჩნია, დანარჩენი კი დროის და მონდომების საქმეა. საერთოდ არ მიყვარს სპორტსმენის ქება და მით უფრო - გადამეტებული, რადგან ამას უარყოფითი გავლენის მოხდენაც შეუძლია, მაგრამ ლიპარტელიანს დიდი სპორტსმენისთვის საჭირო ყველა მონაცემი გააჩნია - შრომისმოყვარეა, უშიშარია, კარგად ეწყობა შეხვედრისთვის და ტატამზე თავისუფლად შედის. ამ ეტაპზე ყველაზე ძალიან ერთის მეშინია - ცხადია, უფროსებში ჯერ გაუჭირდება, თავიდან წააგებს კიდეც და ვაითუ, მარცხის შიში გაუჩნდეს-მეთქი. მაგრამ ამ ეტაპზე ყველაფერი ნორმალურად მიდის - ისე, როგორც მისი ასაკის სპორტსმენი უნდა ვითარდებოდეს.

ირაკლი თავაძე

LOYAL CAPITAL group

ქვარციტი QUARTZITE

BTA Silk Road Bank

ინტერვიუ აქვსენტი გიორგაძესთან

# ქართველი ქომაგი მოგვენატრა



კასტრი საფრანგეთის სარაგბო მექასთან, ტულუზთან მდებარე პატარა ქალაქია, რომელსაც არანაკლები სარაგბო ტრადიციები გააჩნია. აქ რამდენიმე ქართველ მორაგბეს გაუტარებია კარიერის საუკეთესო წლები. მუდმივად დიდი ამბიციების მქონე გუნდის ღირსებას უკვე მესამე სეზონია, ერთადერთი ქართველი, საქართველოს ნაკრების კვაჭი აქვსენტი გიორგაძე იცავს. კასტრელები, თავდაუზოგავი მცდელობის მიუხედავად, ლიდერთა შორის ადგილის დამკვიდრებას ვერაფრით ახერხებენ. კრიზისი უკვე რამდენიმე წელია, გრძელდება. ამისა და თავისი სამომავლო გეგმების შესახებ აქვსენტი გიორგაძეს დავეკითხეთ.

- რატომ ვერ ავაწყეთ თამაში, ძნელი სათქმელია. მართალია, „კასტრი" ყველაზე მდიდარი კლუბის იმიჯით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ არც არავიზე ნაკლებია, უძველესი ტრადიციები აქვს. რაგბი ამ ქალაქში ნომერ პირველი სპორტის სახეობაა და ყურადღებაც სათანადო აქვს. მორაგბეთა კონტინგენტიც საკმაოდ სოლიდურია. მაგრამ...

**- „კასტრის" მიერ ნაჩვენებ შედეგებს თუ ანალიზს გავუკეთებთ, მისი შემადგენლობის ადექვატური სულაც არაა. თანაც ეს ქრონიკულად გრძელდება, აგერ უკვე მერამდენე სეზონია.**

- თუ წლევანდელ ცუდ სტარტს განვიხილავთ, აქ რამდენიმე მიზეზი შეიძლება დავასახელოთ. შემადგენლობა სოლიდური კი გვყავს, მაგრამ სეზონის წინ რამდენიმე მოთამაშე ტრავმის გამო დაგვაკლდა. ბევრს, ისევე როგორც მე, გუნდში მოსამზადებელი პერიოდი გაუცდა, რადგან თავიანთ ნაკრებებში იასპარეზეს მსოფლიო თასზე. ერთი სიტყვით შეთამაშება გვაკლია და ახლა ამ ყველაფერს ფორსირებულად გავდივართ.

**- როგორც ჩვენთვის ცნობილია, „კასტრის" ხელმძღვანელობამ სეზონის წინ გუნდში ახალი მწვრთნელი მოიყვანა და მიზნებიც სერიოზული დაუსახა.**

- დიახ, ასე იყო. მაგრამ ის ხუთი ტურის შემდეგ მოხსნეს, ვინაიდან მხოლოდ ერთი გამარჯვება გვქონდა. „კასტრის" ბოსები აღშფოთებულები იყვნენ, კრება-კრებაზე იმართებოდა, გამოსავალს ეძებდნენ. ერთი სიტყვით, ძალიან დაძაბული, უსიამოვნო სიტუაცია იყო. მერე ადგნენ და პიერ გაიაკი დააბრუნეს, რომელიც ამ გუნდში იმ პერიოდში მუშაობდა, როცა „კასტრის" ღირსებას ლევან ცაბაძე იცავდა. გაიაკმა კარგად იცის ამ გუნდის ავანჩავანი, ცდილობს მოშლილი მექანიზმი როგორმე ააწყოს. ვნახოთ, რა გამოვა. დიდი შანსია პლეი ოფში რომ ვერ მოვხვდეთ, მაგრამ ვფიქრობ არც გავვარდებით.

**- „კასტრში" მესამე სეზონია თამაშობთ. გუნდის გამოცვლას ხომ არ აპირებთ?**

- ამის თქმა ჯერ ძნელია. თუ რაიმე კარგი წინადადება მექნება, რატომაც არა, წავალ. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ თავს აქაც მშვენივრად ვგრძნობ. თამაშითაც ხშირად ვთამაშობ, რასაც წინა ორ სეზონზე ვერაფრით ვიტყვი. ვგრძნობ, რომ გუნდს ვჭირდები. თუმცა, გამორიცხული არაა, ვითარება შეიცვალოს, როგორც უარესობისკენ, ისე უკეთესობისკენაც. ყველაფერს ნათელი სადღაც მარტის ბოლოსთვის მოეფინება.

**- მალე ერთა თასის გათამაშების მეორე წრის შეხვედრები დაიწყება. ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული ხართ.**

- საკმაოდ რთული შეხვედრები გველის თებერვალში. ორჯერ პორტუგალიასთან და ერთიც რუმინეთთან. ორივე გუნდი ტრადიციულად უხერხული მეტოქეა. მათთან თამაში ყოველთვის უშელავათო, პრინციპულ ხასიათს ატარებს. თუმცა ბოლო შეხვედრებში მათთან წარმატებით ვითამაშეთ და ვეცდებით, ეს დადებითი მუხტი არც მომავალში დავკარგოთ. ძალიან კარგია, ზედიზედ ორი შეხვედრა 2 და 9 თებერვალს შინაურ კედლებში, თბილისში რომ გვიწევს. დიდი ხანია, ქართველი ქომაგების წინაშე არ გვითამაშია. მსოფლიო თასის შემდეგ მათთან შეხვედრა ძალიან თბილი და ემოციურად დატვირთული იქნება.

**- ნაკრებს ახალი თავკაცი, ავსტრალიელი ტიმ ლეინი ეყოლება. რას იტყვით მასზე?**

- ტიმ ლეინს კარგი სამწვრთნელო კარიერა აქვს, პრაქტიკაც შესანიშნავი. ვნახოთ რას იზამს, რა იდეებით მოვა. იმედი მაქვს, გუნდს ალღოს მალე აულებს და უკეთ ავთამაშდებით.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლეგიონერები

# ქუბრიაშვილი და ტულონი

ყოფილი ლელოელი, ამჟამად საფრანგეთის პირველი დივიზიონის „მონპელიეს" ბურჯი **დავით ქუბრიაშვილი**, შესაძლოა, უახლეს დღეებში, მეორე დივიზიონის ლიდერ, **გია ლაბაძის** ვარსკვლავურ კლუბ „ტულონში" გადაბარგდეს. ქუბრიაშვილმა „ტულონის" მწვრთნელ **ტანა უმაგასა** და მულტიმილიონერ პრეზიდენტის **მურად ბურჯალალის** ყურადღება „მონპელიეს" ახალგაზრდული გუნდში თამაშისას მიიპყრო.

„ტულონი" საფრანგეთში დღესდღეობით ერთ-ერთი უმდიდესი კლუბია, სადაც მსოფლიო დონის ვარსკვლავები **ჯორჯ გრეგანი, ენდი მერთენსი, დან ლუგერი** და სხვები თამაშობენ. სამომავლოდ ტულონელებს მეტად სერიოზული მიზნები აქვთ. როგორც ამ კლუბის ვებგვერდი იუწყება, რაგბზე უსაზღვროდ შეყვარებული მათი პრეზიდენტი მომდევნო სეზონისთვის ინგლისელი **ჯონი ვილკინსონის**, სამხრეთაფრიკელების - **ბაკის ბოთასა** და **ბრაიან ჰაბანას** შეძენას აპირებს.

მოუწევს თუ არა ახალგაზრდა ქართველ მორაგბეს ასეთი მეგავარსკვლავების მხარდამხარ თამაში, მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული. ქუბრიაშვილის თავის რიგებში ხილვის სურვილი მეორე დივიზიონის კიდევ ერთმა კლუბმა, „ნარბონიმაც" გამოთქვა.

**ბესიკ ჯანგავაძე**



დავით ქუბრიაშვილი (მარცხნივ)

U-18. ევროპის ჩემპიონატი

# მარტი, ტრევიზო, ინგლისი

საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგა. პატარა ბორჯღალოსნები, რომლებსაც **პაატა ნარიმანაშვილი, დიმიტრი ობოლაძე** და **ზურაბ ამონაშვილი** წვრთნიან, 16-29 მარტს იტალიის ქალაქ ტრევიზოში ევროპის ელიტარულ A ჯგუფში იასპარეზებენ.

შეგახსენებთ, რომ ქართველი თვრამეტწლამდელები ამ ტურნირის დაფუძნების დღიდან ელიტაში თამაშობენ და მე-6 ადგილზე უარესი შედეგი არასდროს ჰქონიათ. იტალიაში ჩვენი მორაგბეების გარდა ითამაშებენ საფრანგეთის, ესპანეთის, ირლანდიის, რუსეთის, ინგლისის, იტალიისა და რუმინეთის ნაკრები გუნდები. პირველ შეხვედრას საქართველოს თვრამეტწლამდელთა გუნდი 16 მარტს, ევროპის ჩემპიონატის ფავორიტ ინგლისის ნაკრებთან გამართავს.

ელიტარულ A ჯგუფში ბოლო ადგილზე გასული, მომდევნო წელს B ჯგუფის გამარჯვებულს დაუთმობს ადგილს.

| ევროპის ჩემპიონატი. U-18 |
| --- |
| 16 მარტი. მეოთხედფინალი |
| საქართველო-ინგლისი |
| საფრანგეთი-ესპანეთი |
| ირლანდია-რუსეთი |
| იტალია-რუმინეთი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ტრანსფერი

# უნივერსიტეტიდან დიდ ავიაციაში

## რიჩარდ მათიაშვილმა კლუბი გამოიცვალა


რიჩარდ მათიაშვილი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ცენტრმა რიჩარდ მათიაშვილმა საახალწლო შესვენებისას გუნდი გამოიცვალა - თსუ-დან „ავიამშენში" გადავიდა. მან ახალ გუნდთან უკვე მოასწრო რამდენიმე ვარჯიშის ჩატარება და იმედიანად ემზადება 15 იანვარს დაგეგმილი ქორქია-საკანდელიძის მემორიალისთვის.

ვიდრე რიჩარდის ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, შეგახსენებთ, რომ იგი საქართველოს ჩემპიონატში სტუ-ს შემადგენლობაში გამოჩნდა. ამ გუნდთან ერთად 2005 წელს ჩემპიონობა მოიპოვა და მომდევნო სეზონიდან 2007 წლის ბოლომდე თსუ-ს ღირსებას იცავდა. ამ სეზონის დასაწყისში ამერიკის კოლეჯების ლიგაშიც მიდიოდა...

თავდაპირველად რიჩარდის „ავიაში" გადასვლის მიზეზებით დავინტერესდით.

**- საწყის ორ წრეში თსუ-ს შიშველ ენთუზიაზმზე უხდებოდა თამაში. უხელფასობის მიუხედავად, მეტად ბრძოლისუნარიანი კოლექტივი შეიკრიბა. მისი დატოვება ნამდვილად არ მსურდა, მაგრამ „ავიამშენმა" საინტერესო წინადადებით მომმართა და დავთანხმდი. ამასთან „ავიატორებსაც" ძლიერი გუნდი ჰყავთ, მეგობრული და მაღალ მიზნებსაც ისახავენ.**

**- „ავიასთან" უკვე ვარჯიშობ?**

- დიახ. 3 იანვრიდან ლევან მოსეშვილის გუნდთან ვემზადები.

**- ახალ კლუბში შენი ადგილი იპოვნე?**

- ახალ გარემოს ნელ-ნელა ვეჩვევი. არანაირი პრობლემა არა მაქვს.

**- როგორ ფიქრობ, სათამაშო დრო საკმარისად გექნება?**

- ეს ჩემზეა დამოკიდებული. თუ კარგად გავირჯები, დროც მექნება.

**- სეზონის დაწყებამდე ვერავინ იფიქრებდა, რომ თსუ 2007 წელს მეორე ადგილზე შეხვდებოდა. რის ხარჯზე მიაღწიეთ ასეთ შედეგს?**

- უფულობის ხარჯზე - ამას სერიოზულად ვამბობ. უხელფასობამ ბიჭები ერთ მუშტად შეგვკრა. მწვრთნელის მონახაზებიც ნელ-ნელა დავხვეწეთ და მეორე წრეში კარგი კალათბურთი ვუჩვენეთ. თსუ გუნდურ თამაშს უჩვენებს როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში. ასე რომ, მეორე წრის მეორე ადგილზე დასრულება შემთხვევითი ამბავი არ გახლავთ.

**- საწყის ორ წრეში საკუთარი თამაშით რამდენად კმაყოფილი ხარ?**

- როგორც აღვნიშნე, თსუ ერთ კონკრეტულ მოთამაშეზე დამოკიდებული არ გახლდათ. კაპიტნიდან, შიო ხეცურიანიდან დაწყებული, გუნდისთვის ყველა სასარგებლო საქმეს ასრულებდა, შედეგი ამიტომაც გვქონდა.

**- სეზონის დასაწყისში ამერიკის კოლეჯთა ლიგაში აპირებდი კარიერის გაგრძელებას. მას შემდეგ რა შეიცვალა?**

- ბევრი არა ფერი შეცვლილა - მაშინაც მქონდა ერთ-ერთი კოლეჯიდან მოწვევა და - ახლაც, მაგრამ ამერიკაში ვერ მივდივარ.

**- რატომ?**

- იქაური საელჩო ვიზას არ მაძლევს. ყველა საბუთი წესრიგში მაქვს, მაგრამ ვიზას ვერ ვიღებ. ამის მიუხედავად ამერიკაში წასვლაზე ხელი არ ჩამიქნევია. გაზაფხულზე ერთხელაც ვცდი, იქნებ მომავალი სეზონიდან მაინც მოვახერხო კოლეჯში გადასვლა.

ვაჟა სიმონიშვილი



საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# მსოფლიო ჩემპიონის მარცხი


ქეთი ნანალაშვილი

საქართველოს ქალთა ჩემპიონატის პირველ ლიგაში გუშინ მეორე ტური გაიმართა და შეიძლება ითქვას, რომ ყველა პარტია ლოგიკურად დასრულდა - ძლიერებმა იმარჯვეს, დაახლოებით თანაბარძალოვანმა მეტოქეებმა კი ქულა გაიყვეს. ერთადერთი, რაც მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს და ერთგვარი გადახვევა იქნებოდა ლოგიკური შედეგიდან, მერვე დაფაზე **ქეთი ნანალაშვილისა და სოფიკო ტერელაძის** დრამატიზმით აღსავსე პარტია იყო. მართალია ქეთი სულ რაღაც ორიოდ თვის წინ გახდა 16 წლამდელთა შორის მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ ტერელაძეს ზურგსუკან უდიდესი საჭადრაკო გამოცდილება აქვს და ხმაურიანი გამარჯვებებიც მოუპოვებია. იგი რამდენჯერმე იყო საქართველოს ქალთა ჩემპიონი, სულ პირველად კი ეს13 წლის ასაკში მოახერხა, რაც დღემდე რჩება უნიკალურ მიღწევად. სამწუხაროდ, ტერელაძემ თავისი პოტენციალის სრულად გამოვლენა ვერ შეძლო, მაგრამ უდიდესი გამოცდილება, ნამდვილი საჭადრაკო ნიჭი და უნარი - ურთულესი სიტუაციებიდან თავის დაღწევის გზები მოიძიოს, მის ხელში სერიოზული იარაღია.

ნიჭიერებით ქეთიც გამოირჩევა და ეს ბევრჯერაც დაამტკიცა, მაგრამ გამოცდილება ჯერ კიდევ შესაძენი აქვს. სწორედ ამ ფაქტორმა იქონია გუშინდელ შეხვედრაზე უმთავრესი გავლენა.

თეთრებით ნანალაშვილი იყო და დებიუტი შესანიშნავად წარმართა, - გვარიანი უპირატესობაც მოიპოვა და მხოლოდ ტექნიკური ხერხები იყო საჭირო, პარტია სასურველ ბოლომდე რომ მიეყვანა. რთულია იმის თქმა, ქეთიმ ნაადრევად ირწმუნა მოგება თუ ტექნიკა არ ეყო, მაგრამ ფაქტია: ნელ-ნელა გაუშვა უპირატესობა და როცა ცაიტნოტი მოახლოვდა, ისეთი ვითარება შეიქმნა, გადაჭრით ვერაფერს იტყოდი. თუმცა უპირატესობა თეთრებს მაინც ჰქონდათ. როგორც მატჩისშემდგომ კომენტარში საერთაშორისო ოსტატმა **კახა შალამბერიძემ** აღნიშნა, თეთრებს მოგება მაინც შეეძლოთ და გვაჩვენა კიდეც სათანადო გზები...

ცაიტნოტი ვახსენეთ, მაგრამ დროის დეფიციტი ტერელაძეს უფრო ჰქონდა. ის კარგად ხვდებოდა პოზიციის არსს და ამიტომ ბევრს ფიქრობდა. მთავარი ამოცანა, დაცვაში კარგად დგომა იყო, რაც შეტევას იმთავითვე გამორიცხავდა. ქეთის მეტოქის პასიურობამ მოთმინების ძაფი გაუწყვიტა და ნაადრევად, არასწორი მანევრირებით სცადა შეტევა: დათმო ერთი პაიკი, რის შემდეგაც მეორეც დაკარგა და ახლა თავად გაუხდა პოზიცია დასაცავი. თუცა სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილი დადგა, რაც საყაიმო შანსებს დიდად ზრდიდა. ალბათ ასეც მოხდებოდა, უფრო მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდა ნანალაშვილს, მაგრამ ნერვები ველარ მოთოკა და ერთი მცდარი გადაწყვეტილებაც მიიღო, რაც უფრო ხავსზე მოჭიდებას ჰგავდა. ტერელაძემ ეს „საჩუქარიც" შეირგო და მოგება ალარ გასჭირვებია. სხვათა შორის, პარტია ყველაზე გვიან მორჩა და გულშემატკივრის პოზიციიდან საამო საცქერი გახლდათ, მაგრამ წმინდა საჭადრაკო თვალსაზრისით თეთრების მოქმედებაში ბევრი კითხვის ნიშანი დაისვა.

პირველ დაფებზე გუშინ შედარებით სწრაფად დასრულდა შეხვედრები: უპირველესმა ფავორიტმა, **ინგა ჭარხალაშვილმა** შავებით დაამარცხა **ნინო მელაშვილი**; მეორე დაფაზე **თამარ ნერეთელმა** ქულა გაუყო **ნონა დათუაშვილს**, ხოლო მესამე დაფაზე **ინგა ხურცილავამ მადონა ბოკუჩავა** დაამარცხა თეთრებით.

ძალიან საინტერესო იყო მეოთხე დაფაზე **სალომე ხაჟომიას** და **სოფიკო გურამიშვილის** პაექრობა. თეთრებით ხაჟომია იყო. ესენი 16 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე 2006 წელს ბათუმში კვარცხლბეკზე ერთად ავიდნენ, - სოფო პირველი იყო, სალომე - მესამე; ორიოდ თვის წინ ანთალიაშიც ითამაშეს ამ ასაკში და ბევრად წარუმატებლად - სოფო მეექვსე იყო, სალომე კი ათეულს მიღმა დარჩა. ცხადი იყო, უკომპრომისო ბრძოლა იქნებოდა და ასეც დაიწყო პარტია, მაგრამ შედეგი მაინც კომპრომისული გამოვიდა.

აღსანიშნავია **მაკა ფურცელაძის** გამარჯვებაც - მან შავებით **მეგი ესებუას** აჯობა და ლიდერებშია; ასევე საგულისხმოა **სოფიო ნიკოლაძის** მოგება **თამარ სამნიაშვილთან**. სოფიოს, მოგეხსენებათ, ხუთი შვილი ჰყავს და ამხელა ოჯახის დიასახლისი რომ ჭადრაკის მაღალ დონეზე თამაშს კიდევ ახერხებს, ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია. ნიკოლაძეს მესამე ტურში დიდი გამოცდა ელის - ინგა ჭარხალაშვილს ხვდება შავებით და თუ ეს ბარიერიც დაძლია, უმაღლეს ლიგაში მოხვედრაზე დიდ განაცხადს გააკეთებს.

მესამე ტურში სხვა პარტიებიც დიდ ყურადღებას იქცევს - პირველ ექვს დაფაზე მთავარი ფავორიტები თამაშობენ. ამათ რამდენიმე ახალგაზრდა უწევს კონკურენციას, რომელთა შორის 11 წლის **თეკლა მაჭარაშვილის** გამორჩევა შეიძლება. თეკლას1.5 ქულა აქვს და დღეს შავებით **ნინო ბაციაშვილს** ხვდება.

პირველ ათ დაფაზე: 1. ინგა ჭარხალაშვილი (2)-სოფიო ნიკოლაძე (2); 2. მაკა ფურცელაძე (2)-ინგა ხურცილავა (2); 3. სოფიკო ტერელაძე (2)-ბელა ხოტენაშვილი(2); 4. ნინო ბაციაშვილი (1.5)-თეკლა მაჭარაშვილი (1.5); 5. სოფიკო გურამიშვილი (1.5)-თამარ წერეთელი (1.5); 6. ნონა დათუაშვილი (1.5)-სალომე ხაჟომია (1.5); 7. ანა გავაშელი (1.5)-ელისაბედ ზარქუა (1.5); 8. სალომე სირაძე (1.5)-ქეთი ნანალაშვილი (1); 9. ნათია ჯალაბაძე (1)-ალექსანდრა ვახანია (1); 10. მადონა ბოკუჩავა (1)-მეგი ესებუა (1).

ზვიად შათირიშვილი



**ილია გიორგაძე.** დაიბადა 12.01.1978. ქუთაისი, სპორტული ტანვარჯიში. 1996 წლის ატლანტის (XIX ადგილი) 2000 წლის სიდნეის (XXI ადგილი) და 2004 წლის ათენის (XXI ადგილი) ოლიმპიური თამაშების მონაწილე. ამერიკის ლია პირველობის მესამე პრიზიორი მრავალჭიდში. მოპოვებული აქვს პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია



ვარსკვლავური კონტრაქტი

# 124 მილიონი ოვეჩკინს



ალექსანდრ ოვეჩკინი

ბოლო მოელო ჰოკეის ეროვნული ლიგის რუსი ვარსკვლავის, „ვაშინგტონ კეპიტალზის" ფორვარდ **ალექსანდრ ოვეჩკინის** სხვა გუნდში გადასვლის შესახებ სპეკულაციებს. გუშინ, 22 წლის ჰოკეისტმა დედაქალაქურ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ოვეჩკინი „კეპიტალზში" 13 წელი ითამაშებს, რის სანაცვლოდაც ჯამში 124 მილიონ დოლარს მიიღებს.

*„ბედნიერი ვარ, რომ „ვაშინგტონში" ვრჩები. ეს ჩემი მეორე სახლია. მომწონს ეს გუნდი და აქაური გულშემატკივრები",* - განაცხადა რუსმა ჰოკეისტმა, რომელსაც თავის რიგებში ეპატიჟებოდა „მონრეალ კანადიენსი".

შეგახსენებთ, რომ „ვაშინგტონმა" ოვეჩკინი 2004 წლის დრაფტის პირველ ნომრად აირჩია. ფორვარდი თავის სადებიუტო სეზონში ლიგის საუკეთესო ახალბედა გახდა. ამ მომენტისთვის ოვეჩკინის ანგარიშზე ლიგაში 206 მატჩი და 250 ქულა (130 გოლი+120 შედეგიანი პასი).



ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. XI ტური

## A ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი–ცსკა 71:67**

15:15, 24:18, 19:18, 13:16

**ოლიმპიაკოსი:** ტეოდოშიჩი (20 ქ), ბურუსისი (18 ქ. 9 მ. 4 დ), პრინტეცისი (11 ქ. 6 მ).

**ცსკა:** დ. ანდერსენი (21 ქ. 12 მ), ლენგდონი (17 ქ).

**მონტეპასკი–ტაუგრესი 83:71**

28:23, 11:10, 21:16, 23:22

**მონტეპასკი:** მაკინტაირი (20 ქ. 7 პ. 7 ჩ), სატო (15 ქ. 2 ჩ), ეზე (12 ქ), ბ. ტორნტონი (12 ქ), სთოუნრუქი (10 ქ. 7 მ).

**ტაუგრესი:** რაკოჩევიჩი (23 ქ), სპლიტერი (19 ქ. 6 ტ. 3 ჩ. 2 დ).

**ოლიმპია–ჟალგირისი 74:83**

9:18, 21:16, 12:15, 32:34

**ოლიმპია:** ბეილი (15 ქ. 4 პ. 3 ჩ), რ. ტეილორი (13 ქ. 2 ჩ), მილიჩიჩი (13 ქ. 8 მ. 2 ჩ), პუკიჩი (10 ქ. 7 მ. 2 ჩ).

**ჟალგირისი:** მ. ბრაუნი (22 ქ. 3 ჩ), მაციულისი (14 ქ. 3 ჩ), იურაკი (13 ქ. 10 მ. 2 ჩ), მ. პოპოვიჩი (12 ქ).

**პროკომი–ვირტუსი 79:59**

20:16, 19:20, 19:15, 21:8

**პროკომი:** გუროვიჩი (25 ქ), სლანინა (18 ქ), დილევიჩი (17 ქ. 9 მ. 5 პ), პარისისი (7 ქ. 6 პ).

**ვირტუსი:** მაკგრატი (14 ქ), გარი (9 ქ. 7 მ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა* | 9-2 | +121 |
| 2. ოლიმპიაკოსი* | 7-4 | +110 |
| 3. ტაუგრესი* | 7-4 | +94 |
| 4. მონტეპასკი* | 7-4 | +81 |
| 5. ჟალგირისი* | 7-4 | +17 |
| 6. ოლიმპია | 3-8 | -106 |
| 7. პროკომი | 2-9 | -162 |
| 8. ვირტუსი | 2-9 | -155 |

## B ჯგუფი

**არისი–ლ. რიტასი 69:72**

15:12, 21:20, 15:17, 18:23

**არისი:** მასეი (19 ქ. 7 მ. 2 ჩ. 2 დ), რაიტი (14 ქ).

**ლ. რიტასი:** ბაირამოვიჩი (18 ქ. 8 მ), პრაისი (14 ქ. 6 მ), ეიდსონი (10 ქ).

**მაკაბი–უნიკახა 87:68**

29:27, 15:12, 17:15, 26:14

**მაკაბი:** ფიზერი (19 ქ. 4 პ), ბლუტენტალი (16 ქ), მორისი (13 ქ. 6 მ), კასპი (11 ქ. 6 მ).

**უნიკახა:** კუსი (17 ქ), ჰაისლიპი (13 ქ).

**ლე მანი–ეფესი 84:91 (ო)**

26:16, 25:24, 23:21, 6:19, 4:11

**ლე მანი:** ბოგავაცი (20 ქ), კლანსი (18 ქ. 7 მ), კოფი (15 ქ. 7 მ), ბოკოლო (11 ქ. 11 პ. 3 ჩ).

**ეფესი:** გრეგორი (19 ქ. 2 ყ), პენი (18 ქ), ვუდსი (16 ქ. 18 მ), რ. რაიტი (14 ქ), კუკო (11 ქ), პატსონი (6 ქ. 7 მ. 4 პ).

**მილანი–ციბონა 63:72**

16:16, 19:17, 13:18, 15:21

**მილანი:** ვუკჩევიჩი (18 ქ. 5 პ. 3 ჩ), გალინარი (12 ქ), უოტსონი (7 ქ. 9 მ).

**ციბონა:** უორენი (27 ქ. 10 მ), აოუსო (16 ქ. 4 ჩ), კელეი (10 ქ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ლ. რიტასი* | 9-2 | +119 |
| 2. უნიკახა* | 8-3 | +96 |
| 3. მაკაბი* | 8-3 | +27 |
| 4. ეფესი | 7-4 | +40 |
| 5. არისი | 6-5 | -13 |
| 6. ციბონა | 4-7 | -83 |
| 7. მილანი | 2-9 | -65 |
| 8. ლე მანი | 0-11 | -121 |

## C ჯგუფი

**ბარსელონა–პანათინაიკოსი 55:56**

15:16, 16:7, 13:21, 11:12

**ბარსელონა:** გრიმაუ (17 ქ. 7 მ), ლაკოვიჩი (9 ქ).

**პანათინაიკოსი:** ცარცარისი (20 ქ. 8 მ), დიამანტიდისი (8 ქ. 2 ჩ), სპანულისი (8 ქ).

**პარტიზანი–რეალი 72:80**

17:21, 21:20, 15:20, 19:19

**პარტიზანი:** პალასიო (13 ქ. 4 პ. 2 ჩ), კეჩმანი (13 ქ. 6 მ), პეკოვიჩი (6 ქ. 7 მ).

**რეალი:** რეიესი (15 ქ. 2 ჩ), მუმბრუ (14 ქ. 6 მ), პაპადოპულოსი (12 ქ. 3 ჩ).

**ფენერბაჰჩე–რუანი 81:68**

28:13, 16:23, 21:19, 16:13

**ფენერბაჰჩე:** სოლომონი (19 ქ. 4 პ. 2 ჩ), უაიტი (12 ქ. 6 ტ), ონანი (11 ქ), ბაშაკი (10 ქ. 2 ჩ), ვიდმარი (10 ქ. 8 მ).

**რუანი:** სალიერსი (20 ქ), რაში (12 ქ. 5 ჩ), პეილი (10 ქ. 2 ჩ), სოლიმანი (10).

**ბამბერგი–რომა 59:73**

11:16, 15:16, 13:18, 20:23

**ბამბერგი:** გარეტი (14 ქ), ოკულაჯა (13 ქ. 8 მ).

**რომა:** ლორბეკი (16 ქ. 6 მ. 2 ჩ), რეი (15 ქ), ჰოუკინსი (15 ქ. 4 პ), უკიჩი (12 ქ. 4 პ), ფუჩკა (11 ქ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი* | 10-1 | +83 |
| 2. რეალი* | 8-3 | +97 |
| 3. ბარსელონა* | 8-3 | +92 |
| 4. ფენერბაჰჩე | 6-5 | +7 |
| 5. რომა | 4-7 | -18 |
| 6. პარტიზანი | 4-7 | -55 |
| 7. რუანი | 3-8 | -89 |
| 8. ბამბერგი | 1-10 | -117 |

ყველა ვარსკვლავის მატჩი

# დასავლეთი დაკომპლექტდა

რამდენიმე დღის წინ, ჩვენ გაგაცანით „ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილე გუნდების სასტარტო შემადგენლობები, რომლებიც გულშემატკივრების გამოკითხვის შედეგად დასახელდა. გუშინ კი, ცნობილი გახდა დასავლეთი კონფერენციის ნაკრების სრული შემადგენლობა.

როგორც უკვე ვწერდით, ამ გუნდის სასტარტო მეკარედ არჩეულმა **რობერტო ლუონგომ** („ვანკუვერ კენაქსი") უარი განაცხადა ამ მატჩში თამაშზე - აქაოდა, ფეხმძიმე მეუღლესთან მეტი დროის გატარება მსურსო. ლუონგოს ადგილს სასტარტო შემადგენლობაში „კაროლინას" გოლკიპერი **პასკალ ლეკლერი** დაიკავებს, ხოლო მისი დუბლიორები იქნებიან - **ევგენი ნაბოკოვი** („სან ხოსე") და **მენი ლეგასი** („სენტ ლუისი").

დასავლეთში სასტარტოს მცველები არიან **ნიკლას ლიდსტრიომი** („დეტროიტი") და **დიონ ფანოფი** („კალგარი"). მათ კიდევ ოთხი მცველი დაემატა: **კრის პრონგერი** („ანაჰაიმი"), **ედ ჟოვანოვსკი** („ფინიქსი"), **დანკან კეიტი** („ჩიკაგო") და **სერგეი ზუბოვი** („დალასი").

პირველი შემტევი სამეული **ჯერომ იგინლამ** („კალგარი") და „დეტროიტის" ორმა ფორვარდმა - **ჰენრიკ ზეტერბერგმა** და **პაველ დაციუკმა** დააკომპლექტეს. წინა ხაზზე მათი პარტნიორები კი, შემდეგი ჰოკეისტები იქნებიან: **რაიან გეტცლაფი** („ანაჰაიმი"), **შონ ჰორკოფი** („ედმონტონი"), **ანჟე კოპიტარი** („ლოს ანჯელესი"), **ჰენრიკ სედინი** („ვანკუვერი"), **პოლ შჩასტნი** („კოლორადო"), **ჯო ტორნტონი** („სან ხოსე"), **რიკ ნეში** („კოლამბუსი"), **ჯეისონ არნოტი** („ნეშვილი") და **მარიან გაბორიკი** („მინესოტა").

დასავლეთის მწვრთნელი „დეტროიტის" დამრიგებელი **მაიკ ბებკოკი** იქნება, აღმოსავლეთს კი, „ოტავას" მთავარი მწვრთნელი **ჯონ პადოკი** უხელმძღვანელებს. აღმოსავლელთა სათადარიგო მოთამაშეები ორ დღეში გახდება ცნობილი: რაც შეეხება ამ გუნდის სასტარტო შემადგენლობას, ის ასე გამოიყურება: მეკარე - **მარტინ ბროდო** („ნიუ ჯერსი"); მცველები - **ზდენო ხარა** („ბოსტონი"), **ანდრეი მარკოვი** („მონრეალი"); თავდამსხმელები - **სიდნი კროსბი** („პიტსბურგი"), **ვენსან ლეკავალიე** („ტამპა ბეი"), **დანიელ ალფრედსონი** („ოტავა").

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი–მონრეალი 2:5**

0:2, 1:1, 1:2

**გოლები:** 0:1 პლეკანეცი-14 (ა. კოსტიცინი-13, კოვალიოვი-22), 0:2 ლაპიერი-2 (ჰიგინსი-16, რაიდერი-9), 0:3 კოვალიოვი-19 (მტრაიტი-21, პლეკანეცი-24), 1:3 ა. უორდი-3 (კესელი-11, სავარი-35), 2:3 ლუჩიჩი-4 (შაფერი-13, კრეისი-6), 2:4 დანდენო-5 (გორჯესი-3), 2:5 დანდენო-6 (მტრაიტი-22, სმოლინსკი-10).

**რეინჯერსი–ფილადელფია 2:6**

0:2, 3:0, 3:0

**გოლები:** 1:0 ჰოლვეგი-1 (ბეტსი-2, ჟირარდი-9), 2:0 ჰოლვეგი-2 (ჟირარდი-10), 2:1 ნუბლი-12 (მ. რიჩარდსი-26, ბრიერი-25), 2:2 ს. რუჟიჩკა-1 (დოუდი-3, კ. ტიმონენი-15), 2:3 პარტნელი-8 (Steve Downie, მ. რიჩარდსი-27), 2:4 პარტნელი-9 (ჯ. კარტერი-9, უმბერგერი-21), 2:5 პარტნელი-10 (დოუნი-2), 2:6 საიმონ განიე-5 (ბრიერი-26, მ. რიჩარდსი-28).

**კაროლინა–ნიუ ჯერსი 1:4**

0:1, 1:1, 0:2

**გოლები:** 0:1 ზაიაცი-8 (ლანგენბრუნერი-14, პარიზე-23), 1:1 კ. ოკუანი-1 (საიდენბერგი-12, კ. ადამსი-3), 1:2 ელიაში-10 (ლანგენბრუნერი-15, პარიზე-24), 1:3 ჯონტა-13 (ე. გრინი-5, ზაიაცი-12), 1:4 ბრილინი-4 (მადენი-12).

**ატლანტა–ფლორიდა 2:3 (ბ)**

0:0, 1:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ჰოლიკი-7 (ვიაჩ. კოზლოვი-12, დუპუი-5), 1:1 ოლეში-6 (მონტადორი-6), 2:1 კოვალჩუკი-36 (რეკი-14, ტ. უაიტი-19), 2:2 კრეპსი-4 (ოლეში-8, მაკლინი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** ვიაჩ. კოზლოვი (ატლანტა), ჰორტონი (ფლორიდა), ო. იოკინენი (ფლორიდა).

**ოტავა–ბაფალო 3:2 (ბ)**

0:0, 2:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 დონოვანი-5 (კ. კელი-12, ვერმეტი-16), 2:0 ალფრედსონი-26 (ფიშერი-16, ვოლჩენკოვი-7), 2:1 მაკარტური-5 (პომინვილი-26, ტალინდერი-5), 2:2 პეი-6 (გოსტადი-14, კოტალიკი-11).

**ბულიტები გაიტანეს:** ფიშერი (ოტავა), ვანეკი (ბაფალო), მაკამონდი (ოტავა).

**ტამპა ბეი–პიტსბურგი 1:4**

0:0, 1:2, 0:2

**გოლები:** 1:0 რეინჯერი-8 (დარჩი-5, ბ. რიჩარდსი-25), 1:1 ჯ. სტაალი-4 (სიკორა-11, ლეტანგი-4), 1:2 ჯ. სტაალი-5 (სიკორა-12, მელოუნი-8), 1:3 მელოუნი-10 (სიკორა-13, ჯ. სტაალი-8), 1:4 მალკინი-20 (გონჩარი-27).

**დეტროიტი–მინესოტა 5:6 (ბ)**

2:3, 2:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 სკოულა-2 (გაბორიკი-20), 1:1 ზეტერბერგი-27 (ლებდა-9, კლირი-15), 1:2 გაბორიკი-22 (ბელანჟე-18, პერიში-8), 1:3 ფედორუკი-1 (ფოი-3, შეპარდი-9), 2:3 ფილპულა-14 (დაციუკი-37, რაფალსკი-30), 2:4 ფოი-3 (შეპარდი-10, კ. იონსონი-13), 3:4 დრეიკი-2, 4:4 კრონვალი-3 (ფრანცენი-3, კლირი-16), 5:4 კლირი-16 (ჰუდლერი-20, ზეტერბერგი-29), 5:5 ბელანჟე-11 (გაბორიკი-21, პერიში-9).

**ბულიტები გაიტანეს:** როლსტონი (მინესოტა), ჰუდლერი (დეტროიტი), გაბორიკი (მინესოტა).

**სენტ ლუისი–დალასი 4:2**

2:0, 2:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ბოიესი-22 (ბრიუერი-9, კარია-24), 2:0 კარია-12 (მაკი-5), 2:1 რიბეირო-22 (დელეი-9, მიეტინენი-12), 3:1 ტკაჩუკი-11 (კარია-25, მაიერსი-8), 4:2 ბოიესი-23 (პერონი-9), 4:2 მიეტინენი-10 (რიბეირო-26, მოდანო-18).

**ედმონტონი–ფინიქსი 5:2**

3:0, 2:1, 0:1

**გოლები:** 1:0 მორო-3 (პიზანი-4), 2:0 ბროძიაკი-6 (რ. ნილსონი-14, გრებეშკოვი-5), 3:0 სურეი-3 (სტონი-14, ჰორკოფი-22), 4:0 რ. ნილსონი-4 (ბროძიაკი-9), 4:1 ბალარდი-4 (მიულერი-11, დოუნი-25), 5:1 გრებეშკოვი-1 (ჰორკოფი-23, პემსკი-23), 5:2 ბოინტონი-2 (დოუნი-26, ჯ. პერო-2).

**ლოს ანჯელესი–ტორონტო 5:2**

4:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 კალდერი-6 (პანძუში-7, უილსი-6), 2:0 დ. ბრაუნი-21 (ო'სალივანი-12, კოპიტარი-24), 3:0 ფროლოვი-8 (ნადი-17, დ. არმსტრონგი-14), 4:0 დ. ბრაუნი-22 (ვიშნოვსკი-22, რ. ბლეიკი-18), 5:0 რ. ბლეიკი-4 (ფროლოვი-25), 5:1 ანტროპოვი-16 (ი. უაიტი-9, სტრალმანი-1), 5:2 ტაკერი-5 (უელვუდი-7, ვოზნიევსკი-7).

**სან ხოსე–ვანკუვერი 3:1**

1:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 რივე-4 (გრირი-6, ჯ. ტორნტონი-34), 2:0 რიონიკი-8 (რივე-15, ჯ. ტორნტონი-35), 3:0 მ. მიხალეკი-14 (ბერნიე-7, ჯ. ტორნტონი-36), 3:1 კესლერი-11 (ბაროუზი-9, კუკი-5).



ალმოსავლეთისა და დასავლეთის გრანდების, "დეტროიტისა" და "სან ანტონიოს" დღის ცენტრალური მატჩი უამრავი ტელეარხით იყო ტრანსლირებული, თუმცა მოლოდინმა ვერ გაამართლა და შეხვედრა თავიდან ბოლომდე ერთი გუნდის ბენეფისად იქცა. "დეტროიტმა" მინასთან გაასწორა დასავლელი ბობოლა, რომელთანაც 2005 წლის სუპერფინალში დამარცხდა, ხოლო ტეხასელთა მთავარმა მწვრთნელმა, **გრეგ პოპოვიჩმა** ასეც ვერ მოახერხა თავისი მე-600 სამწვრთნელო გამარჯვების მოპოვება, რაკილა მისი გუნდი ზედიზედ მეორედ დამარცხდა.

ლამის აქსიომად იქცა, რომ რეგულარულის მსვლელობისას, "პისტონზის" ვარსკვლავი, უნიჭიერესი, მაგრამ მოძველბიჭო და არასტაბილური **რაშიდ უოლასი** თავის საუკეთესო მატჩებს **ტიმ დანკანისა** და **კევინ გარნეტის** წინააღმდეგ ატარებს. ასე იყო ამჯერადაც და მიუხედავად იმისა, რომ დანკანმა ჩვეული ორმაგი დუბლი და მისთვის ბლომად პასები დააგროვა, სწორედ უოლასი და **ტაიშონ პრინსი** იქცნენ "პისტონზის" გამარჯვების მთავარ სულისჩამდგმელებად.

ტეხასური ვოიაჟი "დეტროიტმა" დალასში სამარცხვინო ნაგებით დაიწყო და პრინციპში, აღნიშნულ მატჩშიც აუტსაიდერად ითვლებოდა.

სტუმრებმა თავიდანვე აიწყვიტეს და პირველ მეოთხედში უძლიერესი დაცვისა და დომინანტური შეტევის ხარჯზე, მეორე მეოთხედისთვის მოქმედი ჩემპიონი 20 ქულით ჩამოიტოვეს.

*"არაფერი არ გამოგვდიოდა. Uამრავი შეცდომა, ნაჩქარევი პასები, უაზრო სროლები და საშინელი დაცვა. "დეტროიტი" ლიგის ერთ-ერთი გამოცდილი გუნდია და როგორც კი შენში მცირე ბზარს შენიშნავს, ეგრევე ეცდება, იქვე მოგითავოს საქმე და მიწასთან გაგასწოროს",* - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე დანკანი, რომელმაც 9 საჯარიმოდან 8 გამოიყენა. ისიც აღვნისნოთ, რომ ტიმის უოლასმა ორჯერ დაუფარა.

Pრინსს "პისტონზის" თავკაცმა **ფლიპ სონდერსმა** "სპურსის" "ფარული იარაღის", არგენტინელი **მანუ ჯინობილის** მეურვეობა დაავალა და როგორც ხშირად მომხდარა, ტაიშონმა მასზე ძლიერი და ბევრად ვარსკვლავური იმიჯის მქონე ოპონენტი ამჯერადაც შეარცხვინა. ჯინობილიმ თამაშიდან 9 სროლა (12-დან) გააფუჭა და 27 წუთში მხოლოდ 9 ქულის დაგროვება მოახერხა.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# პოპოვიჩი მოიცდის

*"მანუ არ არის საუკეთესო და სტაბილური ტყორცნის პატრონი და თუ ხედავს, რომ სროლა გარედან არ მისდის, ყველანაირად ცდილობს, სამწამიანში რაც შეიძლება მეტი ჯარიმა აგკიდოს. მაქსიმალურად ვეცადე, რომ მის წინააღმდეგ აკურატულად მეთამაშა და მგონი, საკმაოდ წარმატებულადაც გამომივიდა ყველაფერი",* - ამბობდა პრინსი. ჯინობილიმ საბოლოოდ, მხოლოდ 5 საჯარიმო შეასრულა და ორი გააფუჭა.

"სპურსმა" 14 სამქულიანიდან მხოლოდ 4 გამოიყენა და შეხვედრა 15 შეცდომით დაასრულა. "სან ანტონიოს" მცირე კრიზისი დაეწყო და ამ წაგების მერე გუნდი დასავლეთში მეორე-მესამე ადგილებს იყოფს.

■ ■ ■

"იუტასთან" შეხვედრაში "ფინიქსს" არ ჰყოლია **სტივ ნეში** (ტკივილი მუცლის არეში), **გრანტ ჰილი** (ბრმანაწლავი ამოაჭრეს) და **შონ მერიონი** (მარჯვენა იდაყვის მიკროტრავმა). ძირითადის სამი მოთამაშის გარეშე, სტუმრებმა არასტაბილურ, მაგრამ საკუთარ მოედანზე მაინც ყოველთვის სახიფათო "ჯაზთან" ვერაფერი გააწყვეს და მასპინძლებმა **რონი ბრიუერის** კარიერაში სარეკორდო 21 ქულითა და უხერხემლო ოპონენტთან დაუძაბავი გამოსვლით იმარჯვეს.

Mესამე მეოთხედში "ფინიქსმა" თამაშიდან 18-ში ოდენ 5 სროლა გამოიყენა, თუმცა "ჯაზი" მანამდეც და მის მერეც დამაჯერებლად აკონტროლებდა შეხვედრის მსვლელობას და დამსახურებულადაც იმარჯვა.

■ ■ ■

"მემფისთან" საშინაო შეხვედრაში "საკრამენტო" ბოლო მეოთხედის დასაწყისში 10 ქულას აგებდა, მაგრამ **ჯონ სალმონსის** არაჩვეულებრივი თამაშითა და "გრიზლისის" ერთ-ერთი ლიდერის, **რუდი გეის** შეცდომებით, Gგამარჯვება მოიპოვა.

მასპინძლებმა ჯერ ჰანდიკაპი 2 ქულამდე (111:113) შეამცირეს, მერე კი სალმონსმა კუთხეში უმეთვალყურეოდ დარჩენილ **ფრედი გარსიას** უპასა და ამ უკანასკნელმა სამიანით წინ გაიყვანა "გრიზლისი". ამ მომენტში გეიმ გარსიაზე გადასვლა დააგვიანა და მომდევნო შეტევაში გარბენი გააკეთა. შეხვედრის საბოლოო ანგარიში კი შესანიშნავ ფორმაში მყოფმა **ბრედ მილერმა** (საშუალოდ 14 ქულა, 8.8 მოხსნა, 3.4 შედეგიანი გადაცემა) ორი ზუსტი საჯარიმოთი დააფიქსირა.

ზურაბ თალაკვაძე

**იუტა–ფინიქსი 108:86**

35:28, 23:20, 28:12, 22:26

**იუტა:** ოქური (22 ქ. 17 მ. 3 პ), რ. ბრიუერი (21 ქ. 6 მ), ბუზერი (18 ქ), დ. უილიამსი (17 ქ. 11 პ), კორვერი (11 ქ. 5 მ. 4 პ).

**ფინიქსი:** ბარბოსა (25 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), ა. სტაუდმაიერი (21 ქ. 14 მ), ბენქსი (9 ქ. 5 მ. 3 პ).

**სან ანტონიო–დეტროიტი 80:90**

15:30, 24:24, 29:13, 22:23

**სან ანტონიო:** დანკანი (24 ქ. 15 მ. 5 პ), ტ. პარკერი (12 ქ. 4 მ. 4 პ), ვონი (10 ქ. 3 პ).

**დეტროიტი:** რ. უოლასი (23 ქ. 15 მ. 3 პ. 3 ჩ. 2 დ), რ. ჰამილტონი (18 ქ. 3 პ), პრინსი (17 ქ), ბილაპსი (11 ქ. 6 პ. 5 მ. 4 ჩ).

**საკრამენტო–მემფისი 116:113**

30:24, 24:32, 27:29, 35:28

**საკრამენტო:** სალმონსი (28 ქ. 11 მ. 7 პ), უდრიხი (25 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ), ბ. მილერი (22 ქ. 10 მ. 5 პ. 2 ჩ), გარსია (22 ქ. 4 ჩ).

**მემფისი:** გეი (31 ქ. 7 მ. 2 ჩ), გასოლი (19 ქ. 5 მ. 2 დ), მ. მილერი (18 ქ. 4 პ), კონლი (15 ქ), ნავარო (10 ქ. 6 პ), მილიჩიჩი (6 ქ. 7 მ. 3 დ).

ფორმულა 1. გუნდების წარდგენა

# ტოიოტას ბოლო შანსი

მესამე გუნდი, რომელმაც ახალი სეზონისთვის მომზადებული ბოლიდის პრეზენტაცია ჩაატარა, იაპონური "ტოიოტაა". გუნდს, რომელიც დიდი პრიზების ცირკში გამოჩენიდან მოყოლებული, ფინანსურად ერთ-ერთი ყველაზე უზრუნველყოფილია, აქამდე ერთი რბოლაც არ აქვს მოგებული.

იაპონურმა საჯინიბომ შარშან ჩემპიონატი მეექვსე ადგილზე დაასრულა და რომ არა "მაკლარენის" დისკვალიფიკაცია, ერთი ადგილით უკან დაინევდა. შარშან მისმა პილოტებმა ძლივს მოუყარეს თავი 13 ქულას, რაც ორჯერ ნაკლებია "ტოიოტას" ძრავებით აღჭურვილი "უილიამსის" მიერ მოგროვებულ ქულებზე. ამასთან, 2006 წლის აპრილის შემდეგ გუნდის პილოტები ერთხელაც არ ასულან კვარცხლბეკზე.

*"უკეთ მუშაობა გვმართებს, რათა შარშანელზე უკეთესი შედეგები ვაჩვენოთ. უფრო საზრიანობა და სხარტი მოქმედება მოგვინევს იმისათვის, რომ მოწინავე გუნდებთან სწრაფად აღმოვფხვრათ ჩამორჩენა და მოკლე ვადაში მათ შორის დავიკავოთ ადგილი"*, - განაცხადა "ტოიოტა მოტორსპორტის" პრეზიდენტმა **ჯონ ჰოუეტმა**, ვინც კიოლნში, გუნდის საწარმოში გამართულ პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას ახალი ბოლიდი, TF108 წარუდგინა.

გუნდის შეფმა **ტადაში იამაშინამ** განაცხადა, რომ მას "ტოიოტას" ხელმძღვანელობისგან კონკრეტული დავალება აქვს მიღებული – გაიყვანოს გუნდი გამარჯვების გზებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღის წესრიგში მისი დაშლის საკითხი დადგება.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელ სეზონში განცდილი ფიასკოს შემდეგ, "ტოიოტას" საჯინიბო დატოვა მისმა ყოფილმა შეფმა **ცუტომუ ტომიტამ**, ვინც გუნდის წარუმატებლობისთვის, საზოგადოებას საჯაროდ მოუხადა ბოდიში.

იამაშინა ირწმუნება, რომ მთელი გუნდი თავაუღებლად მუშაობს იმისათვის, რომ გაამართლოს იაპონური კომპანიის მიერ გაღებული უზარმაზარი ხარჯები. *"ჩვენი პილოტები ყოველ რბოლაში ქულების მოპოვებას აპირებენ, მთლიანად გუნდს კი მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს დაგეგმილი. სხვანაირად გაგრძელება არანაირად არ შეიძლება"*, - ამბობს იამაშინა.

საკმაოდ რთული მიზნის მისაღწევად, "ტოიოტამ" შარშანდელი პილოტებიდან ერთი – იტალიელი **იარნო ტრული** დაიტოვა, გერმანელი **რალფ შუმახერის** ნაცვლად კი ასევე გერმანელი **ტიმო გლოკი** მიიწვია. ეს უკანასკნელი GP2-ის სერიის კიდევ ერთი ჩემპიონია, რომელიც ამ სერიაში ტრიუმფის შემდეგ, დიდი პრიზების ცირკში შეაბიჯებს.

*"დარწმუნებული ვარ, რომ გუნდს წარმატებების მიღწევა შეუძლია. 2005 წელს ჩვენ შესანიშნავად ვიასპარეზეთ, მაგრამ შემდეგ ჩავარდნა გვქონდა, რაც სუბიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული. ახლა კი იმის თქმა შემიძლია, რომ ახალ სეზონში ყველაფერი რადიკალურად შეიცვლება. რბოლების კვარცხლბეკზე რეგულარულად დასრულება სრულიად რეალურია"*, - ამბობს 33 წლის ტრული, ვისაც კარიერაში ერთადერთი რბოლა 2004 წელს მონაკოში, "რენოს" ბოლიდით აქვს მოგებული, 2005 წლის ესპანეთის დიდი პრიზის მესამე ადგილზე დასრულების შემდეგ კი კვარცხლბეკზე ერთხელაც არ ასულა.

შარშანდელ სეზონში, ხუთი რბოლის გარდა, ყველა რბოლის კვარცხლბეკის ყველა საფეხურს მხოლოდ "ფერარის" და "მაკლარენის" პილოტები იკავებდნენ. "ნარჩენები" კი "ბეემვე ზაუბერისა" და "რენოს" პილოტებს რჩებოდათ. ამათ გარდა, შარშან "ტოიოტაზე" უკეთ "უილიამსმა" და "რედ ბულმა" იასპარეზეს. ყველა ეს გუნდი პროგრესის ფაზაშია და ბუნებრივია, მათი ჯობნა იაპონური ავტოგიგანტის საჯინიბოს ძალიან გაუჭირდება.

*"ორი სეზონი მაჩანჩალათა რიგებში გავატარეთ. არადა, ორი წლის წინ, კვარცხლბეკზეც ხშირად ავდიოდით და რამდენჯერმე პოულისთვისაც ვიბრძოლეთ. ახლა ძალიან მოტივირებულნი ვართ და ვიმედოვნებთ, რომ პრობლემური პერიოდი უკან დარჩება. ამის საფუძველს კი ახალი მანქანა მაძლევს, რომელიც წინასგან რადიკალურად განსხვავებულია. ინჟინრები თავდაუზოგავად მუშაობენ და გვარწმუნებენ, რომ ახალი მანქანით ქულებისთვის ბრძოლა პრობლემა არ იქნება"*, - იმედოვნებს ტრული.

გლოკი თავის პირველ სრულ სეზონს ჩაატარებს, თუმცა ის დებიუტანტად მაინც არ ითვლება, რადგან 2004 წელს ოთხ რბოლაში მიიღო მონაწილეობა. მაშინ ის "ჯორდანის" ბოლიდს მართავდა, კანადაში კი, სადებიუტო რბოლაშივე შეძლო ქულების აღება.

დაბოლოს, ჰოუეტის თქმით, ახალი ბოლიდი რადიკალურად განსხვავდება შარშანდელისგან. მას უფრო გრძელი ბაზა, ახალი გადაცემათა კოლოფი, მოდერნიზებული საკიდარი და სრულყოფილი აეროდინამიკური პაკეტი აქვს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ტრული (ცენტრში), გლოკი (მარჯვნივ) და იაპონელი ტესტპილოტი კამუი კობაიაში ახალი ტოიოტას პრეზენტაციაზე

ფორმულა 1. ახალი კონტრაქტი

# ბოლო ვაკანსია შეივსო: ფიზიკელა ინდურ გუნდში



ჯანკარლო ფიზიკელა

ფორმულა 1-ის ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა პილოტმა, იტალიელმა **ჯანკარლო ფიზიკელამ** კონტრაქტი გააფორმა ინდურ გუნდ "ფორს ინდიასთან", რომელმაც ამგვარად დაასრულა თავისი შემადგენლობის დაკომპლექტება.

ფიზიკელამ შარშანდელი სეზონი "რენოში" გაატარა, სადაც ახალ სეზონში მის ადგილზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო** მიიწვიეს. თავის ახალ გუნდში კი, რომელიც ადრე "ჯორდანის" სახელს ატარებდა, შარშან კი ჰოლანდიური კომპანია "სპაიკერის" სახელით ასპარეზობდა, ფიზიკოს თანაგუნდელობას გაუწევს გერმანელი **ადრიან სუტილი**, ვინც შარშან სწორედ "სპაიკერის" შემადგენლობაში გაატარა მისთვის სადებიუტო სეზონი.

*"ის ერთ-ერთი საუკეთესო და ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი პილოტია ფორმულა ერთში. ჯანკარლოს ინჟინრებთან ურთიერთობა შეუძლია, რაც ჩვენს გუნდს აუცილებლად გამოადგება"*, - სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა ინდური გუნდის მფლობელმა, ინდოელმა მილიარდერმა **ვიჯეი მალიამ**.

ორშაბათს ფიზიკელას 35 წელი შეუსრულდება. მას კარიერაში ფორმულა ერთის 194 დიდ პრიზზე უასპარეზია. აქედან მხოლოდ სამი აქვს მოგებული, ჩემპიონატში ყველაზე მაღალი, მეოთხე ადგილი კი 2006 წელს დაიკავა, როცა "რენოში" ალონსოსთან ერთად ასპარეზობდა. შარშანდელი სეზონი კი მან მერვე ადგილზე დაასრულა.

მას შემდეგ, რაც "რენომ" კონტრაქტი არ გაუფორმა, ის იძულებული შეიქნა, სხვა გუნდში ეძებნა ადგილი. და რამდენადაც ძლიერ გუნდებში ვაკანსიები აღარაა, იძულებული გახდა, პელოტონის მაჩანჩალაში გაეგრძელებინა კარიერა, რომელსაც ალბათ ამავე გუნდში დაასრულებს.

თუმცა, თავად პილოტი ამბობს, რომ მას სხვა გუნდებშიც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ არჩევანი ინდური გუნდის სასარგებლოდ გააკეთა. *"ბევრი თვლის, რომ მე სხვა არჩევანი არ მქონდა, მაგრამ ეს ასე არ არის. უბრალოდ, არსებული ვარიანტებიდან საუკეთესო ავირჩიე. ახლა არნახულად მონდომებული ვარ და მზად ვარ, "ფორს ინდიას" ქულების დაგროვებაში დავეხმარო. გუნდს ახალი მეპატრონეები და სოლიდური ბიუჯეტი აქვს, რაც იმის საწინდარია, რომ სეზონის განმავლობაში, წინსვლის რეალური საშუალება გვექნება"*, - ამბობს ფიზიკელა, ვინც სამიდან პირველი გამარჯვება "ჯორდანის" ბოლიდით მოიპოვა, ორი კი – "რენოში" ასპარეზობისას (2005 და 2006 წლებში).

"ფორს ინდიამ" კიდევ ერთი, ტესტ და სათადარიგო პილოტის ვაკანსია შეავსო. ამ ადგილზე მალიამ იტალიელი **ვიტანტონიო ლიუცი** მიიწვია. ლიუციმ შარშანდელი სეზონი "ტორო როსოში" (ყოფილი მინარდი) გაატარა, სადაც ახალ სეზონში მის ადგილს ჩემპ კარის ოთხგზის ჩემპიონი, ფრანგი **სებასტიან ბურდე** დაიკავებს.

"ფორს ინდიაში" ფიზიკელას გადასვლა იმას ნიშნავს, რომ მომდევნო სეზონში ფორმულა ერთის გარეთ დარჩება გერმანელი **რალფ შუმახერი**, ვინც ინდური გუნდის ბოლიდის ტესტებში ფიზიკელასთან ერთად მონაწილეობა კი მიიღო, მაგრამ მალიას ყურადღება მაინც ვერ მიიქცია. შეგახსენებთ, რომ რალფის ანგარიშზე ექვსი მოგებული დიდი პრიზია და მან გასული სეზონის ბოლოს "ტოიოტა" დატოვა.

ერთადერთი გუნდი, რომელსაც თავისი შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია, იაპონური "სუპერ აგურია", თუმცა მოსალოდნელია, რომ მისი შეფი **აგური სუძუკი** შარშანდელ შემადგენლობას ხელუხლებელს დატოვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი საჯინიბოს ბოლიდებით ახალ სეზონშიც იაპონელი **ტაკუმა სატო** და ბრიტანელი **ენტონი დევიდსონი** იასპარეზებენ.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

### 12 იანვარი. შაბათი

**I არხი**

23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-მურსია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი.
15:05 ტოქ-შოუ - 2:1.
15:55 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
16:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:10 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი (LIVE).
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ნიუკასლი (LIVE).
23:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-მურსია (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-სევილია (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:03 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2005-06. 1/2 ფინალი. მილანი-ბარსელონა.
09:50 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
09:57 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
10:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:01 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. მალიორკა-რეალი.
12:48 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
13:16 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ოკლენდი. ზელანდია.
15:03 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
15:30 სპორტის სამყარო.
16:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
16:28 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2005-06. ფინალი. არსენალი-ბარსელონა.
18:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპ. ევერტონი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
21:15 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი.
23:02 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სერია A-ს ჟურნალი.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპ. კატანია-იუვენტუსი (LIVE).
01:25 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპ. პორტუ-ბრაგა (LIVE).
03:27 სპორტდოსიე. კრიკეტი.
03:51 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
04:18 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპ. პიტსბურგი-რეინჯერსი.
05:47 მინი-მოედანი.
06:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ოკლენდი. ზელანდია.

**EUROSPORT**

11:30 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
12:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი. HS134. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
14:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
15:15 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
16:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. რბოლა 15 კმ. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
16:45 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
17:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
18:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS140. ბიშოფსჰოფენი. ავსტრია.
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
21:15 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. 1/2 ფინალი. მამაკაცები. თურქეთი (LIVE).
22:15 მულტისპორტი.
22:30 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. 1/2 ფინალი. მამაკაცები. თურქეთი (LIVE).
23:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. 1/2 ფინალი. მამაკაცები. თურქეთი.
00:15 დარტსი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ბრიტანეთი.
01:00 მულტისპორტი.
01:45 დარტსი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ბრიტანეთი.
03:15 ბრძოლა წესების გარეშე.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:00 ციგაობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. I ცდა. ტურინი. იტალია (LIVE).
12:00 სნოუბორდი. შვეიცარია.
12:30 ციგაობა. ევროპის ჩემპ. II ცდა. ტურინი. იტალია (LIVE).
13:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
14:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. 1/2 ფინალი. ჰერტა (გერმანია)-გრასჰოპერსი (შვეიცარია). ტენერიფე. ესპანეთი.
15:45 ახალი ამბები.
16:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. რბოლა 15 კმ. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
16:45 მულტისპორტი.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
18:00 ციგაობა. ევროპის ჩემპიონატი. ორადგილიანი. I ცდა. ტურინი. იტალია (LIVE).
18:45 ციგაობა. ევროპის ჩემპ. ქალები. II ცდა. ტურინი. იტალია.
19:15 ციგაობა. ევროპის ჩემპიონატი. ორადგილიანი. II ცდა. ტურინი. იტალია (LIVE).
20:00 ტიმბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
20:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-კომეტალი (მაკედონია).
21:30 ფლორბოლი. ევროპის თასი. 1/2 ფინალი. ფინეთი (LIVE).
23:30 ახალი ამბები.
00:00 ფლორბოლი. ევროპის თასი. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ფინეთი.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-კომეტალი (მაკედონია).
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. 1/2 ფინალი. მამაკაცები. თურქეთი.
03:15 ახალი ამბები.

### 13 იანვარი. კვირა

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

11:15 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ სიტი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ეინდჰოვენი.
15:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-სევილია.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ალკმაარი (LIVE).
19:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბირმინგემი.
21:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-რეალი (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვალენსია (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ალკმაარი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:14 სპორტდოსიე.
08:43 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
09:13 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბირმინგემი.
11:01 ფეხბურთი. Barca TV.
11:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-იუვენტუსი.
12:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
13:25 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი.
15:10 ფიტნესი.
15:35 ჰოკეი. ევროპის ჩემპიონთა თასი. სლოვანი (სლოვაკეთი)-მეტალურგი (რუსეთი). სტ. პეტერბურგი. რუსეთი.
17:21 ფეხბურთი. Barca TV.
17:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სერია A-ს ჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპ. ატალანტა-რომა (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპ. ბოლტონი-ბლექბერნი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპ. ლევანტე-რეალი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპ. ატლეტიკო-ვალენსია (LIVE).
02:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ნაპოლი.
03:45 ფეხბურთი. Barca TV.
03:52 სპორტდოსიე.
04:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბირმინგემი.
06:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-სევილია

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
12:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
13:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი. HS134. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
14:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ვალ დი ფიემი. იტალია.
15:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
15:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. სპრინტი. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
17:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
18:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
19:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ფინალი. მამაკაცები. თურქეთი (LIVE).
21:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. რუპოლდინგი. გერმანია.
21:30 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
22:00 დარტსი. მსოფლიო ჩემპ. ფინალი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 სნუკერი. მასტერსი. I დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 მულტისპორტი.
01:30 სნუკერი. მასტერსი. I დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
03:00 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
03:30 მულტისპორტი.
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია. I დღე. მელბურნი (LIVE).

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:00 ციგაობა. ევროპის ჩემპ. მამაკაცები. I ცდა. ტურინი. იტალია (LIVE).
12:30 ახალი ამბები.
13:00 ციგაობა. ევროპის ჩემპ. მამაკაცები. II ცდა. ტურინი. იტალია (LIVE).
14:00 ფლორბოლი. ევროპის თასი. ფინალი. ფინეთი (LIVE).
16:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. II ცდა. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
17:00 ფლორბოლი. ევროპის თასი. ფინალი. ფინეთი (LIVE).
19:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ლადა (რუსეთი) (LIVE).
20:45 ფლორბოლი. ევროპის თასი. ქალები. ფინალი. ფინეთი.
21:45 ახალი ამბები.
22:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. კოლორადო-ედმონტონი.
23:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. მე-3 ადგილისთვის. ტენერიფე. ესპანეთი (LIVE).
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ლადა (რუსეთი).
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ფინალი. მამაკაცები. თურქეთი.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი. I ლიგა | |
|---|---|
| ტრანმერი-როვერსი | 0:2 |

| საფრანგეთი. II დივიზიონი | |
|---|---|
| ბასტია-კლერმონი | 0:0 |
| ბულონი-აიაჩო | 0:0 |
| დიჟონი-მონპელიე | 0:2 |
| გრენობლი-ანჟერსი | 0:0 |
| გენიონი-სედანი | 2:3 |
| ლიბურნი-რეიმსი | 1:1 |
| ნიორი-გინგამი | 1:3 |
| ტრუა-ამიენი | 1:0 |
| ნანტი-შატორუ | 2:1 |

| ჰოლანდია | |
|---|---|
| ნიიმეგენი-ტვენტე | 2:2 |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-ომნიუორლდი | 1:0 |
| ემენი-ტელსტარი | 1:1 |
| დორდრეხტი-ვეენდამი | 2:2 |
| ვოლენდამი-ეინდჰოვენი II | 6:2 |
| ცვოლე-როსენდალი | 1:1 |
| ფორტუნა-დენ ბოში | 0:1 |
| ჰაარლემი-აპელდორნი | 2:1 |
| ჰელმონდი-დენ ჰააგი | 2:0 |
| ვაალვეიკი-იგლზი | 7:2 |
| ტოპ ოსი-მაასტრიხტი | 4:1 |

| პორტუგალია | |
|---|---|
| ფერეირა-მარიტიმო | 3:1 |

**კალათბურთი**

| საფრანგეთი | |
|---|---|
| დიჟონი-ორლეანი | 83:88 |
| პაუ-რუანი | 79:86 |

**ჰოკეი**

| ჩემპიონთა თასი | |
|---|---|
| სპარტა-დავოსი | 6:4 |
| მოდო-სლოვანი | 1:4 |

| რუსეთი | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-სკა | 3:0 |
| სიბირი-ლოკომოტივი | 0:1 |
| ტრაქტორი-ცსკა | 4:3 |
| ლადა-აკ ბარსი | 5:4 |
| სევერსტალი-ავანგარდი | ო.ტ. 6:5 |
| ვიტიაზი-ამური | პენ. 2:3 |
| ნეფტეხიმიკი-დინამო | პენ. 0:1 |
| სპარტაკი-ს. იულაევი | 3:7 |
| მვდ-ხიმიკი | 2:5 |

| გერმანია | |
|---|---|
| აისბერენი-ჰამბურგი | 2:4 |
| ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 1:2 |
| ჰანოვერი-შტრაუბინგი | პენ. 0:1 |
| დუისბურგი-დიუსელდორფი | ო.ტ. 2:3 |
| კიოლნი-კრეფელდი | 4:3 |
| მანჰაიმი-აუგსბურგი | 6:3 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| კეჟმაროკი-მიკულაში | ო.ტ. 3:4 |
| კოშიცე-პოპრადი | პენ. 3:2 |
| სკალიცა-ჟილინა | 1:4 |
| ტრენჩინი-მარტინი | პენ. 3:2 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ჰიფკ-ილვესი | 5:1 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| პლზენი-ვიტკოვიცე | 4:3 |
| ზნოიმო-ლიტვინოვი | პენ. 2:3 |
| კარლოვი ვარი-პარდუბიცე | პენ. 0:1 |
| კლადნო-ტრშინეცი | 3:0 |
| სლოვანი-ლიბერეცი | 4:1 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ამბრი-ციურიხი | 5:1 |
| ბაზელი-ცუგი | 4:1 |
| ბერნი-კლოტენი | 3:1 |
| რაპერსვილი-ფრიბურგი | 4:1 |

ტურნირების მიმოხილვა

# ჟუსტინს ნაგება დააპიწყდა

ახალი სეზონი დაიწყო, მაგრამ ბელგიელი **ჟუსტინ ანენის** შემჩერებელი მაინც არავინ ჩანს. შარშანდელი უიმბლდონის ნახევარფინალში, ფრანგ **მარიონ ბარტოლისთან** ნაგების შემდეგ, მსოფლიოს პირველი ჩოგანი აგერ უკვე 28 მატჩია ნაუგებლად ასპარეზობს.

ბელგიელს ვერც სიდნეის ტურნირის მონაწილეებმა მოუხერხეს რამე, არადა, სატურნირო ბადეში თითქმის მთელმა თანავარსკვლავედმა მოიყარა თავი.

როგორც გახსოვთ, შარშან ანენმა გამოტოვა საჩოგბურთო სეზონის ავსტრალიური ნაწილი, ვინაიდან ქმართან გაყრის პროცესით იყო დაკავებული. წელს კი, ჟუსტინი მწვანე კონტინენტზე ჩავიდა, პირველ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და 2008 წელს, პირველი ტიტულიც მოიპოვა.

თუმცა ბელგიელს ფინალში ძალიან გაუჭირდა რუსი **სვეტლანა კუზნეცოვას** დამარცხება. პირველი სეტის ნაგების შემდეგ, ჟუსტინმა მეორეში იოლად სძლია მეტოქეს. დაინიშნა გადამწყვეტი სეტი, რომლის დასაწყისი ანენს კარგს არაფერს უქადდა. კუზნეცოვა 3:0 დაწინაურდა და ისე ჩანდა, რომ პირველი ჩოგანის მოგებათა ბრწყინვალე სერია სწორედ აქ შეწყდებოდა, მაგრამ რვა გეიმის შემდეგ, ანგარიში გათანაბრდა - 4:4. ანენმა ფსიქოლოგიურად გატეხა მეტოქე და მატჩის ბოლოს სრული უპირატესობა მოიპოვა. ჟუსტინმა პირველი მატჩ-პოინტი გამოიყენა და ავსტრალიის ღია პირველობას (რომელიც ორშაბათს დილით აიღებს სტარტს) კარგი განწყობით ხვდება.

*„სწორედ ასეთი მატჩი მჭირდებოდა ავსტრალიის ღია პირველობის წინ. დღეს ჩემმა მეტოქემ მაიძულა ძალების სრული მობილიზებით მემოქმედა. სასიამოვნოა, რომ მესამე სეტში სოლიდური ჩამორჩენის მიუხედავად, ნერვების მოთოკვა შევძელი. სიმშვიდე შევინარჩუნე და საუკეთესო ჩოგბურთი ვაჩვენე"*, - განაცხადა პრესკონფერენციაზე ანენმა.

„დიდი სლემის" პირველ ჩემპიონატში ბელგიელის პირველი მეტოქე იაპონელი **აიკო ნაკამურა** იქნება და წესით, ჟუსტინს არ უნდა გაუჭირდეს მოგებათა სერიის 29-მდე მატჩამდე აყვანა.

■ ■ ■

ამ კვირას, ქალთა შორის კიდევ ერთ ტურნირს ავსტრალიურმა ჰობარტმა უმასპინძლა. აქ საპრიზო ფონდი მიზერული იყო და შესაბამისად, ტურნირის შემადგენლობაც საკმაოდ მოკრძალებული გახლდათ. ფინალში თამაშის უფლება ბერძენმა **ელენი დანიილიდუმ** და რუსმა **ვერა ზვონარევამ** მოიპოვეს. აქაც რუსი ჩოგბურთელი გამოვიდა დამარცხებული. დანიილიდუ ბრძოლის გარეშე გახდა მთავარი პრიზის მფლობელი, ვინაიდან ზვონარევამ მარცხენა მუხლის ტრავმის გამო თქვა ფინალში თამაშზე უარი. რუსმა თამაშამდე ორი საათით ადრე, ბოლო მოთელვის დროს იგრძნო ტკივილი, ავსტრალიის ღია პირველობის წინ გარისკვა არ ისურვა და მეტოქეს უბრძოლველად დანებდა.

ასე მოიპოვა თავის კარიერაში რიგით მეხუთე ტიტული დანიილიდუმ. ამ ჩოგბურთელისთვის ეს იყო WTA-ს ტურნირზე პირველი გამარჯვება 2006 წლის სეზონის შემდეგ. ბერძენი ავსტრალიის ღიას პირველ წრეში იტალიელ **ტატიანა გარბინს** დაუპირისპირდება, რაც შეეხება ზვონარევას, მისი მეტოქე იაპონელი **აი სუგიამა** იქნება. თუმცა რუსმა ჯერ სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, ითამაშებს თუ არა ის მელბურნში.



**ATP**

HEINEKEN OPEN
ოკლენდი (ზელანდია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 465 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 7)-ხუან მონაკო (არგ, 3) 6:2, 6:1; ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 4)-ჟულიან ბენეტო (საფ) 6:3, 6:4.

MEDIBANK INTERNATIONAL
სიდნეი (ავსტრალია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 465 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

კრის გუჩიონე (ავსტრა)-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 7:6 (5), 3:6, 6:4; დმიტრი ტურსუნოვი (რუს)-ფაბრის სანტორო (საფ) 6:3, 7:6 (4).

**WTA**

MEDIBANK INTERNATIONAL
სიდნეი (ავსტრალია).
ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**ფინალი**

ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2) 4:6, 6:2, 6:4.

MOORILLA INTERNATIONAL
ჰობარტი (ავსტრალია).
ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 170 000 დოლარი

**ფინალი**

ელენი დანიილიდუ (საბ)-ვერა ზვონარევა (რუს, 2) ზვონარევას უარი.

ალპინიზმი

## გარდაიცვალა ყველაზე ცნობილი ზელანდიელი

88 წლის ასაკში გარდაიცვალა ევერესტის პირველი დამპყრობი, ახალზელანდიელი **ედმუნდ ჰილარი**. ეს სამწუხარო ამბავი საზოგადოებას ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა **ჰელენ კლარკმა** აცნობა, რომელმაც ჰილარის ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ცნობილი ზელანდიელი უწოდა.

1953 წლის 1 მაისს, ჰილარიმ ნეპალელ შერპ **თენსინგ ნორგეისთან** ერთად, მსოფლიოს ყველაზე მაღალი მთა, ევერესტი (8848 მ) დაიპყრო. ეს იყო ექსპედიცია, რომელიც ინგლისის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების მიერ გახლდათ ორგანიზებული.

მას შემდეგ, ევერესტზე 63 ქვეყნიდან 1200 ადამიანი ავიდა. თავად ჰილარი ჰიმალაიზე და ანტარქტიდაში ბევრ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა.

ფიგურული ცურვა

## კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი

ლოს ანჯელესის ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში გარდაცვლილი იპოვნეს წარსულში ცნობილი ამერიკელი მოციგურავე **კრისტოფერ ბოუმენი**. როგორც ვარაუდობენ, 40 წლის სპორტსმენი ნარკოტიკის ზედმეტი დოზისგან დაილუპა, თუმცა ამასთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაცია გაკვეთის შემდეგ გახდება ცნობილი.

ბოუმენი 1989 და 1992 წლებში ამერიკის ჩემპიონი იყო. გარდა ამისა, მან 1989 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, მომდევნო სეზონში კი, ბრინჯაო მიიღო. ბოუმენი ორჯერ ოლიმპიურ თამაშებზეც მონაწილეობდა: 1988 წელს მეშვიდე იყო, 1992 წელს მეოთხე ადგილზე გავიდა.

ჩოგბურთი

## პოლონეთი ჩოგბურთის გარეშე დარჩა

ATP-ის ტურში ერთადერთი პოლონური ტურნირი - Orange Prokom Open ამ სეზონში არ გაიმართება. შეჯიბრი, რომელიც თავის დროზე ესპანელ **რაფაელ ნადალსაც** აქვს მოგებული, წყვეტს თავის არსებობას, რადგან ტურნირის სპონსორობაზე უარს აცხადებს კომპანია Prokom.

გასულ წელს, ეს ტურნირი მეთექვსმეტედ გაიმართა და მისმა საპრიზო ფონდმა 425 ათასი ევრო შეადგინა. მისი ორგანიზება კი, 2 მილიონი ევრო დაჯდა. აქედან 550 ათასი ფირმა Orange-მა გამოჰყო, 1.6 მილიონი - Prokom-მა.

წელს, ტურნირი 9 ივნისს უნდა დაწყებულიყო. ის დღემდე შედის ATP-ის კალენდარში. თუმცა დანამდვილებით შეიძლება იმის თქვა, რომ Orange Prokom Open არ გაიმართება - წერს პოლონური პრესა.

ავსტრალიის ღია პირველობის წინ

## განთესილები ცნობილია



როჯერ ფედერერი

ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა ტურნირის პირველ ნომრებად მსოფლიოს პირველი ჩოგნები, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** და ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** დაასახელეს.

შვეიცარიელი მაესტრო მელბურნში ტურნირზე მეოთხე (ზედიზედ) ტრიუმფისთვის იბრძოლებს, თუმცა როგორ იმოქმედებს მის გეგმებზე მუცლის ვირუსი, რომელიც ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეეყარა, ძნელი სათქმელია. ამ ვირუსის გამო, მან კოოიონგის საჩვენებელ ტურნირზე გამოსვლისგან თავი შეიკავა, თუმცა უთამაშებელი ფედერერი მაინც ტურნირის მთავარ ფავორიტად მიიჩნევა.

მას სერიოზული მეტოქეები ეყოლება ესპანელი **რაფაელ ნადალისა** და სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** სახით. ნადალს სეზონის პირველი ტურნირის მოგებაში დაღლილობამ (რა დროს დაღლაა) შეუშალა ხელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ფიზიკურად მაინცდამაინც კარგად არ უნდა იყოს მომზადებული. ჯოკოვიჩი კი, როგორც თავადვე ამბობს, შესანიშნავადაა მომზადებული და ვინძლო, კარიერაში პირველი სასლემო ტიტულის მოპოვების რეალური შანსიც გაუჩნდეს. თუმცა, თუ ნადალი და ფედერერი მეოთხედფინალს მიაღწევენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი თანდათან შევლენ ფორმაში და ტურნირის მიწურულს მათი დამარცხება ძალიან ძნელი იქნება თვით ჯოკოვიჩისთვისაც კი.

ასეა თუ ისე, სერბი მეჩოგნე იმედოვნებს, რომ შარშანდელზე უარესი სეზონი არ ექნება. *"ბედნიერი ვიქნები, თუ ეს სეზონი ჩემთვის შარშანდელის მსგავსი იქნება. მაგრამ უბედნიერესი ვიქნები, თუ უფრო მეტსაც შევლებ"*, - ამბობს ჯოკოვიჩი, ვინც შარშანდელი სეზონი რეიტინგის მე-16 ადგილზე დაიწყო და მესამეზე დაასრულა.

უნდა ითქვას, რომ ავსტრალიის ღიას (ასევე აშშ-ისა და საფრანგეთის ღიას) ორგანიზატორები ჩოგბურთელებს განთესვის ნომრებს მათი სარეიტინგო პოზიციის შესაბამისად ანიჭებენ. ამის შესაბამისად, მეშვიდე ნომერი ერგო ტურნირის შარშანდელ ფინალისტს ჩილედან, **ფერნანდო გონსალესს**. მეხუთე ნომერია გასული სეზონის ბოლო ტურნირის, მასტერსის თასის ესპანელი ფინალისტი **დავიდ ფერერი**. მეოთხე ნომერი ცუდ ფორმაში მყოფ რუს **ნიკოლაი დავიდენკოს** ერგო, მეექვსე კი უძლიერესი მოწოდების მქონე ამერიკელი **ენდი როდიკია**.

მომდევნო სამი ნომერი (მერვე, მეცხრე და მეათე) ერგოთ: ფრანგ **რიშარ გასკეს**, ბრიტანელ **ენდი მარეის**, ვინც უკვე მოასწრო ტურნირის (დოჰა, ყატარი) მოგება და არგენტინელ **დავიდ ნალბანდიანს**, ვისაც მხრის ტრავმა აწუხებს და შესაძლოა, ამან თავის შესაძლებლობათა გამოვლენაში ხელი შეუშალოს. 19 ნომერი ერგო ავსტრალიელთა ფავორიტ **ლეიტონ ჰიუიტს**.

რეიტინგის მოწინავე 32-დან მხოლოდ ორია ისეთი, რომლებიც მელბურნში ვერ ითამაშებენ. ესენი არიან გერმანელი **ტომი ჰაასი** და არგენტინელი **გილერმო კანიასი**, რომლებიც ტრავმირებულები არიან. სამაგიეროდ, ქალთა ბადეში განთესვის ნომრები რეიტინგის მოწინავე 32-ვე ჩოგბურთელს ერგო.

ჟუსტინს ავსტრალიის ღია ერთხელ, 2004 წელს აქვს მოგებული, შარშან კი ტურნირი ოჯახური პრობლემების გამო (ქმარს გაშორდა) გამოტოვა. სამაგიეროდ, შემდეგ ორი სასლემო ტურნირი – საფრანგეთის და აშშ-ის ღია მოიგო და სეზონიც პირველი ჩოგნის რანგში დაასრულა.

მეორე ნომერია რუსი **სვეტლანა კუზნეცოვა**, ვინც აშშ-ის ღიას ყოფილი ჩემპიონი და შარშანდელი ფინალისტია. მელბურნში წასვლამდე, ეს ორი ჩოგბურთელი ერთმანეთს სიდნეის ტურნირის ფინალშიც შეხვდა და შანსია, რომ ისინი ერთმანეთს ავსტრალიის ღიას ფინალშიც დაუპირისპირდნენ.

განთესვის მომდევნო ორი ნომერი სერბებს, **ანა ივანოვიჩსა** და **ელენა იანკოვიჩს** ერგოთ და მხოლოდ მეხუთეა რუსი **მარია შარაპოვა**, ვინც შარშან ტურნირის ფინალში ითამაშა.

მეექვსე ნომერია რუსეთის კიდევ ერთი მეჩოგნე, **ანა ჩაკვეტაძე**, ვისაც ამერიკელები, ტურნირის მოქმედი ჩემპიონი **სერენა უილიამსი** და მისი და, უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონი **ვენუს უილიამსი** მოჰყვებიან. მეცხრე და მეათე ნომრები კი ერგოთ სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვასა** და ფრანგ **მარიონ ბარტოლის**, რომელმაც შარშან უიმბლდონის ფინალში თამაშით ისახელა თავი.

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტრუქცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა